

652
1978/3



ქართველი

1978!

ლიტერატურულ-მწარველობი და
საზოგადოებრივ-კოლეგიუმი
ეჭრნალი
საქართველოს საგვორვა
მფრინვების კავშირისა და
აჭარის გაცყოფილების
ორგანო

გ ა მ ღ ღ ი ს 1 9 5 8 წ ლ ი ღ ა ნ

მ ი ნ ა ა რ ს ი

პლევაზონდელი

პოეზია, პროზა

ჯ. ჯაფელი — ლექსები	6
3. ახვლედიანი — ხომ გამოვედი კაცი!	
(ნახევრად ზღაპარი)	
6. ართილაპავა — ლექსები	22
ჯ. ხოვერიძე — ოსტატი ნარკევე	27

მოგონებები, ჩანაწერები

6. კეცხოველი — ბათუმის წარსულიდან	45
შ. მაროვარიძე — მეგობრობის ვიზიტით იტალიის ქალაქ ბარიში	56

წერილები

რ. სურმანიძე — დიდი რუსი მწერლის მისამართით	70
6. მიქელაშვილი — მწერლის ენის ზოგი სტილური ნიშანი	81

მილოცა

ალექსანდრე ჩავლეაშვილი 70 წლისაა	91
----------------------------------	----

წიგნების მიმოხილვა

ა. ფუტბარაძე — მამაცთა შრომის სადიდებელი	92
---	----

1

1978

იანვარი

თებერვალი

აჭარის უნივერსიტეტის გამოცემლობა.

ქ. მარქესის ქ. სარეკლამო
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჩედაქტორი აკაკი შონია

სარედაქციო კოლეგია: ხარიტონ აზვლედიანი, მამია ვარშანიძე
(3. მგ. მდივანი), პარმენ ლორია, ალექსანდრე ჩავლეიშვილი,
ფრიდონ ხალვაში.

რედაქციის მისამართი: ბათუმი, ენგელსის ქ. № 21.

ტელეფონი — 3-33-71.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 24.2.78, საბეჭდი თაბაზი 6, საგამომცემლო 5,
შეკვეთის № 735, ემ 01080, ქალალის ზომა $60 \times 90^1/16$, ტირაჟი 2.040.

* * *

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა
და წიგნის გაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის აქტის პოლიგრაფიული
საწარმოო გაერთიანება, ბათუმი, ლუქსემბურგის 20.

ქ ლ ე პ ა მ ო ს ი ლ ი

1936 წლი
ბერძნობრძოს

შოთა რიგვალი

ჩვეულის დაცვის ნიში.

გალაკტიონი

თითოეული თარიღი განვლილი დროის მეგზურობას გვიწევს წოლმე; დიდი თქომბრის რევოლუციის მონაბოვართა დასაცავად შექმნილი საბჭოთა შეიარაღებული ძალების მე-60 წლისთვის იუბილე თვალწინ გადაგვიშლის სახელოვანი ბრძოლებისა და გამარჯვებების დიდებულ მატიანეს.

ფრონტზე მიმავალ პირველ წითელარმიელებს გულგიბეში ედოთ სამსახურებრივი წიგნაკი, რომლის ტექსტი დამტკიცა ვ. ი. ლენინმა.

„თუ შეგვითხებიან — „ვინ ხარ შენ, ამხანგო?“ — უპასუხე: „მე ვარ ყველა მშრომელისა და მოელი მსოფლიოს დატაკთა დამცველი!“

„თუ შეგვითხებიან — „რისთვის იბრძვი შენ?“ უპასუხე: „სიმართლისათვის, რათა მიწა და ფაბრიკები, მდინარეები, ტუები, მთელი სიმდიდრე ეკუთვნოდეს შემთხვევაში ხალხს!“

„როგორ ებრძვი შენ მტრებს?“ — „დაუნდობლად, ვიზრე გავანადგურებს!“

ეს სიტუაცია მაშინ გაისმოდა როგორც ფიცი და რევოლუციის ყველა დამცველს აღაუროვანებდა ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკის მტრების წინააღმდეგ გმირული ბრძოლისათვის.

ვ. ი. ლენინი ამბობდა, რომ ყოველგვარი რევოლუცია მხოლოდ მაშინ ღირს რამედ, თუ შეუძლია დაიცვას თავი, რომ გამარჯვებულმა ბრძოლეტარიატმა, თუ მას სურს გაბატონდეს და თუ გაბატონდა, ეს თავისი სამხედრო ორგანიზაციით უნდა დამტკიცოს.

და დამტკიცა კიდევ თოთხმეტი სახელმწიფოს სამხედრო ინტერვენციის და შინაური კონტრევოლუციის ძალების წინააღმდეგ ლეგენდარულ ბრძოლებში, სამოქალაქო ომის უმძიმეს წლებში, და კიდევ უფრო მეტი ძალით — საბჭოთა ხალხის დაი სამამულო ომში, როცა წუდებოდა არა მარტო ჩვენი სამშობლოს, არამედ მსოფლიო ცივილიზაციის ბედი.

ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ სამკვდრო-სახიცოცხლო მში საბჭოთა ხალხის, მისი შეიარაღებული ძალების ისტორიულმა გამარჯვებამ განამტკიცა ჩვენი ქვეყნის ავტორიტეტი და საერთაშორისო პოზიციები, ხელი შეუწყო სოფიალიზმის, დემოკრატიისა და მშვიდობის ძალების ზრდას მთელ მსოფლიოში.

ამ გამარჯვების სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი იყო კომუნისტური პარტია — ხალხის ბელადი, შეარაღებული ძალების მხედართმთავარი. ეს ერთ-ხელ კიდევ ზღვრული სიცხადით გვაგრძნობინა ლ. ი. ბრეუნევის მხედრულმა მოგონებებმა „მცირე მიწამ“, რომელიც საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საჭადვალო ფლოტის სახელმოვანი იუბილეს წინ გამოქვეყნდა უურნალ „ნოვი მირზა“.

ლეონიდ ილიას ძე ბრეუნევმა მოელი იმის პერიოდი — 1418 დღე-ლამაზ ბრძოლის ქარცეცხლში გაატარა და ბუნებრივია, რომ მისმა მოგონებებმა დიდი გამოხმაურება პპოვა არა მარტო ჩვენში, საჭადვარებარეთაც. მცირემიწელთა გმირობის, ბატრიოტული სულისკვეთების ამსახველი ყოველი ეპიზოდი გამთბარია ჭეშმარიტი ჰუმანიზმით, ადამიანის უზადო სიყვარულით, კაცობრიობის ნათელ მომავალზე ზრუნვით.

ლ. ი. ბრეუნევის მოგონებები სადღეისო, საშვიდობო მიზანს ისახავს — საბჭოთა ადამიანებს აღაფრთოვანებს თავდადებული შრომისათვის.

ამ დღეებში სკაპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს, სსრ კავშირის თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარეს, საბჭოთა კავშირის მარშალს ლ. ი. ბრეუნევს საჭირო ვითარებაში გადაეცა „გამარჯვების“ ორდენი. ეს უმაღლესი მხედრული ჭილდო ლ. ი. ბრეუნევს მიენიჭა დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხისა და მისი შეიარაღებული ძალების გამარჯვებაში შეტანილი დიდი წვლილისათვის, ქვეუნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებაში უთვალსაჩინოესი ღვაწლისათვის, საბჭოთა სახელმწიფოს მშვიდობის საგარეო პოლიტიკის შემუშავებისა და თანამიმდევრული განხორციელებისათვის, რომელიც საიმედოდ უზრუნველყოფს ქვეუნის განვითარებას მშვიდობიან პირობებში.

საყოველთაო მშვიდობისა და უშიშროებისათვის ბრძოლა ჩვენი პარტიის გენერალური ხაზია, ჩვენი ხალხის უპირველესი საზრუნავია. ამ საქმეს დიდ სამსახურს უწევს ლიტერატურა და ხელოვნება.

ძევლად ამბობდნენ, „როცა ქვემეხები ლაპარაკობენ, მუშები სლუმანი“. სამოქალაქო ომმა, დიდმა სამამულო ომმა, ჩვენი შეიარაღებული ძალების მთელმა ისტორიამ უარჟყო ეს აზრი. მწერლობასა და არმიას შორის ახლებური ურთიერთობა დამკვიდრდა. საბჭოთა მწერლების ცხოვრება და შემოქმედება მციდროდ დაუკავშირდა არმიას. არმიამ მათ მისცა მდიდარი მასალა შემოქმედებისათვის, რაც არმიას დაუბრუნდა, როგორც ბასრი საბრძოლო იარაღი. არასდროს მწერლის ხმას ისეთი რეზონანსი და ძალა არ ჰქონია, როგორც სამამულო ომში ჰქონდა.

ათასზე მეტი მწერალი — რუსი, უკრაინელი, ბელორუსი, ქართველი, სომები, აზერბაიჯანელი და სხვა ეროვნების წარმომადგენელი უშუალოდ მონაწილეობდა სამამულო ომში. ამათგან ოთხაზე მეტი მამაცთა სიკვდილით დაეცა ბრძოლის ველზე, მათ შორის — მგზნებარე პაოტი პატრიოტი პირზა გელოვანი, რომელსაც მადლიერმა ახალგაზრდობამ ძეგლი დაუდგა.

ქართველი მწერლები, ისე როგორც მოძმე საბჭოთა ხალხების მთელი შემოქმედებითი ინტელიგენცია, მუდამ ამტკიცებდნენ „კავშირს გულთა შორის“, მუდამ იდგნენ ცეცხლის ხაზზე და „დაფითა და ნალარით“ უხმობდნენ გმირებს, ხამარცვინო ბოძე აკრავდნენ მშიშარებსა და ლაჩირებს, ლიტერატურაში ამჟვილებდნენ ჟუმანიზმის პათოსს,

ქართული მწერლობა იყო და არის დიდი საბჭოთა ლიტერატურის ერთ-ერთი მეწინავე საღრმშო, რომელიც თავის მრავალსაუკუნოვან მხატვრულ კულტურას, წარსული იმის იდეურ-ზნეობრივ გაკვეთილებს შემოქმედებითად — იყენებდა და ასახავს ჩვენი ხალხის ცხოვრებას, საბჭოთა ადამიანის — სამშობლოს ერთგული დამცველის და მშენებლის სულიერ სამყაროს.

საბჭოთა მეომრის — პატრიოტისა და ინტერნაციონალისტის, მშვიდობის გუ-შაგის თემა, როგორც ხალხის გმირობის, უკვდავების თემა, კვლავაც წინა პლან-ზეა საბჭოთა ლიტერატურაში.

Пройди весь свет,
проверь всех армий славу,
пересмотри былье времена, —
нет армии, которая была бы
с народом слита крепче, чем она!

გამოჩენილი რუსი პოეტის, ქართველთა დიდი მეგობრის ნიკოლოზ ჭავჭავაძის ამ სტრიქონებში მკაფიოდ არის გამოხატული ჩვენი არმიის ბუნება, მიხი ურდვევი კავშირი მშობელ ხალხთან, რითაც აღმოჩენილია ექვსი ათეული წლის მნიშვნელოვანი გზა, მძიმე განსაცდელისა და დიდი გამარჯვებების გზა.

* * *

ეს სიყვარულის გამოა —
დილა რო კარებს გააღებს,
დილა რო კარში გამოვა
და ქარი დაპკრავს ბალახებს.

ეს სიყვარულის გამოა —
ხე რომ ფეთქდება კვირტებად,
მზე რომ მზესავით ამოვა,
ცა რომ ცასავით ინთება.

ეს სიყვარულის გამოა —
რაც კი კელაპტრობს პერითა.

დილა კარებში გამოვა
ძოშეულ ფერთა ხვეწნითა.

ეს სიყვარულის გამოა —
რაც კი გეძახის გარშემო.
თუ გძულს რა უნდა აშენო
ან როგორ უნდა აშენო.

ეს სიყვარულის გამოა —
მლერად რომ გიჩანს კირთება,
მზე რომ მზესავით ამოვა,
ცა რომ შინდისფრად ინთება.

ქვეყანა მსე — დენდი!

არ დაბერდება მზის სიცხოველე,
ლამაზი რწმენა,
რასაც კი დიდი, სანუკვარი სახელი ჰქვია.
რასაც კი ჰქვია წყაროთვალი და დედა-ენა,
არ დაბერდება.
მერცხლებივით ლამაზად ქრიან
ნუშის ყვავილით ანთებული ფიქრები ჩვენი.
მარადისობის ჩიტებივით ლამაზად ქრიან
და მას სხვაგვარად უნაზესი დიდი მერმისი,
მზე, პოეზია და სიყვარული
და ხატი ჩემი — სამშობლო ჰქვია!

არ დაბერდება გულის - გული, —

გრძნობათა ჭურვი

და სიყვარული, — ათასი მზის წილდობილობა.
ეს — შენ გეკუთვნის ზურმუხტებად გადანასხურა
მიწა

და ზეცა — თვალთა ჩემთა მინდობილობა.

არ დაბერდება სამეჯლისო დიდება ჩვენი,
ქვეყანა ესე დენდია და დენდობა შვენის.



ჩ ი ნ ა რ ი

მამზერინე შენზე ავდარში თუ დარში,
ერთი დიდი სიცოცხლე ვიცი, ისევ წინ არი,
სურვილების მარაო გაიშალა ქარში
და თვალებმა იპოვა ჩემი ნაზი ჩინარი.

ღრუბელ-ღრუბელ გაშლილი, გაწეწილი თმებით
იდგა, როგორც ღვთაება და იხდიდა ტანზე.
სათამაშო ვაშლივით შორეული მთები
მზეს უბეში მალავდნენ, ცრემლი ადგათ თვალზე.

ტანზე ღრუბელს იხდიდა ჩემი თეთრი ჩინარი
და ქალური კდემით ენთებოდა ტანში,
ერთი დიდი სიცოცხლე ვიცი, ისევ წინ არი,
მამზერინე შენზე ავდარში თუ დარში.

გაიფანტა ღრუბელი, აშრიალდა ნიავი
და სიმორცხვე ამხილა ჰორიზონტის ზემოთ.
მოდი, მე აგაცილო ავდრიანი სიავე,
ნარნარე ჩინარო, სიყვარულო ჩემო.

დგას ჩინარი ჰორცხვი, ნატიფი და კენარი,
ნაზი ტანის სიშიშვლეს ათრთოლებით მალავს.
შენსკენ ილტვის ძვირფასო სული მოუსვენარი,
მარტოხელა დღეების მარტოხელა ვალად.

გამგზავრება

1



ჩიხტიკოპიდან სცვივოდა თვლები
ერის სადედოფლო კაბას...
შენ კი წაბრძანდი....
თუ არ წაბრძანება,
ჰახტანგ ბატონო,
მა ეს რა იყო, აბა!

ჩიხტიკოპიდან სცვივოდა თვლები
ერის სადედოფლო კაბას.
შენ კი...
კარავში ხელებზე გციოდა
და თვალს არიდებდი საბას.

ფიქრებს ამოჰქონდა ტკივილი გულის,
ელოდი ახალ ამბავს.
ბავშვივით უბერავდი შემცივნულ თითებს
და თვალს არიდებდი საბას.

ამბავი გვიანობდა,
სცვივოდა თვლები
ერის სადედოფლო კაბას.
თუ არ წაბრძანება,
ო, ღმერთო შეგცოდე,
მა, ეს რა იყო აბა.

2

დრონი თუ მეფობენ,
იმეფონ, ბატონო,
დროც თავის კარეტით წავა.
ხელებს წავაჭრი, —
ვინც მოღგა ოდეს
მამულის საბილწავად.

სხვაგნით გადაშენდა მოსული სხვა ტომი,
სხვა არის სხვა მზე და ჰავა.
დრონი თუ მეფობენ, იმეფონ, ბატონო,
დროც თავის კარეტით წავა.



ხვითო და ნათელი შემოკუზარანდე
ერის სადედოფლო კაბას.
შენი საფიცარი,
შენი ავგაროზი
ფეხზე დგას საქართველო,
საბავ!

* * *

აღმოჩენათა დიდთა ბატუტა,
დროთა და ხალხთა დასაფიცარი...
იმას ინახავს ხსოვნა სათუთად,
ვინც არის ხალხთა დასაფიცარი,
ციმციმ მოაყრის მას ნაცარ-ტუტას,
ქვეყნისთვის ურგი ჭინჭი ვინც არი.
არ იყარგება სიკეთე გულთა —
არ იძირება წყალში ფიცარი.

* * *

...და ვავრცობ სივრცეს მზით და სინათლით,
მზერით,
ნაბიჯით,
ხელების გაშლით.
თამაშ-თამაშით მომაქვს სინათლის
და აკრძალული ვნებების ვაშლი.
ერთმანეთს ჰგვანან ერთი ხისანი,
ეს ერთი ფესვის ორი ვეღრება.
მზე და ალერსი ევას ხნის არის
და მე რალაი დამეყვედრება.

მივდივარ,
ვავრცობ სივრცეებს კაცთა
ფიქრის, ოცნების,
ნათელ ნებისა.
ეს გულით ჩემით ზენაარსს დასცდა
სიმღერა შენი უკვდავებისა.



* * *

ცუდქაცობაა სიარული გზებზე გრიმებით,
ლამით ქურდობა და გვირგვინის ტარება დღისით,
ან — სალოცავად დამხობილი პილიგრიმები,
როცა სუნთქავენ მტვერს დალადისით...

ცუდქაცობაა, როს გჭირდება და ხარ კეთილი,
მოიწყვეტ ლილებს, თითქოს მისით
გწყდება ლილები,
ანდა, როდესაც შემოგხედავს ობიექტივი
და თმებს ისწორებ
და ილიმები
და ა. შ.
ცუდქაცობაა!..

* * *

ლოდინის ჩემის ძოშეულ ალზე
ვინ,
ვინ ითბობდა მშვენიერ თითებს;
მოთმენის ჩემის მაგიურ ალზე
ვინ მიკითხავდა ელადის მითებს;
ვინ საუბრობდა საყვარელ ქალზე
და თეთრ სიზმარზე — ღამეს რომ მითევს,
ვინ მპატიუებდა მირონის წყალზე —
დავიწყებული ბედის კირთება.

ვინ ჩურჩულებდა საყვარელ ქალზე,
ვისი თვალებიც
სადღაც დაკარგულ ბილიქს მპირდება.



ქარო, ამხესნი ყველა საკინძე,
ქალო, ახსენე ყველა უფალი
და ჩემში ღმერთი გამოაღვიძე,
ყველაზე უფრო თავისუფალი.

მამის საფლავთან

მდუმარებაში უფოთლო ხეთა
მსუბუქი სევდა
და დაღლილი ჩრდილები წვანან,
ყოველთვის გხედავ...
მე ახლაც გხედავ, —
მუხლებდე გწვდება ცერიანი ყანა...
ისვენებ.
მაღალ სამხრობისას იცოდი ასე
და ფეხაკრეფით დავდივარ ახლაც.
აქ ყველაფერი მუსაიფობს
შენეულ ხმაზე
და აქ ყველაფერს შენეული
იერი ახლავს.
...აქ განძარცული ხეებისგან
ჩრდილები წვანან
და მეცოდები,
მეცოდები
დაღლილო მამა.

* * *

ქარში ძახილის,
ქალის ძახილის,
შორის ძახილის შთაბეჭდილებით,
ქარში გაწეწილ ქარაშოტ თმების
და რია-რიას შთაბეჭდილებით

მესმის შენი ხმა,
 შენი ალერსი,
 ჩემო მზეო და ჩემო ბატონო,
 მესმის შენი ხმა:
 — შენ გენაცვალე,
 არ დამივიწყო, არ მიმატოვო!

მესმის შენი ხმა —
 ღია თვალებში
 სავსე პირველად ქმნილი მუდარით.
 ცეცხლს ვერ ვაკავებ ცეცხლის ფარეში
 და ნავის წრიალს — ნავთსაყუდარი.

იქნებ შენც გესმის ჩემი ძახილი
 ჩემო მზეო და ჩემო ბატონო,
 — სვეტო ნათლისავ,
 ცისფერო სულო,
 არ დამივიწყო, არ მიმატოვო!

მე და ბატონი მთები

მაისი მაისობს თრობათა ვალსებით,
 ქვეყანას ესხმება ფრთები.
 ცისკრის პოეზიას ელვარე თასებით
 ვსვამთ მე და ბატონი მთები.

სიცოცხლე ბრძანდება ყველაზე ლამაზი
 რამე გაგტეხია ვიდრე.
 შენი და ცისკრის ელვარე სინაზის
 გენიით სულ მინდა ვითვრე.

მაისი მახსოვს უნაზეს არსების,
 ვგრძნობ, როგორ მესხმება ფრთები.
 მირონის ზეცას ელვარე თასებით
 ვსვამთ მე და ბატონი მთები.



3ახტანგ ახვდევიანი

ნორ გრემიგეზი გრცი!

ნახევრად ზღაპარი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ცოლ-ქმარი. ცხოვრობდნენ ლარიბულად, მაგრამ ტკბილად. მეზობლებს თვალში რომ ჩავარდნოდათ, ხელს არ ამოისვამდნენ. მხოლოდ ერთი რამ აწუხებდათ — შვილი არ ჰყავდათ. დაწოლის წინ ერთთავად ღმერთს ევედრებოდნენ, ერთი შვილი მაინც გვაჩუქე, სიბერეში უპატრიონოდ და მიუსაფრად რომ არ დავრჩეთო.

დრო გადიოდა, ყოვლისშემძლე კი ყურსაც არ აპარტყუნებდა.

ის იყო, თითქმის გადაიწურეს იმედი, რომ ერთ მშვენიერ დღეს ქალმა უცნაური გულისცემა იგრძნო. მერე კი, თითქოს რალაცამ გაუფაჩუნა მუცელში.

— ღმერთო, დაილოცა შენი სახელი, — თქვა მან, — ნუთუ ისმინე ჩვენი ვედრება? გაფაჩუნდი, ჰო, გაფაჩუნდი, კიდევ...

ჩვილმა, თითქოს გაიგონაო დედის ხმა, უფრო ძლიერად გაიქნია ფეხები.

— ასე, ჩემო ვაუკაცო... გეტყობა, კაი გოლიათი უნდა დაიბადო! კიდევ, კიდევ!

— რას ბუტბუტებ, დედაკაცო, თავს წამოადგა ქმარი, — ხომ არაფერი მოგლანდებია.

— შვილი გვეყოლება, შვილი!

ცოლ-ქმრის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. მალე მათს პატარა ფაცხაში ვაჟი დაიბადა. ისეთი იყო, ავ თვალს არ დაენახებოდა. თუ სხვები თვეობით იზრდებოდნენ, იგი დღეებით იზრდებოდა. ხუთი წლისა უკვე ათი-თერთმეტისას ჰყავდა. ძალ-ღონე მოზვრისა ჰქონდა, მაღა ზვიგენისა, გული ქვისა, სიჭიუტე კი ვირისა. დღე ისე არ გავიდოდა, რომ მე-

ზობლის ფანჯრები არ ჩაემტვრია, ერთი-ორი ბიჭისათვის ცხვირ-პირი არ დაესისხლიანებია, ღობეზე არ გადამძვრალიყო და ხილი არ მოექურდა, გოგონები ნაწილი დაეთრია, დედაბრები არ გამოეჭავრებია, ვა-ლატოზებისათვის ქვები არ დაეშინა, ძროხები კუდებით არ გადაება ერთ-მანეთზე... იმ სოფელში მანქანებიც აღარ შედიოდა, რადგან ყველა მძღოლმა იცოდა, რომ ყოველ ოც-ოცდათ მეტრში ბიჭის ლურსმნები ჰქონდა ჩაწყობილი.

მოსვენება დაეკარგა სოფელს.

— შენ მოესპე და ამოუგარდი დედაშენს! — იშყევლებოდნენ დედა-ბრები.

— შენს დაბადებას, ნეტავ, ერთი კრამიტი გაჩენილიყო... კაცი სახლს დაახურავდა მაინც, — დაადევნებდნენ კალატოზები.

— შენგან კაცი არ დადგება, შვილო! — ეტყოდნენ ვაჟს გულდათუ-თქული მშობლები.

სკოლაში ხომ კინაღამ კიბო გაუჩინა დამრიგებელს, ნერვიულ შოკ-ში ჩააგდო დირექტორი, როდესაც ამ დამსახურებულ კაცს მისი საქციე-ლის გამო განათლების განყოფილებაში სასტიკი საყვედური მიაკერეს, იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობა არა გაქვს საჭირო სიმაღლეზე.

საბრალო მშობლები თითქმის ათენ-აღამებდნენ სკოლის კიბეებზე.

გადაიღალა სკოლაც. მაგრამ ყველას ეცოდებოდა უკვე დაავადებუ-ლი მისი მშობლები და ხათრით უწერდნენ სამიანებს.

ასე დაამთავრა სკოლა.

— შენგან კაცი მაინც არ დადგებაო, — მილოცვის ნაცვლად წამოს-ცდა დირექტორს, როდესაც ვაჟს სიმწიფის ატესტატი გაღასცა.

სოფელში ქორწილი არ ჩატარდებოდა, რომ ჩხუბი და იყალ-მაყალი არ აეტეხა, ახალგაზრდა ქალებს გზაზე გამოჩენა ვერ გაებედათ. მისი შე-შით დაბლა ჭიანჭველა ველარ დალოლავდა და მაღლა ჩიტი ველარ ფრენ-და. თვით მილიციელებიც კი იმაღებოდნენ, როდესაც ჩხუბში შეასწრებ-დნენ მას, — ზედმეტი კბილი აბა ვის ჰქონდა?

— რატომ საშოში არ მოეგუდე დედაშენს! — ამბობდნენ მის დანა-ხვაზე ორსული ქალები და საჩქაროდ ეცლებოდნენ იქაურობას, ფარსავი არაფერი დაგვმართოსო.

საღმე თუ სუფრა გაიშლებოდა, დაუკითხავად მიუჯდებოდა. შრომა სასტიკად ეჭავრებოდა. უქანასკნელ გროშებს ძალით გამოგლეჭდა მშობ-ლებს და რამდენიმე დღით გადაიკარგებოდა.

ერთ დღეს კი სახლიდან გავიდა და აღარ დაბრუნებულა.

მოისვენა სოფელმა. ტოტებზე თამამად ფრთხიალ-ტკრციალებდნენ ჩიტები, ორლობებში მხიარული სიცილ-კისკისი მოისმოდა.

მაგრამ, აბა რომელი მშობელი გაუძლებს შვილის უგზო-უკვლოდ და-
ქარგვას. მდუღარე ცრემლებით ტიროდნენ გულდამწვარი მოხუცები.

თვეს თვე მისდევდა, სუსხიანი ზამთარი კეკლუცი გაზაფხულით იც-
ვლებოდა, გადიოდა წლები. ერთ დღეს სოფლის ცალთვალა ფოსტალი-
ონმა მათ ღობეზე მიაყუდა თავისი დანჯლრეული ველოსიპედი და უკვე
მოჩყეული და გადაქანებული სახლის კარი შეაღო.

მავან და მავან ქალაქიდან მოფრენილიყო წერილი.

გამას უხმობდა შვილი.

— მე, მოხუცი, უილაჭო როგორ წავიდე ამხელა გზაზე?! — დაიკვ-
ნესა მამამ.

— ღმერთო, ღმერთო, დაილოცა შენი სახელი, — ჩიფჩიფებდა კუ-
თხეში დედაბერი, — შენი სახელის ჭირიმე, შენი... კვლავ რომ ისმინე
ჩვენი ვედრება. ჩვენი შვილი გამოჩნდა. წადი, მოხუცო, წადი. უჭირს,
ალბათ, შვილს.

— ჩვენზე გაჭირვებული ვინაა ამ ქვეყანაზე! — შეიცხადა ბერიკა-
ცმა.

— შვილი, საკუთარი შვილი გიხმობს, ბერიკაცო, შენი სისხლი და
ხორცი. ლოგინილან წამოდგომა რომ შემეძლოს, მეც თან გამოგყვებოდი.

— ამხელა გზაზე მგზავრობას ხარჯიც ხომ დიდი უნდა, — ამოიობ-
რა ქმარმა.

— სოფელი დიდია, მეზობელი გულუხვი, შვილისკენ მიმავალი გზა
კი დალოცვილი, — ამბობდა დედაბერი, — წადი, მოხუცო, ჩემზე ნუ იდ-
არღებ, აკი გითხარი, სოფელი დიდია-მეთქი.

დაისესხა მოხუცმა ფული და მეორე დღეს უთენია გაუდგა გზას.

ბევრი იარა თუ ცოტა იარა, მიადგა რკინიგზის საღვურს. სალაროს-
თან ხალხი ირეოდა. მოხუცი უკან ამოუდგა მათ.

— მავან და მავან ქალაქამდე მინდა ბილეთიო, — მიმართა მოლა-
რეს..

— მაგ ქალაქში ჩვენი სასტავი არ ჩაღის, — მიუგო ქალმა.

— აბა, რა ვქნათ?

— მავან ქალაქამდე იმგზავრეთ, მერე იმ მავანში მავან სასტავზე გა-
დაჭდებით და ჩახვალთ.

— აბა, მაშინ ჯერ მაგ მავანამდე მომეციო.

— საიდან მოგცეთ, თუ არ არის?

— აბა, რა ვქნა?

— არ ვიცი.

— შვილო, ამხელა მატარებელში ერთი აღგილიც როგორ არ იქნება

თან მივდივარ, ვინ იცის, რა უჭირს... — თალებზე ცრემლები მოადგა ბერიკაცს, — შვილ-

— მორჩი ახლა წუწუნს, არ არის და რა ვქნა! — მკვახედ ესროლა
ქალმა, — თუმცა...

— რაო? — გამოცოცხლდა მოხუცი.

— არის ერთი გამოსავალიც... პრავადნიკს მოელაპარაკე, ადგილს
იგი გიშოვნის.

„პრავადნიკი“ მოლარეზე ბევრად ყურადღებიანი აღმოჩნდა. იგი მა-
შინვე ჩადგა მოხუცის მდგომარეობაში და წუთში გამოუნახა თავისუფა-
ლი კუპე.

— ღვთისნიერი კაცი ყოფილხარ, შვილო, — დალოცა იგი მოხუცმა,
— მარა, ამდენი ადგილი თუ თავისუფალი იყო, ეს მოლარე რაღას იძახ-
და...

— ბევრი გეცოდინება, ადრე გაჭიმავ ფეხებს, — მიუგო „პრავად-
ნიკმა“, — მაგ ფილოსოფიას გიჯობს, მე რაც მერგება, ჩამომიყაჭო.

ბერიკაცმა აკანკალებული ხელებით ძლივს გახსნა შვიდჭერ გასკვ-
ნილ-გაკოჭილი ცხვირსახოცი და დაჭმუჭვნილი მანეთებიანი გადაუთვალა.
ამბახმა „პრავადნიკმა“ ფული ჩაიჯიბა და კუპეს კარი მიუგახუნა.

დიდხანს იწრიალა მოხუცმა ლოგინში. ბოლოს, როგორც იქნა, ჩას-
თვლიმა, რომ კარჩე ბრახუნი ატყდა.

— გაალეთ! — ბრძანებდა ვილაცის ბოხი ხმა.

მოხუცი სწრაფად წამოდგა და საკეტი გადაატრიალა. კუპეში სამი
კაცი შემოვიდა.

— თქვენი ბილეთი?! — მიმართა მას ბოხმა, ეტყობოდა, უფროსი
უნდა ყოფილიყო.

— მ-მე... არა მაქვს.

— ეს როგორ თუ არა გაქვთ? ზნაჩიტ ზაიჩიკ?

— რაო, რა ბრძანეთ?

— სახელმწიფოს ხარჯზე გინდათ იმგზავროთ?

— როგორ გეკადრებათ, ბატონო... აგერ, პრავადნიკს გადავუხადე.

— დაბერებულხარ, ბერიკაცო, და სინდისიც დაგიკარგავს! — გაწი-
წმატდა „პრავადნიკი“, — ქენი ამის მერე მაღლი... მამისტოლა კაცი შე-
ვიცოდე, ადგილი გამოვუნახე და ახლა პატიოსან მუშაკს ჩირქესა მცებს,
— მიუბრუნდა იგი უფროსს.

— ახლავე გადაიხადე, თორემ ჩამოგსვამთ, — უბრძანეს მას.

— რას მერჩით, რა გსურთ ჩემგან...

— ლაპარაკი!.. ფული!

— პრავადნიკს ხომ გადავუ...

— ფუ-ლი!

— სინდ...

— ფუ-ლი!

მოხუცმა კვლავ გახსნა შვიდჯერ გასკვნილ-გაკოჭილი ცხვირსა-
ხოცი და ცრემლმორეულმა გადაუთვალა დაჭმუჭვნილი მანეთები;
უფროსმა ფული ჩაიჭიბა და მხლებლებს ანიშნა, მომყევითო.

— კიდევ რომ მოვიდეს ვინმე და ბილეთი მთხოვოს... ოაიმე საბუთი
მაინც დამიტოვეთ, — კალთაში ხელი ჩაავლო ბერიყაცმა.

უფროსმა კაკარდიანი ქუდი მოიხადა, ერთი ბალანი ამოიძრო და მო-
ხუცს გაუწოდა:

— ა, ბატონო, თუ გაგიჭირდა, ამოიღე, აჩვენე და ჩამოგეხსნებიან.
მთელი ღამე თვალი აღარ მოუხუჭავს.

მეორე დღეს მატარებელი მავანი ქალაქის სადგურში შევიდა. მოხუ-
ცი დაბნეული იდგა ვაგზლის მოედანზე და არ იცოდა, საით წასულიყო:
მოულოდნელად მის წინ ვიღაც უცნობი გაჩნდა. მაღალი იყო, დიდცხვი-
რა. გრძელი გაჩაჩხული თითებით, ჩამოფოცხილი თმებილა და წვეტიანი
ნიკაპით ნამდვილ ჯადოქარს მოგაგონებდათ.

— საით გაგიწევიათ, ბერიყაცო? — ჩურჩულით შეეკითხა იგი.

— მავან და მავან ქალაქში მივდივარ, შვილი უნდა ვნახო.

— მატარებელი მაგ ქალაქში მხოლოდ ხვალ გადის.

— ხვალამდე სად გავათიო ღამე?

— გასტინიცაში ბაბუ, აგერაა, ქუჩის გალალმა...

— მივლინება გაქვთ? — შეეკითხა სასტუმროს დისპეტჩერი მო-

ხუცს.

— კი, შვილო, აა!

— ეგ წერილია.

— ამაზე მეტი მივლინება რა იქნება. ღვიძლი შვილი მიხმობს. უჭირს,
ალბათ.

— აღგილები არა გვაქვს.

— აბა სად წავიდე?

— ეგ ჩემი საქმე არ არის.

— ბერიყაცი ვარ, შვილო, გარეთ ხომ არ გამავდებ...

— ეს ჩემი დუქანი კი არ არის, კაცო, სახელმწიფო დაწესებულებაა.

სა-ხელ-მწი-ფო და-წე-სე-ბუ-ლე-ბა! — გაიგე?

— გავიგე, — დაიკვნესა ბერიყაცმა.

უცებ ვიღაცის ფრთხილი შეხება იგრძნო მხარზე. წელანდელი კაცი
იყო, სადგურზე რომ შეხვდა.

— ჯადოს გასწავლი. — ჩასჩურჩულა მან.


— ჯადოქარი ხარ?

— კი.

— აბა, მიშველე რამე, — შეევედრა მოხუცს.

² ჟურნალი „ჭოროხი“, № 1

— მაგას ამდენი მიეცი და უველაფერი რიგზე იქნება, — თითვები
გაუჩაჩხა ჭაღოქარმა.

— მართლა? — გაუხარდა მოხუცს, — რომ არ იკადროს? 
— იკადრებს! პასპორტში ჩადევი და მიაწოდე.

დისპეტჩერმა ილუზიონისტის ოსტატობით გამოაძვრინა პასპორტი-
დან ფული და თვალსა და ხელს შუა გააქრო. მოხუცმა მადლიერი თვალე-
ბით მოუხედა ჭაღოქარს, მაგრამ იგი უკვე გამქრალიყო.

ტკბილად იძინა იმ ღამით. დილაადრიან კი კვლავ თავის ბოხებს და-
ავლო ხელი და ვაგზლისაკენ გაეშურა.

— მავან და მავან ქალაქისაკენ დღესაც არ იქნება სასტავი, — მკვა-
ხედ მიუგო მოლარემ.

— აბა...

— ხვალ. ან თვითმფრინავით გაფრინდით.

— თვითმფრინავი სადაა?

— აეროდრომზე.

— აეროდრომი?

— იქვეა.

— გადი, კაცო! — იყვირა ვიღაცამ რიგიდან, — საშაყიროდ მოსუ-
ლო ვიღაცა.

უჯიკავეს და ბურთივით ისროლეს რიგიდან.

კვლავ მოედანზე გამოვიდა და უმწეოდ თვალების ცეცება დაიწყო.

— შენ საით, ბერიკაცო?

— აეროდრომზე.

— აბა, აგერ ჩემი მანქანა.

— აგაშენა ღმერთმა.

— ამდენს თუ მომცემ...

— სად მაქვს მაგდენი, შვილო.

— აბა...

— მოიცავდე.

— აპტ, ვიცდი.

— დამიკელი ცოტა.

— ჩემი სიტყვა სიტყვაა, ბასტა.

— შვილთან მივდივარ, ფული მეზობლებში ვისესხე... სინდისი არა
გაქვს?

— ფული და სინდისი ერთმანეთს ვერ იტანს ბაბუ. ცხოვრება უნდა
ჟველას!

— კარგი, რალა გაეწყობა, — ამოიოხრა მოხუცმა და ფულის თვლას
შეუდგა.

— ბრონი გაქვს?

— რა, შვილო? — გრონი თუ გაქვს-მეთქი, — გაუმეორა აეროპორტის მოლარემ, — ისა... ჯავშანი! — პაპაჩემისა მაქვს... სადღაც მიგდია სახლში. რაში დაგჭირდათ უკუკი მოხუცს თვალებზე ცრემლები მოადგა. — კარგი, შევეცდები მოგიხერხო რამე, — შეეცოდა ქალს. — შენ იცი და შენმა ქალობამ. — ბედი გქონია, ზუსტად ერთი ადგილი ყოფილა თავისუფალი. — ა, ბატონო. ვიცი მაგ ერთი ადგილის ფასი. — როგორ გეკადრებათ. ვინ გგონივარ?! აალეთ ბილეთი და ბედნი-ერი მგზავრობა!..

მოლარე ქილის გულკეთილობამ გული აუჩუყა მოხუცს.

რამდენიმე საათის შემდეგ თვითმფრინავი ზუსტად იმ მავან ქალაქ-ში ჩაფრინდა, სადაც მოხუცის ერთადერთი ვაჟი ცხოვრობდა. ქალაქი ძალიან დიდი იყო. ქუჩებში უამრავი ხალხი ირეოდა. ყველა მირბოდა, ყველას სადღაც ეჩქარებოდა.

— ამ მისამართს ხომ ვერ მიმასწავლით? — მიმართა მან ერთ კაცს და კონვერტი გაუწოდა.

მას ყურადღებაც არ მიუქცევია, ისე ჩაუარა გვერდით.

— ეს მისამართი მასწავლეთ!..

— მისამართი...

საგონებელში ჩავარდა ბერიკაცი. არავის ესმოდა მისი. კიდევ მეტიც, ზედაც არ უყურებდნენ, თითქოს არც არსებობსო. ბევრი იხეტიალა თუ ცოტა, ბოლოს ერთ ჯიხურს წააწყდა. „ქალაქცნობა“, — ეწერა ზედ.

— ევ დაწესებულება მავანი რაიონის მავან ქუჩაზეაო, — უპასუხა „ქალაქცნობამ“. — შეგიძლიათ დაჭდეთ ავტობუსზე ან ტროლეიბუსზე, უფრო უკეთესი იქნება, თუ მავანი მეტროთი იმგზავრებთ... მთლად კარგი თუ ტაქსის იქირავებთ.

— ეჲ, ტაქსის ფული სადღა მაქვს, შვილო, — თავი ჩაქინდრა მოხუცმა.

ბევრი ეძება თუ ცოტა ეძება, მშიერ-მწყურვალი და დაღლილ-დაგანცული ქვაზე ჩამოჭდა დასასვენებლად...

უცებ ნაცნობი ჯადოქარი გამოეცხადა.

— ვერ მიაგენ? — შეეკითხა მოხუცს.

— ვერა.

— მე დაგეხმარები.

მოხუცი. მიშველე რამე, ღმერთი გადაგიხდის სამაგიეროს, — დაელრიგა

— აბა, დახუჭე თვალები! — უბრძანა მან ბერიკაცს, მერე მხრებში ჩავლო ხელები და ბუმბულივით ატაცა ჰაერში. უცებ საშინელი ქარიშხალი ამოგარდა, სადღაც თვალისმომჭრელად იელვა და შემზარავდა. იგრგვინა. მოხუცს საშინლად შეცივდა. აძაგძაგდა.

— აი, მოვედით კიდევაც, — ჩაესმა მას ჯადოქრის შემპარავი ხმა, — ამ სახლს ხომ ხედავ, მის ყველაზე მაღალ სართულში ზის შენი შვილი. ჰე, გაახილე ახლა თვალები! — უბრძანა მან და ძალუმად შეაჭანჭლარა. მოხუცმა თვალები გაახილა. მის წინ მილიციელი იდგა.

— აქ ძილი არ შეიძლება. თანაც, ხომ ხედავთ, ამინდი შეიცვალა.

გაცივდებით, — მიმართა მან.

— აბა, სად წავიდე?

— სახლში.

— ჩემი სახლი ცხრა მთას იქითაა, შვილო.

— აქ რაღას აკეთებთ?

— შვილს დავეძებ. აი, მისამართი.

შვილიც კონვერტი გამოართვა, წაიკითხა და, უცებ სიცილი აუგარდა.

— თქვენ უკვე მოსულხართ, — თქვა მან და მაღალ შენობაზე მიუთითა.

— ეს როგორ?.. მაშ სიზმარი არ იყო?

— აბა, კარგად იყავი, მოხუცო...

უცებ მიხვდა ბერიკაცი, რომ მილიციელი რაღაცით ჰგავდა იმ ჯადოვარს.

— მოიცადე! — იყვირა მან, მაგრამ იქ უკვე არავინ იყო.

ბერიკაცი შენობაში შევიდა და პირველივე შემხვედრს ჰკითხა, ჩემი შვილი სად შეიძლება ვნახოო?

უცნობმა ამრეზით შეათვალიერა, ვინ არის შენი შვილიო?

ესა და, ესო.

უცნობი ერთბაშად შეიცვალა. ჯერ გაწითლდა, მერე გათეთრდა, ბოლოს გამწვანდა, ენაც ვეღარ მოიბრუნა, მხოლოდ თითი აიშვირა მაღლა. მოხუცი კვნესით შეუდგა კიბეებს. გზადაგზა შემხვედრთ ეკითხებოდა, ისინიც პირველივით იცვლიდნენ ფერებს, შემდეგ კი ზევით იშვერდნენ თითს.

ერთ დერმანტინიან კარს მიაღვა.

თრთოლვით შეაღო.

შორს, დარბაზის თავში, დიდ მაგიდას ზორზოხა მუტრუკი უჯდა და პირიდან ცეცხლს აფრქვევდა. კედლებთან ატუზული ხალხი შიშისაგან თრთოდა და ოთხად იკაკვებოდა. მოხუცის დანახვაზე გოლიათი შეკრთა, წკიპურტით ანიშნა ყველას, მომწყდით აქედანო.

— მამა, — დაიგრგვინა მან, — მიცანი?

— გიცან, შვილო.

— ხედავ? — ხელები გაშალა გოლიათმა, — ყველაფერს ხელავ?!
— ვხედავ...

— შენ კი სულ მეუბნებოდი, შენგან კაცი არ დადგებაო! ყველა მე-
უბნებოდით, ყველა!

— გეუბნებოდით.

— ხომ დავდექ კაცი, ა?! ჰა-ჰა-ჰა... ახლა, ახლა რაღას იტყვით?! ჰა-
ჰა-ჰა-ჰა!!!

დიდხანს ხარხარებდა ვაჟი. ხარხარებდა და ქათქათა ცხვირსა ხოცით
ცრემლებს იწმენდდა ღროდადრო. როდესაც გული იჭერა, შენიშნა, რომ
დარბაზში მოხუცი აღარ იყო...



ალაზნისპირას ნათევამი ლექსი

დილის ბინდბუნდში ვნახე კახეთი,
თითქოს ვიცანი და ვერც ვიცანი,
მიწას დავხედე, ზეცას ავხედე
და სასწაული მართლაც ვიწამე.

თვალებბრიალა კახეთის დილამ
გამომიყვანა მერე ფიქრიდან
და უნებლიერ ალაზნის პირას
მზე ხოხობივით წამომიფრინდა.

დილაალრიან ვეშვიე კახეთს,
ჩრდილი ვიჩრდილე, ხილი ვიხილე,
საოცრებათა ქვეყანა ვნახე
და სასწაული თვალით ვიხილე.

მზემ პირიზონტზე გაინაპირა,
ჩავარდა პურის მომკილ ჩალაში,
ასე მეგონა, ალაზნის პირას
მზე ხოხობივით მოკლეს ჭალაში.

* * *

რა დღეა და რა დარია,
ცას აბჯარი ალუსხამს,
გული თითქოს რადარია.
ყველა სიგნალს ალნუსხავს.

რა დროა და რა საათი,
ტალღებს გააქვთ ლაწანი.
სამყაროსთან ვმასლაათობ.
რა წუთია რა წამი.

რანაირი ამინდია,
რა ცაა და რა მზეა.
გული ცეცხლად ამინთია,
გული ცეცხლზე გამძლეა.

ქარმა ნეტავ რად არია,
სიმაღლე და განი ცის,
გული მართლაც რადარია
და ყველაფერს განიცდის.



გული ხელისბ ულზე მიდევს

ხელისგული მიდევს მკერდზე,
გული კიდევ ხელისგულზე,
თვალით ახალ სივრცეს ვეძებ
და სამყაროს სულში ვუმზერ.

ვარ სხვა ფიქრში გადარგული
და ვაცოცხლებ გულში მითებს,
რადგან გული, რადგან გული,
გული ხელისგულზე მიდევს.

დავავიწყე თვალებს რული,
ფიქრი გულში ღამეს ითევს,

სანთელივით ანთებული
გული ხელისგულზე მიდევს.

გულით ვამბობ, რასაც ვამბობ,
და ყველაფერს გულითა ვგრძნობ,
გულითა ვმტრობ, ვისაცა
ვმტრობ
და ვისაც ვძმობ, გულითა ვძმობ.

გულსაც გულით ზრუნვა უნდა
გული რამდენ რამეს იტევს,
ამიტომაც მუდამ, მუდამ
გული ხელისგულზე მიდევს.

ტ უ თ ი ტ

წუთიერ წუთისოფელში
წუთით ვიგრძენი შვება,
წუთით ყველა ფიქრს მოვეშვი.
წუთით ღავძლიე სევდა.

წუთიერ წუთისოფელში
წუთით ვიცანი თავი.

და წუთით გულზე მომეშვა,
მზეს გავუსწორე თვალი.

ამას ვნატრობდი სისხლხორცით
ქვეყნად გაჩენის დღიდან.
ამ წუთისოფლად სიცოცხლე
ამ წუთისათვის ლირდა.

ჭავსულვარ სიტყვის აღზევანზედა

მუდამდღე ერთი სურვილი მწვავდა
და ავისრულე ნატვრა ის ერთი,

გულს რომ არ სწამდა,
სულს რომ არ სწამდა,
არ დამცდენია სიტყვა ისეთი.

ჩემი სურვილი ჩემში ასრულდა,
დამბედებია ხვედრი ასეთი,
რაც გულს არ სურდა,
რაც სულს არ სურდა
არ დამცდენია სიტყვა არც ერთი.

ჩემი ოცნება ჩემში აღზევდა,
გულში იმედი დამაქვს ვალივით,
წავსულვარ სიტყვის აღზევანზედა,
რომ არ ჰქონდოდა სათქმელს მარილი.

ვ ი ც ი

ვიცი, რა იყო გუშინ.
ვიცი, რა არის დღეს,
ვიცი, ვის რა აქვს გულში
და სად რა განძი ძევს.

ვიცი, რაც უნდა მოხდეს,
ხვალ რა იქნება, ვიცი.
ვინ ვისი არის მომხრე,
და ვის რა მართებს ვისი.

ვიცი ვინ როგორ იშვის.
ვის რა აწუხებს ვიცი,
ვიცი ვინ არის ვინ და
ვინ რისი არის ღირსა.

ვის ბოლმა აღრჩობს ვისი,
ვინ ვისას ნატრობს ამბორს.
...მე ყველაფერი ვიცი,
მაგრამ არაფერს ვამბობ.

ტერენტი გრანელის გახსენება

...როცა სიშორეზე ტირის როიალი.
ტერენტი გრანელი

ცივი გაფითრება ალბათ ახლო არი,
მომწყინდა სურვილებთან ლოიალი,
მძიმედ დააბიჯებს ლანდი ახოვანი,
ფიქრებს ახმოვანებს მოთქმა როიალის.

გულზვიადი მთები ნისლებს იშორებენ,
შეწევე ოცნებაში ზეცა მოვიარე.
ისევ სიშორებე,
ისევ სიშორებე,
ისევ სიშორებე ტირის როიალი.

ცრემლად ეპკურება ცვარი იმავ რტოებს.
შავით შემოსილა ღამე მგლოვიარე,
ისევ სიმარტოვეს,
ისევ სიმარტოვეს,
ისევ სიმარტოვეს ტირის როიალი.

ცივი გარინდება სადლაც ახლო არი,
გოსაწყენი არის მუდამ ლოიალი,
ნელა დაბიჯებს ლანდი ახოვანი,
ფიქრებს ახმოვანებს მოთქმა როიალის.

წიწამურთან სათქმელი

ლექსი

ძველი იარა თავს შემახსენებს,
ყურში მამულის ქვითინი მესმის,
არც დღე, არც ღამე აღარ მასვენებს
აქ, წიწამურთან სათქმელი ლექსი.

ისევ ის ძველი ჭრილობა მტკივა,
ზეცაც ღრუბლებით მოგლესილია,
აქ საქართველოს ესროლეს ტყვია,
აქ, წიწამურთან მოკლეს ილია.

ისევ წარსულის ტკივილი მტკივა,
გული იმ განცდის ისევ ტყვე არი,
აქ რომ ილიას ესროლეს ტყვია,
დღეს მე მატყვია ის ნატყვიარი.

ასე მგონია ეს იყო გუშინ,
გულიც იმ გესლით მოგისილია.
აქ საქართველოს ესროლეს გულში,
აქ, წიწამურთან მოკლეს იღია.

ძველი იარა კვლავ თავს მახსენებს,
ყურში მამულის ქვითინი მესმის,
ალბათ არასდროს არ მომასვენებს
აქ, წიწამურთან სათქმელი ლექსი.

თებერვალი

თებერვალი, თებერვალი
ყველა თვეზე მოკლე თვე,
ჩვენი კარგი მეგობარი,
ჩვენი დიდი მოკეთე.

თებერვალი, თებერვალი
ყველა თვეზე კარგი თვე,
არა, ახლა უსიმღეროდ
გული მართლაც არ გვითმენ.

სხვაც გვერნია სალოცავი
დღე ბევრი და თვე ბევრი.
მაგრამ სხვაა საოცარი
სილამაზე თებერვლის.

თებერვალი დაუბერავს
ვით თებერვალს შეფერის.

შზეს სხივები დაუფერავს
საღიღებლად თებერვლის.

თებერვალი დაუბერავს
და ცაც თითქოს სხვა ცაა,
ხეს კვირტები დაუბერავს
და იფეთქებს საცაა.

ჭერ შეუცნობ განახლებას
გული გიგრძნობს წინათვე,
თებერვალი, თებერვალი
გაზაფხულის წინა თვე.

თებერვალი, თებერვალი
ყველა თვეზე მოკლე თვე,
ჩემი კარგი მეგობარი,
ჩემი დადი მოკეთე.



ჯეგაღ ხოზები

ო ს ტ ა ტ ი

საშუალო სიმაღლისაა, მკვრივად ნაგები. მაღალი, გამოკვეთილი შუბლი, თაფლისფერი თვალები, უკან, ყოველთვის ფაქიზად და საგულდაგულოდ გადავარცხნილი თხელი, შეჭაღარავებული თმა მის სიღარბაისლეს უფრო ავლენს. სადად, სუფთად, აკურატულად ჩაცმა უყვარს — ლურჯი ბლუზა დიღრონი ჯიბეებით, გულის ჭიბეში განუყრელი სათვალითა და ბურთულიანი ავტოკალმით.

ახლა კარგად აღარც კი მახსოვს, როდის გავიცანი პირველად იგი. რვა თუ ათი წელი იქნება. ყოველ შემთხვევაში ნაკლები მაინც არა. ჰოდა, იმ დღიდან მოყოლებული თითქმის ყოველდღე ვხვდებით ერთმანეთს. თითქმისდა ჩუმ-ჩუმად ვუთვალოთვალებ კიდეც და გონებაში აღვნენავ, მის საქმიანობას. რატომ ვაკეთებ ამას, რაში მჭირდება ეს, ვერ გამიგიანანდან მაინც როგორ მოგინდება კაცს მიხვიდე, მიდგე სადღაც კუთხეში, არაუერი უთხრა, ხელი არ შეუშალო და უცქირო, მხოლოდ უცქირო მუშაობაში გართულს.

ერთი შეხედვით გულჩახვეული, უკარება კაცი გეგონება. მაგრამ, აღმათ არასოდეს არა ხარ მართალი, როცა ცდილობ ერთი შეხედვით გამოიცნო კაცი და შეაფასო მისი კარგი თუ ცუდი, დადებითი თუ უარ-ყოფითი მხარეები, გაიგო, ჩაწვდე მის ხასიათს, ზნესა და „მეს“. „ადამიანი რომ გამოიცნო, ორი ფუთი მარილი უნდა ჭამოო“, უთქვაშს წინაპარს. მარილი აბა რა ბედენაა, ისიც ორი ფუთი, მაგრამ წინაპარი აღმათ მარილში ღრმს გულისხმობდა უცილოდ, სწორედ იმ ღრმსა და თვალს, რომელიც კაცის ნამდვილი ხასიათისა და მოქმედების გამოსაცნობადაა აგრე რიგად საჭირო და აუცილებელი.

დიახ, არის ამ კაცში რაღაც თავისებური, პროფესიული, დამახასიათებელი; სულში, სხეულსა და ხასიათში ასე ჩაკირულ-ჩადუღაბებული,

რომელიც ნელ-ნელა, თანდათან და დროთა განმავლობაში გამჯდარა მა-
სში და რასაც განუსაზღვრავს კიდეც მისი კაცობა, მეობა, ხასიათი და ამ-
ჟეყნიური დანიშნულება.

მიუხედავად იმისა, რომ ამდენი ხნის ნაცნობობა მაკავშირებს მას-
თან, მოხდა ისე, რომ ერთხელაც არ მიკითხავს, ერთხელაც არ დავინტე-
რესებულვარ გამეგო მისი ბიოგრაფიის სულ უმნიშვნელო დეტალი თუ
მონაკვეთი, რომელიც ასე თუ ისე წარმოდგენას მაინც შემიქმნიდა. მის
მიერ განვლილ დიდისა და შინაარსიან გზაზე. მას რომ საინტერესო ბიოგ-
რაფია ჰქონდა, ამაში კი ვიყავი დარწმუნებული. თუმცა მას არ მოუყო-
ლია ოდესმე რაიმე. საერთოდ იგი ისეთი კაცია, იშვიათად თუ გადაუშ-
ლის გულს ვინმეს, არც ლაპარაკი უყვარს ზედმეტი. არის თავისთვის
ჩუმად, მუშაობს და აკეთებს თავის საქმესა და გასაკეთებელს. უამრავი
საქმეა, უამრავი საზრუნვავი, ზოგჯერ სალაპარაკოდ კი არადა, თავის მო-
საფხანადაც ვერ იცლის კაცი. ჰოდა, სად სცალია ფუჭად სამეტყველოდ?

მაგრამ, ერთხელ გავგედე და ისე, სხვათაშორის ვკითხე: — მიშა-
ბატონო, რა არის ეს, რატომ ერთხელ საკუთარ თავზე არაფერს იტყვი?

ზანტად მოაბრუნა თავი, ალმაცერი, კუშტი და ჩაციებული მზერა
მომაპყრო. დიდხანს მიყურებდა რაღაცაზე თუ რაღაცის გამო გაბრაზე-
ბულივით შუბლშეკრული და არ იღებდა ხმას. მერე კი ამარიდა მზერა
და ზანტად, უნდილად და თითქოსდა სხვათაშორის ამოღერლა როგორც
იყო: — ეხ, ჩემო ბიძია, ლაპარაკით რომ საქმე კეთდებოდეს... ზოგიერთს
უცქერი და გული მოგიკვდება კაცს, ხედავ, საქმე არ იზიდავს, გულს არ
უდებს, საწარმოს ინტერესები ფეხებზე ჰქიდია და ერთადერთი საზრუ-
ნავი მხოლოდ დროს გაყვანა და ხელფასის აღებაა. დაკვირვებული ვარ,
სწორედ ასეთები კრებებზე რომ გამოდიან, რომ დაილესავენ ენას, რომ
დაიწყებენ ტარტარს, ვეღარ გააჩერებ, ტრიბუნიდან ვეღარ ჩამოიყვან.
უსმენ მათ და გაშტერებული რჩები, რა თქვა, რა იფიქრო აღარ იცი კა-
ცმა: კანონით გელაპარაკებიან, იშველიებენ კოდექსებს, სხაბა-სხეუპით
ისვრიან ლოზუნებსა და ციტატებს... რომ არ იცნობდე, დაუჭერებ, გაი-
ვლებ კიდეც გულში: — „აი, ეს კაცი მართალია, აი, როგორ უნდა იცხოვ-
როს და იმუშაოს კაცმა!“ მაგრამ უბედურებაც ისაა, იცნობ, იცი რისი გა-
როს და იმუშაოს კაცმა! მაგრამ უბედურებაც ისაა, იცნობ, იცი რისი გა-
როს და იმუშაოს კაცმა! მაგრამ უბედურებაც მისი ნათქვამი მენიშნა. მაინც
ჟეკოებელი და მაქნისიცაა. სიტყვა ალთას მიდის, საქმე კი ბალთას. მაგრამ
ზოგჯერ ასეთი აღამიანებისა სჯერათ, უფრო წარმოაჩენენ და ყაიდას
უწევენ. — ჩუმდება, მაქცევს ზურგს და საქმეს განაგრძობს.

— მართალი ხარ, მიშა-ბატონო! — ვუთხარო, ჩემდაუნებურად ჩავ-
ფიქრდი და მწარედ გამეცინა გუნებაში. მისი ნათქვამი მენიშნა. მაინც
ჟამდენი ვინმე ამოტივტივდა ჩემს მეხსიერებაში ისეთი, რომელთა სიტყ-
უა და საქმე არასოდეს შერწყმია ერთმანეთს.

— მართალი რომ ვარ, ეს მეც ქე ვიცი! — გაბრაზებულივით მეუბ-

ნება ზურგსუჯან და ცალყბად.

— მაგრამ... მაგრამ შენ ხომ არა ხარ ასეთი?! პოდა, ხომ შეეტლება ისე?

შენს საქმიანობაზე დაიწეროს?

მახსოვს, გის სამუშაო მაგიდასთან ვიდექიო. ხელში სადგისი ეჭირა და სპეციალურ აკინის წახნაგოვან დაფაზე წიგნს აკაბადონებდა. ღინჯაღ დასდო სადგის, დოინჯი გაიკეთა, მომიბრუნდა და მოჭუტტული თვალე-დით, ოდნავ დამცინავად მითხრა: — რას გეტყვი მე შენ იცი? წერა, კაც-ბით, ოდნავ დამცინავად მითხრა: — რას გეტყვი მე შენ იცი? წერა, კაც-ბით, ოდნავ ცეკვას, ყველაფერზე შეიძლება. მთავარია როგორ დაწერ, როგორ წარმოაჩენ, ბევრ სიმართლეს იტყვი თუ ბევრ ტყუილს... შენზე შეიძლება დაიწეროს რამეო, მეუბნები, არა?! კი, ბატონო, გეთან-ხები, რატომაც არა, შეიძლება! მაგრამ შენ ერთი ეს მითხარი, რად გი-ნდა? ვის უნდა, ვის სჭირდება ეს? რა გაკეთდება ამით? ვის რაში სჭირ-დება ჩემი ბიოგრაფია? თუ რამ გამიკეთებია, საჭირო იყო და ვაკეთებული, თუ ახლაც ვაკეთებ, ვიცი, ახლაც საჭიროა და ვაკეთები! როგორ, სხვას დავამადლო ჩემი გასაკეთებელი საქმე?!

— დაამადლო?! — გამიკვირდა მე. — დაამადლება რა შუაშია?

— აბა რა! დაამადლებასავით არ გამოდის? რადგანაც კარგად ვმუშა-ობ, აბა ჰე, მოღით და ჩემზე დაწერეთო. თითქოსდა კარგად მუშაობა სა-ვალდებულო არ იყოს.

— არა, ეს აბა რა დაამადლება იქნება! — თითქოსდა დავაიმედე — ზოგჯერ ხომ ესეც საჭიროა? წაიკითხავენ, შენს საქმიანობას გაივებენ, ახალგაზრდობა მოგბაძავს...

პასუხად ჩაიცინა, ფრთხილად, მსუბუქად დამაღო მხარზე ხელი და წყნარი ხმით, რაღაცნაირი ჩაგონებითა და შთაგონებით მკითხა: — ხომ არ ცდები ბიძია, შენ?! წაკითხულითა და განაგონით ჯერ არავის არავის-თვის არ მიუბაძავს. მიბაძვა სულ სხვა საქმეა, თანაც, საერთოდ, უხერხუ-ლიცაა ვგონებ... აბა, კარგად დააკვირდი, ხომ წაგიკითხავს, ხშირად წერენ ექიმებზე, პედაგოგებზე, მეჩაიებზე, მექანიზატორებზე... ექიმმა ავად-მყოფს კარგად უმკურნალაო, გულისხმიერება გამოიჩინაო, მასწავლებე-ლმა მოსწავლეს კარგად ასწავლაო, მეჩაიებ ამდენი და ამდენი კილოგ-რამი ჩაი მოკრიფაო... აქებენ და აღიდებენ, უკვირთ კიდეც. ერთი მითხა-რი, რატომ უნდა გვიკვირდეს? თითქოსდა ეს მათი უშუალო მოვალეობა არ იყოს და რაიმე სასწაული მოეხდინოთ. აბა, რისი ექიმია, თუ ავად-მყოფი არ მოარჩინა და რისი მასწავლებელია, მოსწავლეს თუ ვერ ასწა-ვლა?

მიშა თავის საქმეს განაგრძობს და თან ღინჯად, შეგონებით მეუბნე-ბია: — ჩემის აზრით, როცა ვინმეზე წერ, ზომიერება უნდა დაიცვა, არას-დიდებით ბევრი არ უნდა აქო და აღიდო: ეს რა უქნია ამ აღამიანს, ხა-

ლხნო, ეს რა სასწაულები მოუხდენია, ჩვენ კი აქამდე არ ვიცოდითო... — ხომ იცი შენ, ზოგიერთს ქება თავში აუგარდება, გადიდგულდება, გა-ამაყდება, იფიქრებს — მე ვყოფილვარ რაც ვყოფილვარო და აქმდეა ასა მცოდნიაო. ჰოდა, რასაც აქამდე აკეთებდა, იმასაც არ გააკეთებს! მას-სოვს, ჩვენთან, ჩვენს სისტემაში ნამდვილი სპეციალისტები, გამოჩენილი პოლიგრაფისტები მუშაობდნენ... და რომ იცოდე, როგორ მუშაობდნენ, თავიანთი საქმის ნამდვილი დიდოსტატები იყვნენ... ეეს, ახლა სადღა არიან ისეთები! თანდათანობით წავიდნენ. — გულისტკივილითა და და-ნანებით აქნევს ხელს, სდუმს, რალაცას ფიქრობს თუ იხსენებს და მერე, თითქოს ახლა გაახსენდაო, განაგრძობს ისევ: — ჰოდა იმას მოგაახსენებ-დი, მათზე, იმ პეციალისტებზე არასოდეს ერთი სტრიქონიც კი არ დაუ-წერიათ, მაგრამ ისინი მუშაობდნენ...

ეძახიან. სათქმელს აღარ ამთავრებს. სათვალეს იხსნის, მაგიდაზე ტო-ვებს და აჩქარებული ნაბიჯით მიემართება საამქროს ბოლოსაკენ...

ტკელი, ვიწრო და წყნარია როზა ლუქსემბურგის სახელობის ქუჩა. ამ ქუჩაზე, ოც ნომერში მოთავსებულია აჭარის პოლიგრაფიული საწარ-მოო გაერთიანების მთავარი ბაზა — ბათუმის სტამბა, ტკელი ორსართუ-ლიანი, ფასალჩამორეცხილი, მკაცრი, ფანჯრებზე ცხაურაკრული, ვეება რკინის კარით... ერთი შეხედვით გაუკვირდება კიდეც კაცს და გაივლებს გულში — სტამბა და ასეთ შენობაშიო. რევოლუციამდე აქ უნივერმალი ყოფილა, რომელილაც ვაჭრის კერძო უნივერმალი. და, კარგად რომ დაა-კვირდები, ძველებურ უნივერმალს უფრო ჰგავს, ვიდრე სტამბას.

შედიხარ სტამბის ვიწრო, დერეფნისმაგვარ შესასვლელში, პირველ ჭარტულზე საბეჭდი საამქროა, გვერდით — ქალალდის საწყობი და საჭ-რელი საამქრო, იქვე პატარა მექანიკური სახელოსნო... მეორე სართულ-ზე მხოლოდ ერთი საამქრო — საამწყობო. სწორედ აქ, ამ სტამბაში, ამ საამქროში მუშაობს მიხეილ ნოვოჩენსკი 1963 წლიდან. საქმეში ასე თუ ისე ჩახედულმა კაცმა იცის, რომ საამწყობო საამქრო სტამბის მთავარი მამოძრავებელი არტერია და მთავარი დასაყრდენია. თუ ეს საამქრო კა-რგად, აწყობილად იმუშავებს, ეს იმის ერთ-ერთი გარანტია იქნება, რომ სტამბა გეგმასა და მასზე დაკისრებულ მოვალეობას შესარულებს. სტამ-ბის გეგმის შესრულება კი მთელ რიგ პრობლემებთან, სირთულეებთანა დაკავშირებული და ეს არც თუ ისე ადვილად მოსაგვარებელი, ხელწა-მოსაკრავი საქმეა.

სწორედ ამ რთულზე რთულ უბანს ხელმძღვანელობს მიხეილი და უნდა ითქვას, კარგადაც ხელმძღვანელობს. როცა ამა თუ იმ ადამიანზე რაიმეს წერ, არც ის შეიძლება, ილაპარაკო მხოლოდ და მხოლოდ მასზე, მხოლოდ მის შესახებ და არაფერი თქვა იმ ადგილზე, იმ გარემოზე და ვარემომცველ პირობებზე, სადაც მას მუშაობა და ყოველდღიურად ყო-

უნა უხდება. ჰოდა სწორედ მასზე და იმ გარემოზე გვინდა მოვუთხროთ
მკითხველს, საღაც მიხეილს უხდება მუშაობა.

ალბათ არავის არ გაუკირდება თუ ვიტყვით, რომ საამქროს ხელმძღვანელი
ლვანელმა ზედმიწევნით კარგად უნდა იცოდეს ყველა ის პროცესი თუ
ოპერაცია, რაც კი მის საამქროში კეთდება, მაგრამ ეს როდია საკმარისი.
ამასთან, იგი კარგად უნდა იცნობდეს თითოეულ ადამიანს, თითოეულ
მუშას, თანამოსაქმეს, რომელიც მის გვერდით მუშაობს; იცოდეს მისი
ხასიათი, ჩვევა, შესაძლებლობა...

სამუშაოზე ჩვეულებრივ ერთი საათით ადრე ცხადდება. უამრავი
საქმეა თავმოსაყარი, მოსათაბუნებელი და ეს ერთი საათი მას სჭირდება,
რომ ყოველმხრივ მომზადებული შეხვდეს მორიგ სამუშაო დღეს. არავინ
იფიქროს, ამას ვინმე აძალებდეს და აიძულებდეს. არა, დაძალება და
იძულება რა შუაშია, როცა მას ეს პირად მოვალეობად და აუცილებლო-
ბად მიაჩნია.

ჰოდა, სანამ მუშაობა დაიწყებოდეს, მიუჯდება მაგიდას, დინჯად გა-
იკეთებს სათვალეს, მაგიდის უჯრას გამოაღებს, ამოალაგებს საჭირო ქა-
ლალდებს, დედნებს, გონებაში ანგარიშობს, მისი შესრულების დროს გა-
ნსაზღვრავს, ალაგებს, ახარისხებს. ყოველი სამუშაო, ყოველი დაკვეთა
თავისებურებითა და სირთულით ხასიათდება. სწორედ აქ, ამ დროს სჭი-
რდება მას იმის ცოდნა, თუ მის საამქროში რომელი მუშა რისი შემჩ-
ლეა, რა ტვირთის ამწევი და საქმის შემსრულებელია. და სწორედ ამის
მიხედვით ანაწილებს სამუშაოს. პრინციპი ერთია, გადაწყვეტილება კი
სწორი — ყველაზე რთული საქმე ყველაზე მცოდნესა და გამოცდილს!

მაგრამ არის საამქროში ისეთი საქმეებიც, რომელსაც მის გარდა
ძნელად თუ შეასრულებს ვინმე. ამ რთულ საქმეს მიეკუთვნება სხვადა-
სხვა აფიშები, თეატრალური იქნება ეს, საკონცერტო თუ სპორტული.
აფიშების დაკაბადონებას თავისებური გამოცდილება და ოსტატობა სჭი-
რდება და ყველას როდი შეუძლია შეასრულოს იგი, თანაც დროის ფაქ-
ტორია აქ მთავარი. აფიშა თავის დროზე უნდა მომზადდეს და დაიბეჭ-
დოს. დაგვიანებამ ხომ შეიძლება სპექტაკლი ჩააგდოს, ანდა სპორტულ
ღონისძიებას შეეშალოს ხელი?! კარგად იცის მიხეილმა, რომ ყოველი
წუთი განსაზღვრულია, ყოველი წუთი ძვირფასია, ძვირად ღირებული
და იგი საქმისათვის უნდა გამოიყენოს კაცმა. მანამ საქმეს შეუდგებოდეს,
ჯერ გულდასმით გადაათვალიერებს ტექსტს, გუნებაში გამოიანგარიშებს,
თვალით გაზომავს. სხვადასხვა საჭირო მასალებსა და სპეციალურ სააფი-
შო შრიფტს მოიმარაგებს და... საამქროს ბოლოში, ფანჯარასთან, საღაც
მეტი სინათლეა და სიხალვათე, გრძელი თუნუქვადაკრული მაგიდა დგას,
მაგიდაზე ასევე თუნუქვადაკრული სააფიშო დაფაა, დაფაზე სპეციალური
ჩარჩო, რომელშიც შრიფტებისა და საჭირო მასალების სიმეტრიულად

განლაგება, ანუ დაკაბადონება ხდება. ჩარჩოს მახლობლად, ხელმისაწვევ-დენად აწყვია წინასწარ მომზადებული სხვადასხვა ზომისა და დანიშნულების ხის შრიფტები და დასაკაბადონებლად აუცილებელი მასალა ქვადრატიანები. დგას მაგიდასთან მიხეილი და თავაუღებლად მუშაობს. ყოველი მისი მოძრაობა ზუსტია, წინასწარმოფიქრებული და საქმისათვის აუცილებელი, არავითარი ზედმეტობა და ფუსტუსი. თუმცა, რალა საჭიროა ყოველივე ეს, როცა კაცმა ზედმიწევნით იცის თავისი საქმე. მუშაობს მიხეილი. დრო კი მიდის, ნელ-ნელა, ზლაზვნით მიიწევს დრო წინ. მისთვის კი დრო საოცარი სისწრაფით გარბის და ეშინია, შინაგანად ეშინია, არ დააგვიანოს. თუმცა ისიც იცის, ეს შიში ამაოა და ზედმეტი. ყველაფერი თავის დროზე იქნება, ყველაფერი მოესწრება. ხანდახან პირდაპირ ყელში ამოგივა კაცს საქმე და თავგზას აგიბნევს, შენდაუნებურად აგაფორიაქებს. ყველაფერი ერთადაა გასაკეთებელი, ერთბაშად მოსაგვარებელი, ყველგან კი, ცხადია, ვერ იქნები. ხანდახან დღეში ხუთი აფიშის დაკაბადონებაც უწევს მიხეილს.

მაგრამ კარგი დაგემართოს, თუ მარტო აფიშების დაკაბადონებას გაკმარებენ და სხვას აღარაფერს მოგთხოვენ. ერთი წუთი არაა მოსვენება: ერთს გააკეთებ, მოითავებ და მშვიდად ამოისუნთქავ, რომ იმავ წუთს მეორე საქმე მოგდევს უკან. ისიც საშური, საქართველო, მოსათავებელი და მოსაგვარებელი. აგერ წიგნია დასაკაბადონებელი, გამომცემლობა ითხოვს, საქმე ფერხდება და აბა ხომ ვერ მიატოვებს. აგერ გვერდებია ჩასასწორებელი, რათა დროზე მომზადდეს წიგნი დასაბეჭდად, ეგერ კიდევ ნაწყობს უნდა მიხედვა, მის ჩაუსწორებლად ხომ წიგნის დაკაბადონებას ვერ შეუდგები. ეგერაა და დღეში ცხრაჯერ მაინც დაურეკავენ კანტორიდან, რალაცას სთხოვენ, რალაცას შეეკითხებიან, ახსენებენ, აჩქარებენ, მას კი არ სჭირდება შეხსენება და მოთხოვნა — იცის, ყველაფერი ახსოვს და იცის, მაგრამ რამდენ რამეს გაწვდეს?.. ეგერ კიდევ ხან ერთი მუშა მოაკითხავს, ხან მეორე, ზოგი ახალ სამუშაოს ითხოვს, ზოგი რალაცას ეკითხება, მან კი ყველას უნდა მოუსმინოს, ყველა უნდა გაარკვიოს, დაეხმაროს, ყველასათვის, ყველაფრისათვის უნდა მოიცალოს და გამონახოს საამისო დრო. ბევრს მუშაობს, ბევრს აქეთებს, მაგრამ გასაკეთებელი მაინც ბევრი რჩება და სწორედ ამიტომა, რომ გადაუხდელი ვალივით მიყვება ყოველ საღამოს მეორე დღისათვის გასაკეთებელი საქმის დარღი და წუხილი.

თავს გადაუკეცავს ლურჯ ხალათს, სახელოებით შემოისკვნის წელზე და მზადაა საქმისათვის. რა შრიფტს არ ნახავს აქ კაცი, რა ზომისა და გურნიტურის შრიფტი არაა აქ მოქმედებაში — რვიანი, ათიანი, თევესმეტიანი თუ ოციანი, მრგვალი, თხელი, დაწვენილი, მთავრული თუ ჩვეულებრივი. პეტიტი თუ კორპუსი, ქართული თუ რუსული, მაგრამ შრიფ-

ტის ნაკლებობა მაინც შესამჩნევად იგრძნობა. სამწუხაროდ სტამბას დღე-ისათვის არ გააჩნია ახალი ქართული შრიფტი, კადემიური, ნონქარელი, დუმბაძე და სხვა და სხვა. რა არ იწყობა და კაბადონდება აქ — მოსაწუკლები ბარათები, ტაბულები, დიაგრამები, კატალოგები, საბულიოლტრო და ვევი ბარათები, შემოსავლისა და გასავლის ბლანკები, საკანცელარიო წიგნე-ვორები, შემოსავლისა და გასავლის ბლანკები, საკანცელარიო წიგნე-ბი... და, რაც მთავარია, იწყობა წიგნები და უურნალი! ყოველი დამკვეთი და რაც მთავარია, იწყობა წიგნები და უურნალი! ყოველი დამკვეთი და რაც მთავარია, იწყობა წიგნები და უურნალი! ყოველი დამკვეთი და რაც მთავარია, იწყობა წიგნები და უურნალი!

წიგნის დაკაბადონება! ალბათ ბევრმა არ იცის, რაოდენ საპასუხის-მგებლო, შრომატევადი და რთული საქმეა ეს. წიგნის დამკაბადონებელმა ზედმიწევნით ზუსტად უნდა იცოდეს ზომები, იცოდეს აბზაცის რომელი და რამდენი სტრიქონი გადაიტანოს მეორე გვერდზე, სად ჩამატოს შპონი, სად მოაკლოს და სად მოუმატოს. შეიძლება ერთმა ზედმეტმა შპონმა დაარღვიოს გვერდის სიზუსტე. დამკაბადონებლის შეცდომა პირველად საბეჭდ მანქანაზე ჩნდება, პირველად მბეჭდავი აღმოაჩენს ხოლმე. ცუდად დაკაბადონებული წიგნის ბეჭდვა ჭირისდღესავით ეზარებათ მბეჭდავებს. და ეს სწორიცაა: თუ მბეჭდავმა ყოველი გვერდი არ გაასწორა, ისე ვერ მოიყვანს თავის ზომაზე და ნაბეჭდი ფურცლები წუნი გამოდის. მაგრამ რა უნდა ქნას? იცის, მაინც მისი გასაკეთებელია და ბუზლუნ-ბუზლუნით შეუდგება საქმეს. ამასობაში კი დრო იკარგება, მანქანა ცდება, ვინ იცის, აქამდე რამდენ ფურცელს ჩამობეჭდავდა უკვე. მაგრამ ხშირად ყველაფერში დამნაშავე დამკაბადონებელი კი არა, არამედ დაუდევარი, გამოუდელი და საქმის უცოდინარი ჩამსწორებელია, რომელიც ისე მიუმატებს ერთ სტრიქონს კაბადონს, თითქოსდა გვერდის რეზინასავით გაწელვა შეიძლებოდეს. იმას კი არ უფიქრდება, რომ ამით სხვას აწუხებს და საქმეს აფერებს.

ეს მაგალითი იმისათვის მოვიტანე, რომ მკითხველს ასე თუ ისე წარმოდგენა მაინც ჰქონდეს დამკაბადონებლის მეტად პასუხსავებ მოვალეობაზე და იმაზე, თუ როგორ ჯაჭვურადაა გადახლართული ერთი პროცესი მეორეზე და ხშირად როგორ აფერებს ერთის შეცდომა და დაუდევრობა მეორეს, როგორ იკარგება ამის გამო მეტად ძვირფასი, სტამბაში ოქროდ ლირებული დრო.

მიხელზე კი ამას ვერაფრით ვერ ვიტყვით. მბეჭდავებს უხარით მის მიერ დაკაბადონებული წიგნის ბეჭდვა. გაიტანენ მანქანაზე, მოამზადებენ დასაბეჭდად და მორჩა, ყველაფერი რიგზეა, ზომა მისხალ-მისხალა დაცული, არავითარი ჩამატება, მოკლება და გასწორება, მიღი და ბეჭდე.

საამქროში კიდევ ერთდებათ და კიდევ ეშინიათ მისი. მკაცრიცაა და

³ უურნალი „ჭოროხი“, № 1

სამართლიანიც, უსაქმოდ რომ დაინახავს ვინმეს, ანდა კიდევ ლაპარაკში გართულს, ერთს დაიქუსებს, აბობოქრდება და ყველაფერი რიგშეა, დაშნაშავე მაშინვე გრძნობს თავის დანაშაულს და უხმოდ ჰყიდებს საქმეს ხელს. წესრიგის მოყვარული კაცია მიშა, უწესრიგობას, უთაურობას და უყაირათობას ვერ იტანს, ანკი ვინ გაამტყუნებს ამისათვის. მასთან უმაზეზოდ ვერავინ ვერ დაიგვიანებს, ვერავინ ვერ გააცდენს ერთ წუთსაც კი. თუკი საამისო საშუალებაა, სულო ამოდი და წადიო ისე თუ არაა საქმე, თუ ასეთ დროს გაშვებას, გათავისუფლებას სთხოვს ვინმე, არასდიდებით არ გააწბილებს, აუცილებლად გაუშვებს. სამართლიანი კაცია: საამქროს, თავისი მუშაკების ინტერესებს კბილებით დაიცავს, იღავებს, იყვირებს და თავისას მიაღწევს.. ამის საილუსტრაციოდ ერთი მაგალითაც კმიარა: ერთ-ერთ ახალგაზრდა მუშას, ჩამრჩევს, ბებია გარდაეცვალა. აღგა ეს ჩამრჩევი და კანტორაში განცხადება აიტანა — ასე და ასეა საქმე და სამი დღის უფასო შვებულება მომეცითო. მისი თხოვნა დააკმაყოფილეს. მიხეიილს კი ამის შესახებ არაფერი სცოდნია. როცა საქმის ვითარება. აი, ასეთი კაცია მიხეიილ ნოვოჩენსკი. ერთი შეხედვით მკაცრი, გოროზი და კუშტი, ნამდვილად კი გულკეთილი, სამართლიანი და კაცომუგვარე.

როგორ მოხვდა იგი სტამბაში, არ გაინტერესებთ?

— შვიდწლების დამთავრების შემდეგ, 1930 წელს, გადავწყვიტე სალმე დამეწყო მუშაობა — ყვება მიხეიილი — ერთ დღეს, როცა ჩვეულებრივ სამუშაოს საძებნელად ვიყავი წასული, ქუჩაში ლამზად გაფორმებული აფიშები დავინახე. მივედი და მივაცერდი. ეს იყო ცირკის აფიშა. მეც შემეძლოს ასეთების გაკეთება-მეთქი. ვიღაცას ვკითხე კიდევ ამის შესახებ. მითხრა, ასეთებს სტამბაში ამზადებენო.

როცა ესა თუ ის ახალბედა პირველად შედის საწარმოში სამუშაოდ: ყველაზე მთავარი მნიშვნელობა უპირველეს ყოვლისა ერთ ფაქტორს აქვს — როგორი მასწავლებელი, როგორი ოსტატი შეხვდება მას. მან, ვისაც შენი აღზრდა ანდეს, შეიძლება საქმე ისე შეგაყვაროს, რომ მთელი სიცოცხლის განმავლობაში ამ პირველად არჩეულ გზას გაყვე და არასოდეს, არასდიდებით, არავითარ შემთხვევაში არ ინანო რამე. შეიძლება კი მოხდეს პირიქითაც — სულ თავგებდი იწყევლო, ეს როგორ დამემართა, ასე რამ შემაცდინა და აქ რამ მომიყვანაო. და სწორედ ამის გამოცაა, რომ იწყება ახალ-ახალი აღგილების ძებნა, წამლაუწუმ ახალი

და ახალი პროფესიების ათვისება და გამოცვლა. ამ მხრივ მიხეილს ნამ-
დვილად რომ გაუმართლა; მისი მასწავლებელი და პირველი გზის გამკვ-
ლევი ს. ხაზარავე იყო, ქუთაისის სტამბაში ყველაზე გამოცდილი ოსტა-
ტი, პირველი მეფიშე მთელს ქუთაისში. რა გასაკვირია, ასეთი მასწავ-
ლებლის ხელში არც შეიძლებოდა არ მოეზღომებინა, სიბეჭითე და მუ-
ლებლის ხელში არც შეიძლებოდა არ მოკიდებოდა საქმეს.

მოინდომა კიდევ, საქმემაც, გასაკვეთებელმა, ასათვისებელმა პრო-
ფესიამაც დაინტერესა. მალე აულო ალლო ყველაფერს. საქმე და გასა-
კეთებელი კი მარტივი და უბრალოდ დასაძლევი როდი იყო. გაფაციცე-
ბული მისჩერებოდა ხელებში ოსტატს, იმას სოვრებდა მის ყოველ მოძ-
რაობას, ყოველ ნათქვამ სიტყვას, შენიშვნასა და დარიგებას. ისინი ---
მასწავლებელი და მოსწავლე ადვილად უგებდნენ ერთმანეთს, უსიტყ-
ვოდ, უთქმებლადაც ესმოდათ ერთმანეთისა. ხელავდა, ხელებოდა მასწავ-
ლებელი, მოსწავლე მონდომებული, დაკვირვებული და მოწალინებული
იყო და უხაროდა, ძალიან უხაროდა გულში, თუმცა სიტყვით ტყუილუბ-
რალოდ არასოდეს შეაქებდა, არც უმიზეზოდ დატუქსავდა ზოგიერთი
ოსტატივით. წაქეზება კი უყვარდა: შენ ნუ გეშინია, გული ნუ გავიტყ-
დება, თანდათან ყველაფერს აითვისებ და შეეჩვევი. ერთბაშად გორის
ციხე არ აშენებულა, — ხშირად ეუბნებოდა მიხეილს.

— რამდენ ხანს უნდა ყოფილიყავი მოსწავლედ? — ვეკითხები დაი-
ნტერესებული. — თანრიგს როდის აძლევდნენ?

თოთქოს იხსენებსო, წამით სდუმს, დინჯად ისვამს ლოყაზე ხელის-
გულს, მერე კი მეუბნება: — მაშინ საქმე სულ სხვანაირად იყო. ახლა
რომაა, ისე კი არა: დებულების თანახმად ერთი წელი უნდა გასულიყო,
მხოლოდ ამის შემდეგ მიიღებდი თანრიგს. ახლა კი გაცილებით მოკლე
დროში შეიძლება მიიღო.

— მაშინაც კი, თუ მოსწავლე გაცილებით ადრე დაეუფლებოდა პრო-
ფესიას? — ვეძიები დაინტერესებული.

— კი, მაშინაც! — მიდასტურებს იგი, — მაგრამ უშვებდნენ გამო-
ნაკლისაც, თუმცა, ეს იშვიათად ხდებოდა. თუ მოსწავლე ერთი წლის
განმავლობაში სათანადოდ აითვისებდა ყველაფერს, მას ეძლეოდა გარკ-
ველი თანრიგი და ენიშნებოდა ხელფასი.

— და თუ ვერ დაეუფლებოდა, მაშინ?

— თუ ერთ წელიწადში ვერ დაეუფლებოდა, არა? მაშინ. ჩემო ბი-
ძია, გეტყოდნენ: სტამბაში სამუშაოდ არ გამოდგებიო და უბოდიშოდ მი-
გაბრძანებლენ გარეთ.

— შენ რამდენ ხანში აითვისე პროფესია. მიშა-ბატონნო?

— სამ თვეში.

— სამ თვეში? ალბათ ძალიან ნიჭიერი იყავი.

— რა ვიცი, აბა?! — ხელებს შლის და იღიმება: — არა, უნიჭო როდი ვიყავი, მაგრამ, რაც მთავარია, მასწავლებელი მყავდა საუკეთესო. ისე აგიხსნიდა, თავში ჩაგიდებდა პირდაპირ. მოგესმინა, დაინტერესებულიყავი, მოგენდომებინა და მეტი არ იყო საჭირო.

ყველაფერს თავის ყოფილ მასწავლებელს მიაწერს. მაგრამ ერთი კათხვა ისმება: ახლაც ხომ არიან კარგი მასწავლებლები? და თუ არიან, რატომ არაა საიმედო პოლიგრაფისტების ახალი კადრი, ახალი ცვლა, რომელსაც ძველი კადრის შეცვლა შეეძლება? ეს კითხვა მიტრიალებს თავში, მინდა ვკითხო. ამაშიაც გავერკვე, მაგრამ, რატომლაც მერიდება და ჩემს განაფიქრს ვერ ვუმხელ.

მას კი ლითონის სპეციალური დაფით მოაქვს ჩასწორებული ნაწყობი და განაგრძობს წიგნის დაკაბადონებას.

ისევ ისე, მდუმარედ ვუცქერი მუშაობაში გართულს. არც ის იღებს ხმას და კარგახანს გრძელდება დუშილი.

— შემდეგ რა იყო მიშა-ბატონი? — ვაპარებ შეკითხვას.

— შემდეგ? — ცალ წარბს სწევს, ხელის ზურგს ისვამს ტუჩებზე და ჟოკლედ სჭრის: — ისეთი არაფერი: ვმუშაობდი, თანდათანობით ვეუფლებოდი პროფესიას და, თანაც, კომკავშირულ ათწლედში ვსწავლობდი.

1937 წელს მიხეილი სამხედრო კომისარიატში გამოიძახეს და დაუწყეს სამხედრო საქმის სწავლება. ორი თვის შემდეგ მას სროლის ინსტრუქტორის წოდება მიანიჭეს. იმავე წლის ზაფხულში იგი სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაიწვიეს. შემდეგ კი, როგორც პოლიგრაფისტი, გადაიყვანეს ერთ-ერთი სამხედრო გაზეთის სტამბაში ასოთამწყობად.

— იცი ვინ თანამშრომლობდა მაშინ გაზეთში? — მეკითხება მოულოდნელად და თვითონვე მაძლევს პასუხს: — ჩემი სენია, მიხეილ და ვითაშვილი, ახლა გაზეთ „სოფლის ცხოვრების“ რედაქტორი რომა.

1939 წელს, სავალდებულო სამსახურის მოხდის შემდეგ მიხეილი ისევ ქუთაისში დაბრუნდა და მშობლიურ სტამბაში განაგრძო მუშაობა.

მაგრამ იქ დიდხანს არ დარჩენილა. რამდენიმე თვის შემდეგ კომკავშირის საქალაქო კომიტეტში გამოიძახეს: კომკავშირული საგზურით უნდა წახვიდეო, უთხრეს.

— მაინც სად მგზავნით? — დაეკითხა მიხეილი მდივანს.

— აჭარაში. — იყო პასუხი. — ჩახვალ ბათუმში, იქედან კი ისინი გაგზავნიან სადაც საჭიროა. რას იზამ, წახვალ?

— წავალ, — მტკიცედ მიუგო მიხეილმა, — თუ საჭიროა წავალ.

მეორე დღეს უკვე ბათუმში იყო. აქედან იგი ხულოში გაგზავნეს. იქ სამი თვე დაჰყო, შემდეგ კი ქედის რაიონულ სტამბაში გადაიყვანეს. თე-

ქვემეტი წელი დაჰყო მიხეილმა იქ. აკაბაღონებდა გაზეთს „ბოლშევიკუ-
რი ქოლმეურნეობისათვის“, სხვადასხვა აფიშებს... გაზეთის მეათასე ნო-
მრის გამოსვლასთან დაკავშირებით იგი აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დააჯილდოვეს.

დადი ავტორიტეტით, სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობ-
და მიხეილი ქედელ მშრომელებს შორის. მას აფასებდნენ როგორც
კარგ სპეციალისტსა და კარგ მეგობარს, როგორც გულისხმიერ მასწავ-
ლებელსა და თავისი საქმის ზედმიწევნით მცოდნეს.

ნუთუ არასოდეს გაჭირვებია მუშაობა ამ კაცს? გაჭირვებით როგორ
არ გაჭირვებია, მაგრამ შეზარებით კი ერთხელაც არ შეზარებია და ეს
უკი ალბათ გადამწყვეტი. ერთხელაც არ დაუწუწუნია და არ გაუთახავს
თავისი თავი იმის გამო, რომ მაინცდამაინც ასეთი პროფესია აირჩია. გან-
საკუთრებით ომის წლებში უჭირდა მიხეილს. რედაქტირაში ხალხი - აკლ-
დათ, თავის დროზე არ აწვდიდნენ დასაკაბადონებელ მასალას. გაზეთი
კი ხელით იწყობოდა, აბა სად იყო ლინოტიპები, ღარიბი იყო საშრიფტო
მეურნეობა, დაკაბადონება ხდებოდა გვიან ღამით, ლაპხის შუქზე, ძნე-
ლდებოდა საბეჭდ მანქანაზე შეცდომების ჩასწორება. მაგრამ ყველაფერს
უძლებდა მიხეილი, მტკიცედ იღგა თავის პოსტზე. მან იცოდა მხოლოდ
ერთი რამ: ასე იყო საჭირო, ამას მოითხოვდნენ მისგან, ამას მოითხოვდა
მისი სინდისი და პატიოსნება. გაზეთის დაგვიანება არაფრით არ შეიძლე-
ბოდა. იგი თავის დროზე უნდა გამოსულიყო და გამოდიოდა კიდეც. ვინ
იცის რამდენი ცივი, ყინვიანი ღამე გაუთენებია სტამბაში ნახევრად მძი-
ნარეს, მაგრამ მაინც ფეხზე მდგომს, მხნესა და იმედიანს.

მარტო საქმის კარგი შემსრულებელი როდი იყო მიხეილი. იგი ამა-
ვე დროს კარგი, გულისხმიერი მასწავლებელი იყო, ისეთი, რომელიც
ყველაფერს აუხსნის მოსწავლეს, შესწავლის, გაარკვევს და, რაც მთავა-
რია, საქმის, პროფესიის სიყვარულს შთაუნერგავს. მას ყველალაფერზე
შეეძლო მიეცა თავისი მოსწავლისათვის, მისგან კი მხოლოდ ერთსა და
ერთადერთ რამეს მოითხოვდა — რასაც თვითონ ასწავლიდა, ის აეთვისე-
ბინა და გულით მოკიდებოდა საქმეს.

ბევრი პოლიგრაფიისტი გამოზარდა მიხეილმა ქედაში მისი მუშაობის
თევესმეტი წლის მანძილზე. ბევრი მათგანი ახლაც წარმატებით შრო-
მობს ქედის სტამბაში და განაგრძობს იმ საქმეს, რაც ერთხელ მიხეილმა
შესწავლა და შეაყვარა. აი, ზოგი მათგანი: ა. გორაძე, ა. შერვაშიძე,
ქ. ღიასამიძე...

— განა შენი ყოფილი მოსწავლეებიდან არცერთი არ ჩამოშორებია
სტამბა? — ვეკითხები მას.

— კი, ზოგიერთები ჩამოშორდნენ, — მპასუხობს იგი, — მაგრამ
უშეტესობა ხომ დარჩა?

დარჩა და სწორედ ეს უმეტესობა ამართლებს კიდეც მას და მარტო აქედანაც ჩანს, რომ მის ღვაწლს ამაოდ არ ჩაუვლია.

ომმა ბევრის სიცოცხლე შეიწირა, ბევრი ველარ დაუბრუნდა. მომზ-ლიურ სახლ-კარს. მას ვერც მიხეილის მოსწავლეებიც გადაურჩნენ. დიდ სამამულო ომში დაიღუპნენ მისი აღზრდილები, ძმები დისამირება, რომელთაც ახლაც გულისტკივილით იგონებს.

გადიოდა დრო. თვე თვეს მისდევდა, წელი წელს. თანდათანობით ოსტატდებოდა მიხეილი, ეუფლებოდა ცოდნას, ეზიარებოდა პოლიგრა-ფიის საიდუმლოებებს. ყოველი დღე რაღაც სიახლის მომტანი იყო მისთ-ვის, რაღაც ახლის შემოქმედი და დამბადებელი. ეს თავისთავად გასაგე-ბიცაა, დღევანდელმა დღემ ყოველთვის უნდა აჯობოს გუშინდელს, ხვა-ლინდელმა კი დღევანდელს. ამაშია სწორედ აღამიანის არსებობის ასა-და უპირველესი მიზანი.

ქედის რაიონული სტამბიდან ბათუმის რაიონულ სტამბაში გადმოვი-და მიხეილი. იქიდან კი, 1963 წელს ბათუმის მეცხრე სტამბაში განავრძო-მუშაობა...

თავისთავად ცხადია, რომ ყოველ წარმოებას, ქარხანა იქნება ეს, ფაბრიკა, კომბინატი თუ მსხვილი საწარმოო გაერთიანება, თავისი შინა-განი, ჭერ კიდევ გადაუჭრელი პრობლემები აქვს მოსაგვარებელი. ეს პრობლემები, რომელიც გარეშე პირთათვის დაფარულია, უცხო და შეუ-მჩნეველი, ალელვებს კიდეც ამა თუ იმ საწარმოს ხელმძღვანელობას. იგი ასე თუ ისე ყველაზე უფრო სტამბაში იჩენს თავს. ამას კი თავისი მიზე-ზები გააჩნია, რომლის გარაშუვება არცოუ ისე ადვილი და ხელშამოსაკ-რავი საქმეა. აქ, სტამბაში იმდენი რამაა გასაკეთებელ-მოსაგვარებელი, რომ პირდაპირ დაიბნევა კაცი, ვერ გაიგებ, რომელი საქმიდან დაიწყო უბირველესად და რომელით დაამთავრო, სწორედ ეს მოსაგვარებელი სა-ქმები, გადაუჭრელი პრობლემები არ აძლევს გასაქანს აქარის პოლიგ-რაფიული საწარმოო გაერთიანების ხელმძღვანელობას. სწორედ ამაზე შესტკივათ გული სტამბის მესვეურებს. მათ შორის, რა თქმა უნდა, მი-ხეილსაც.

სტამბაში უმეტესობა ძველი მანქანებია, ნაკლები, მცირე წარმადო-ბისა. მათ შორის ნამდვილი ვეტერანებიც არიან 70-80 წლის წინათ გა-მოშევაბული. უმეტესობა ამ მანქანებისა დიდიხნის წინათ იყო ჩამოსაწე-რი. რაღა თქმა უნდა, ასეთი ტექნიკით ძნელია გეგმის შესრულება. არ კმარა მუშახელი, არ არის კადრი, სპეციალისტები!

ჰოდა, ვინ უნდა იზრუნოს ყოველივე ამაზე? რა თქმა უნდა სტამბის ხელმძღვანელობამ, ყველა იმათგანმა, ვისაც ნამდვილად შესტკივა გული რესპუბლიკის პოლიგრაფიულ ცენტრზე... ზრუნავენ კიდეც და რამდენად სასიხარულოა ის ფაქტი, რომ ამ მხრივ უკვე მოხდა ძრა, გაღაიდგა გარ-

კვეული ნაბიჯი. მაგრამ ყველაფერი ის, რაც გაკეთდა, მხოლოდ და მხოლოდ წვეთია ზღვაში იმასთან შედარებით, რაც გასაკეთებელ-მოსაგვარებელია. ამ საერთო და მოსაგვარებელ საქმეში მიხელი გვერდზე როდიდას; მას ყოველთვის აქვს რაღაც ახალი, საქმიანი წინადაღება, რომელიც რაღაცით მაინც წინ წასწევს საქმეს და გამოასწორებს მდგომარეობას. სასიხარულოა, რომ დირექცია ყოველთვის ყურად იღებს მიხეილის წინადაღებას.

ცნობილი ფაქტია: თუ აღაშიანს ნამდვილად უყვარს თავისი საქმე, თავისი პროფესია, იგი ყოველთვის ცდილობს გვერდზე გადასდოს საკუთარი, პირადული და უპირველეს ყოვლისა საერთო, საზოგადოებრივი წარმოაჩინოს წინა პლანზე. ასეთი მშრომელი კაცი ნამდვილად ბედნიერია. იგი თავისუფალია ყოველგვარი ქვენაგრძნობებისაგან.


„ბედნიერების უმჭველი პირობა შრომაა: ჯერ ერთი, საყვარელი და თავისუფალი შრომა, მეორეც ფიზიკური შრომა, რომელიც კაცს მაღას ულყიერბს და მაგარ, მშვიდ ძილს ჰგვრისო“, ამბობდა ლევ ტოლსტიო. და რომ ჰყითხო მიხეილს ახლა, ხარ თუ არა ბედნიერიო, მაშინვე, უყოყმანოდ დაგიდასტურებს: კი, ბედნიერი ვარო! და, რა თქმა უნდა, უპირველეს ყოვლისა მის ბედნიერებას მისი დაუზარელი და პატიოსანი შრომა განაპირობებს.

ბევრი რამ აფიქრებს ახლა ძველ ოსტატს, ბევრ რამეს უძირისძირდება და ეძებს კიდეც იმ ნაკლოვანებებისაგან თავის დახსნის გზებსა და საშუალებებს, რაც ჯერ კიდევ, სამწუხაროდ, შესამჩნევია სტამბის მუშაობაში და რაიც აგრერიგად ამუხრუჭებს საწარმოს.

თუკი ახლა სადმე, რომელიმე საწარმო სპეციალისტთა ნაკლებობას განიცდის, რაღათქმა უნდა, უპირველეს ყოვლისა ამ მხრივ ყველაზე უფრო პოლიგრაფიულ საწარმოს შია. მათ შორის კი ყველაზე უფრო ბათუმის სტამბას. აბა რაღა დასამალია და ახლა სტამბაში ცოტანი დარჩნენ კარგი სპეციალისტები, ისეთები, ერთხელ უკვე შესრულებული საქმე ხელმეორედ გასაკეთებელი რომ არ დაურჩეთ. დისხ, ცოტაა ასეთი კადრი, და არცთუსავ დიდი იმედია იმისა, რომ ახლო მომავალში იქნება. ეს კადრები, სპეციალისტები ჰაერივით ესაჭიროება სტამბას.

ახალგაზრდობა გაურჩის სტამბას. არ სურს აქ იმუშაოს, დაუფლოს პროფესიას, გახდეს კარგი სპეციალისტი. პირობები არ არისო, გაიმართლებს თავს ზოგიერთი. მაგრამ განა ეს სწორი და მართებულია? განა მაშინ უფრო უკეთესი პირობები იყო, როცა მიხეილი და მისი თანატოლები მიღიოდნენ სტამბაში პოლიგრაფიის ანბანის შესაბწალიად? სხვას რომ თავი დავანებოთ, სტამბაში მუშაობა საინტერესოა, მიმზიდველი, საოცდა შემოქმედებითი. თუ, რა თქმა უნდა, თვითონ ახალგაზრდა, ახალბედი და იგრძნობს, ჩაწვდება ამას, თუ შემოქმედებითად მიუღება ამ საკითხს.

შინებილისნაირ აღამიანებზე უთქვამს პოეტ სტეფანე შჩიპაჩევს ეს სტრი-
ქონები...



ოცდაათწლისას გვქონდა ჭალარა,
არ ვტერდებოდით სამოცისანი!

არა, მას არასდიდებით არ შეუძლია დასვენება და უქმად ხელისგუ-
ლების დაქრეფა მკერდზე. მან კარგად იცის, რომ სწორედ მოძრაობაშია
სწორედ საქმიანობაშია ცხოვრების მთავარი აზრი, არსი და უპირველესი
მიზანი.

— რომ არ ვიმუშაო, რომ გავჩერდე, ასე მგონია ნამდვილად მოვკ-
ვდები, — მეუბნება იგი და წამიერი პაუზისა და ჩაფიქრების შემდეგ
ისევ განაგრძობს დინგად: — მეტყვიან ხანდახან: რა გაგიჭირდა კაცო,
ამხელა პენისას ღებულობ, ცუდად არ ცხოვრობ, ამდენხანს ხომ იმუშა-
ვე, გეყო აწი, დაჯექი, დაისვენე და ჭამეო. რა იციან მათ? განა მარტო
ჭამისათვის და ფულის გასაკეთებლად შრომობს კაცი?

კეთოლსინდისიერ შრომას შეჩერეულმა კაცმა არც შეიძლება სხვა-
ნაირად იმსჯელოს და იფიქროს. არც შეიძლება ამისთანა წრთობის კაცმა
სხვანაირად იწამოს და ირწმუნოს, ასეთმა კაცმა არ შეიძლება ბოლომდე
არ იმუშაოს, სანამ შეეძლება, არ იშრომოს ისე, როგორც ბებერმა ხარმა
რომ დაიღლება, დაიჩოქებს, უღლის ქვეშ და მაინც აიტანს, მუხლებით
აიტანს აღმართში ტვირთს.

— იმის მიხედვით კი არ უნდა იმუშაო კაცმა, თუ რამდენს გინაზ-
ლაურებენ შრომაში, არამედ იმის მიხედვით, თუ რამდენად რგებს შენი
შრომა წარმოებასა და შენს კოლექტივს, — იტყვის ხოლმე ხანდახან
სხვების, ახალგაზრდა, ახალბედა მუშების გასაგონად და შესაგონებლად.
და ეს სწორიცაა, ასე თუ არ გწამს, მაშინ არც წარმოებისათვის ვარგი-
ხარ და არც საკუთარი თავისათვის.

ალბათ ბევრმა იცის, თუ რა კარგი, გამართული, ყოველმხრივ აღჭუ-
რვილი კომბინატი აქვთ ქუთაისელ პოლიგრაფიისტებს... უამრავი ნაცნობ-
შეგობარი ჰყავს მიხეილს ქუთაისში. პოდა, თავისუფალ დროს ჩავა, ჩა-
კითხავს კოლეგებს და არასოდეს ხელცარიელი არ დაბრუნდება უკან —
ხან რას ჩამოიტანს სტამბისათვის და ხან რას. და ამას აკეთებს სრულიად
უანგაროდ, დაუგალებლად, საკუთარი ინიციატივით, ყოველგვარი
გადახდისა და ანაზღაურების გარეშე. სწორედ აქედანაც ჩანს მისი კაიკა-
ცობა და პროფესიული აღალმართლობა.

მარტო შენ რომ იცოდე, მარტო რომ შენ შეგეძლოს და გეხერხებო-
დეს, ეს როდია მთავარი, ეს როდია საქმარისი. თუ საერთო, სახალხო სა-
ქმისათვის ნამდვილად კი შეგტკივა გული, სხვებმაც უნდა იცოდნენ, უნდა
ვარკვეოდნენ და გაეგებოდეთ, უნდა ასწავლო, უნდა გაუზიარო შენი ცო-

დნა-გამოცდილება...“ — არარად ვაგდებ რაიმის ცოლნას, თუნდაც ერთობ ფარსაგისა, თუ კი მეტყვიან შენ ერთმა უნდა იცოდე ეგა და სხვამ არავინო. ზენარი სიბრძნეც რომ ეწილადებინათ ჩემდა, ოღონდ ერთის პირობით, იყუჩე, არ გაამხილოო, უკუვაგდებლი ალბათ”, ამიტომდა სენეკა.

ასე ამბობს მიხეილიც, ასე სწამს მას, ასე სჯერა და მიაჩნია. გარტო მან იცოდეს ყველაფერი და სხვამ კი არავინ, ასეთ ცრუ მოძღვრებასა და მცდარ ჭეშმარიტებას ვერ იგუებს იგი.

— ვინმე რომ მოვიცოდეს, ახალგაზრდა, რომელიც ბოლომდე დარჩებოდა და იმუშავებდა აქ, ძალიან გამიხარებოდა. ავდგებოდი, ავუსტინიდი, ყველაფერს შევასწავლიდი, მაგრამ არავის რომ არ მოდის? არავის რომ არ უნდა? არადა ყოველთვის ხომ არ ვიქნები კაცო მე?! — უყვარდა ხოლმე თქმა დაფარული გულისტკივილით.

და აი ეს სურვილიც შეუსრულდა ვეტერანს, ვისაც ნატრობდა მოვიდა კიდეც, მოვიდა ისეთი, როგორიც მას სურდა — ახალგაზრდა, მკვარცხლი, საზრიანი, მონდომებული და საქმის მოყვარული. ნამუსიანად, გულისყურით მოეკიდა საქმეს. რამდენიმე თვის განმავლობაში თავისებურად წრთვნიდა და მოძღვრავდა მას მიხეილი. უსსნიდა, ასწავლიდა, არა კვევდა. თანაც იმასაც ეუბნებოდა რომ აქ, სტამბაში მუშაობა შეტაც საინტერესო, შემოქმედებითია და მეტად საჭირო. პირველ ხანებში, რაღა თქმა უნდა, ისე იოლად როდი წარიმართა საქმე, როგორც მათ — მასწავლებელსა და მოსწავლეს სურდა, მაგრამ მიხეილმა კარგად იცოდა, რომ ერთბაშად, ერთი ხელის მოსმით არაფერი კეთლება და თავის აღსაზრდელს შრომასთან ერთად მოთმინებასაც ასწავლიდა, პირველად საშროფტე მეურნეობა, შრიოფტის სახეობები გააცნო, მერე კი თანდათან რთულ საქმეებშიაც გაარკვია. წიგნის დაკაბალონებისას ამოიყენა გვერდით და დაკაბალონების „საიდუ-მლოებების“ გამხელასაც შეუდგა... მალე გაუგეს და შეეთვისნენ ერთმანეთს ახალბედა და ვეტერანი. საკმარისი იყო ისტატის ერთი სიტყვა, რომ მოსწავლეს იგი უსიტყვოდ შეესრულებინა. შესცემროდა მიხეილა მას და უხაროდა გულში ასეთ მონდომებულსა და მოწადინებულს რომ ხედავდა: — „არა, თუ არ იზარმაცა და გული არ აიცრუა საქმეზე, მავალ კედავდა: — „არა, თუ არ იზარმაცა და გული არ აიცრუა საქმეზე, მავალ კარგი პოლიგრაფისტი დადგება, კოჭებში ეტყობა“ — ფიქრობდა და რატომლაც თავისი ახალგაზრდობა, თავისი პირველი ნაბიჯები, პირველი გაკვეთილები სტამბაში და თავისი ყოფილი მასწავლებელი ახსენდებოდა.

ახლა უკვე მიხეილის ყოფილი მოსწავლე ედიშერ გირკელიძე მეოთხე თანრიგის პოლიგრაფისტია. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რაოდნენ რთულია ასოთამწყობის პროფესიის ათვისება, ისიც სულ რაღაც რამდენიმე

თვე ში, მაშინ ეს მნიშვნელოვან წარმატებად და გამარჯვებად უნდა ჩა-
ვუთვალოთ ორივეს — მიხეილსაც და ელიშერსაც, ახლა ედიშერი ყო-
ველ პროცესს ისე კარგად, ისე შეუძლია ასსრულებს, როგორც მაშინ
თავის ყოფილ მასწავლებელს სურს და შეუძლია.

ახლაც ისევ ერთად არიან ვეტერანი და ახალბედა, მხარდამხარ უდ-
განან ერთმანეთს, ერთად აკეთებენ ყველაფერს და საოცრად კარგად ეს-
მით ერთმანეთისა.

სამწუხაროდ ამჟამად საამქროში ცოტანი არიან თავიანთი საქმის ისე-
თი სპეციალისტები როგორებიც, ვთქვათ, ასოთამწყობი გალია სინიან-
სკაა და ლინოტიპისტი ზაირა ჭლარკავა არიან. ეს უკანასკნელი თექვემე-
ტი წლისა ყოფილა სტამბაში რომ მოსულა სამუშაოდ. ახლა იგი სტამბის
საუკეთესო ლინოტიპისტია და დღიურ ნორმებს დიდი გადაჭირებით —
120-150 პროცენტით ასრულებს, ამასთან, მისი აწყობილი ტექსტი უშეც-
ლომოა. მიხეილი ძალიან ემადლიერება მას, კმაყოფილია მისი მუშაო-
ბით: — აი, ასეთები ბარე სამი რომ მოგვცა, კაი დაგემართოს, მაშინ არა-
ფერი არ გაგვიჭირდებოდა. გეგმას შევასრულებდით კი არადა გადავაჭა-
რებდით კიდეც, — იტყვის ხოლმე ხანდახან, — აი, შეხედე, მის აწყო-
ბილ გრანქებში თითო-ოროლა შეცდომას თუ მიაგნებ... მაგრამ საჯ
გვყავს ასეთები?

და მართლაც, სამწუხაროდ ასეთი სპეციალისტები არამარტო ამ საამ-
ქროში, მთელ სტამბაშიაც თითებზე ჩამოსათვლელები არიან. და სწორედ
ამის გამოა ასე რომ უჭირს სტამბას.

საუბარი ჩამოვარდა ახალი კადრის, ახალი სპეციალისტების მომზა-
დების გარშემო, დაისვა კითხვა, თუ სად უნდა მომზადდეს ეს სპეციალი-
სტი — უშუალოდ აქ, საწარმოში თუ თბილისის პოლიგრაფიულ ტექნი-
კურში?

ამაზე გიხეილს თავისი აზრი აქვს: — მე, რა თქმა უნდა, ტექნიკურის
საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, მაგრამ... თუ კარგად ჩავულრმავდებით
საქმეს, კადრის მომზადება მაინც აქ, უშუალოდ საწარმოშია უკეთესი და
აი რატომ: შენს მიერ მომზადებულ მოსწავლეს უფრო ესმის შენი, უფ-
რო გიგებს, უფრო გეჩევევა, საქმესაც უფრო გულდადებით აკეთებს...
ამასწინათ ტექნიკურიდან მოსწავლეები გამოგვიგზავნეს საწარმოო პრაქ-
ტიკაზე. გაინცდამაინც არ უსკდებოდათ ცოდნით თავი. ერთს დავავალე-
ბპონები მომიტანე-მეთქი და მარზანები დამიხვავა მაგიდაზე. როგორ,
შპონი რაა და მარზანი რაა ეს არ ასწავლეს იქ? ასწავლეს, მაგრამ არ ის-
წავლა, არ აითვისა...

იმაზე დავა, თუ უშუალოდ სად ჭობია მოსწავლის მომზადება, ალ-
ბათ ძალიან შორს წაგვიყვანდა, მაგრამ ჩემი აზრით, ამ საქმისა მიხეილს
უფრო გაეგება...

გადაწყდა, ბათუმში უნდა აიგოს ტექნიკის უკანასკნელი სიტყვით
აღჭურვილი პოლიგრაფიული კომპინატი. პროექტი უკვე დამტკიცებულია და მალე მშენებლობაც დაიწყება. მაგრამ სანამ ეს მოხდებოდეს,
სანამ ახალი კომბინატი ჩიდგებოდეს მწყობრში, საჭიროა მთელი ძალების
მობილიზება, რათა არსებული გზით, არსებული რეზერვებისა და შესაკლებლობის სრული ამოქმედებით წინ წაიწიოს საქმემ, გამოსწორდეს ის
ხარვეზები და ჩავარდნები, სამწუხაროდ ჯერ კიდევ რომ გააჩნია ბათუმის
სტამბას. საჭიროა აქედანვე შევუდგეთ ზრუნვას იმაზე, რათა დროულად
მომზადდეს პოლიგრაფისტთა ახალი კადრი ახალი კომბინატისათვის.

— რას იზამ მიშა-ბატონო, ძველებურად იმუშავებ ახალ კომბინატში, თუ დაისვენებ? — ვეკითხები მე.

— შენ რა, სიძაბუნე შემატყვე თუ?... ვიმუშავებ და მეტსაც არ ვაჲშამ? ერთი ისე დავტრიალდები... — სათქმელს აღარ ამთავრებს და ოცნებაში წასულივით იღუმალად მომლიმარე განაგრძობს საქმეს.

ბევრი მედალი და ჯილდო აქვს მიღებული მიხეილს პოლიგრაფიის
დარგში ხანგრძლივი და უანგარო მუშაობისათვის. შარშან იგი საკავშირო ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტმა უანგარო მუშაობისათვის
სპეციალური სიგელით დააკილდოვა, მიღებული აქვს მესამე ხარისხის
ორდენი „შრომითი მამაცობისათვის“.

ჯილდო, დაფასება ახარებს მუშა-კაცის გულს.

სამუშაოდან ჩვეულებრივ ყველაზე გვიან წასული ნელ-ნელა მიუჟვება ნაცნობ ქუჩებს, გზაზე ნაცნობებს ესალმება, ქუდს მოუხდის, თავს დაუკრავს, ხელს ჩამოართმევს და მოიკითხავს. ისე აბა როგორ მოხდება, რომ გზად წიგნის მაღაზიაში არ შეიაროს და თვალი არ გადაავლოს წივნებს, არ გადაათვალიეროს და მისთვის საჭირო წიგნი არ აირჩიოს. სახლში მისული ივახშებს, გაზეთებს გადაათვალიერებს, მერე მეუღლესთან ურთად საინტერესო ტელეგადაცემას ნახავს და მერე იძინებს, რათა მეორე დილით, როგორც ყოველთვის, ჩვეულებრივ აღრე აღგეს და სამუშაოს დაწყებამდე ერთი საათით აღრე მაინც მივიდეს თავის საამქროში, რომ ყოველმხრივ მომზადებული შეხვდეს ახალ, მორიგ სამუშაო დღეს.

და, არ მოშლოდეს მიხეილს ეს გზები და ეს საზრუნავი.



ნიკო კაცხელვაძი

ბათუმის წარსული და განვითარება

1925 წლის 25 სექტემბრიდან 5 ოქტომბრამდე ბათუმში ჩატარდა „შავი ზღვის სანაპიროსა და დასავლეთ კავკასიის მხარეთ მცოდნების მეორე ყრილობა“.*

ამ ყრილობის მონაწილე მეც გახლდით და მთელი ათი-თორმეტი დღის განმავლობაში რაღაც უცნაური სითბო და სიყვარული ღვიოდა გულში. ისეთი გრძნობა შეინდა, რომ ყველა ჩვენთაგანი, თბილისიდან ჩამოსული, ვალდებული იყო ეს სითბო, სიყვარული უფრო გაეღვივებინა, უფრო გაეძლიერებინა და მოძმე აჭარლები გულში ჩაეკრა. ქუჩაში, როდესაც სოფლებიდან ჩამოსული გლეხები გვხვდებოდნენ გაბ-

რწყინებული თვალებით ვხვდებოდით, ვჩერდებოდით, გამარჯობას ვეუბნებოდით და შინაურულად მოვიკითხავდით, ასევე გვიპასუხებდნენ, იცოდნენ, გვამჩნევდნენ, ყრილობის დელეგატები ვიყავით. „ჩვენი ხალხი ხართ“, იტყოდნენ და იღიმებოდნენ.

თბილისიდან ჩამოსულთ დაგვეუფლა ისეთი გრძნობა, თითქოს ისევე უნდა დაგვეცვა აჭარა, როგორც ეს ხდებოდა 1878 წელს ან 1915 წელს.

როდესაც 1878 წელს აჭარა კვლავ შემოუერთდა საქართველოს, მოხდა უცნაური ამბავი. დაიწყო აჭარლების აჭარიდან წასვლა, „მუჰადირობა“. პირველ ხანებში აღმინისტრაციაც მოსახლეობას ისე ეკიდებოდა, როგორც დაპყრობილ უცხო ხალხს და არა კვლავ შემოერთებულ ქმას. ეს ეუცხოვათ და ვერ შეე-

* Второй Краеведческий съезд Черноморского побережья и Западного Кавказа 25/IX—5/X 1925 г. постановления и резолюции. Батуми — 1925.

გუენ ამას. ქართველი ინტელიგენცია სწრაფად ფეხზე დადგა, შექმნეს კომიტეტი აჭარელთა დასახმარებლად: ილია ჭავჭავაძე, ავაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე და სხვა მოწინავენი ჩვენი მაშინდელი ცხოვრებისა, ჩაებნენ მუშაობაში, რომელსაც ეს უკულმართობა უნდა გამოესწორებინა.

ასევე მოხდა 1914-15 წლებში, როდესაც მეორე მსოფლიო ომის დროს რუსეთის ჭარმა უკან დაიხია. მოინდომეს აჭარელთა გადასახლება და აი სწორედ ამ დროს მთელი საქართველო ფეხზე დადგა. გულიც შესწევდა და მუხლიც. 1915 წლის საქართველო არა ჰგავდა 1878 წლის საქართველოს, ამ ღროისათვის ის წელგამართული იყო თავისი მოწინავე ინტელიგენციით, მრავალი განეთი გამოდიოდა, რომელთაც ერთსულოვნად აიმაღლეს ხმა ამ დიდი უსამართლობის წინააღმდეგ. მიყრუებულ სოფლებში, შორეულ ციმბირში გადასახლებულ ქართველთა კოლონიებში, გერმანია-ავსტრიის ფრონტის ქარისკაცებში, ჩვენს სკოლებში აგროვებდნენ ფულს აჭარელთა დახმარების ფონდისათვის. ერთსულოვნებამ თავისი გაყეთა, ბოროტ განზრახვაზე ხელი აიღეს.

და აი, 1925 წელს, როდესაც დავდიოდი ბათუმის ქუჩებში, აჭარის მიწაწყალზე, ვგრძნობდი, რომ მთელი ჩემი არსება, და არა მარტო ჩემი, სავსე იყო 1878 და

1915 წლების გრძნობებით, რომ საჭირო იყო დაგვეცვა ღვიძლი ძმები.

საჭმე იმაშია, რომ ეს ყორილობა მოიწვია შავი ზღვის სანაპიროს მხარეთმცოდნეობის საზოგადოებამ ისე, რომ საქართველოს რესპუბლიკის საზოგადოებრიობა სთანადოდ ინფორმირებული არ იყო, რის გამო ამ ყრილობის მთავარი მონაწილენი უნდა ყოფილიყვნენ უმთავრესად ძველი წევრები, რომელთაც დაკარგული პქონდათ ძველი პოზიციები. ამ ყრილობის პირველი ორგანიზატორების ასეთი განწყობილება და ტენდენცია აისახა ყრილობის რეზოლუციების წინასიტყვაობაში.**

„მხარეთმცოდნეობის მეორე ყრილობამ დაამტკიცა, რომ ამ საზოგადოების ზოგიერთი ისეთი ჯგუფის, რომელთაც საბჭოთა რუსეთში დაკარგეს პოლიტიკური პოზიციები, მცდელობა კონტრაბანდულად გაატარონ თავისი ძველი პოზიციები კულტურულ-საზოგადოებრივი მუშაობის ნაღაბქვეშ, საბოლოოდ განწირულია და საბჭოთა სინამდვილეში არ შეიძლება ასეთ რამეს პქონდეს ადგილი, თუნდაც რეცილავის სახითაც კი“.

ყრილობის მოწვევის გაღაწყვეტილება და ორგანიზატორთა ტენდენცია თბილისში ცნობილი რომ გახდა, განათლების სახალხო

** იქვე.

კომისარმა დ. ვ. კანდელაკმა მოი-
წვია თბილისში მცხოვრებ იმ მე-
ცნიერთა თათბირი, რომელთაც
მხარეთმოლენეობასთან შედა-
რებით ახლო კავშირი ჰქონდათ.
სახელდობრ პროფესიული დი-
დოცენტები: 3. მელიქიშვილი,
ივ. ჯავახიშვილი, მიხ. პოლივ-
კოვი, სარ. კაკაბაძე, ილ. ჯანდი-
ერი, დიმ. გელევანიშვილი, 3. ვი-
ნოგრალოვ-ნიკიტინი, იულ. ლო-
მოური, გ. ახვლედიანი, აკ. შანი-
ძე, 3. ინგოროვყა, რ. ხუციშვი-
ლი, კორ. კეჭელიძე. ამ ცნობილ
მეცნიერებთან ერთად თათბირს
დავესწარით ახალგაზრდა მეცნი-
ერი მუშაკებიც: ს. ჯანაშვილი, შ.
ამირანაშვილი, ერ. რაფაელი, ს. მა-
კალათია, ქ. ქომეთიანი, ნ. იშვი-
ლი და მრავალი სხვა. თათბირშე-
განმარტებულ იქნა, რა სიტუა-
ცია იყო შექმნილი შავი ზღვის
სანაპიროზე. განათლების კომისა-
რმა გამოთქვა რწმენა, რომ თბი-
ლისელი მეცნიერნი ამ ყრილობა-
ზე სათანადო მაღალხარისხოვანი
მოხსენებებით წარსდგებიან და
საბჭოთა რესპუბლიკის იდეოლო-
გის, მარქსიზმ-ლენინიზმს, საბ-
ჭოთა ხალხის ერთიანობას თავის
მოხსენებებში განსაკუთრებულ
ყურადღებას მიაქცევენ. საკმაო
რაოდენობით უნდა იყვნენ მოხ-
სენებები გამოყენებითი ხასია-
თისა, რათა გლეხობამ დაინახოს
ახალი სუბტროპიკული მცენარე-
ების მოყვანა-გაშენების არა მა-
რტო უპირატესობა, არამედ ტე-
მხრივ განსაკუთრებული მუშაო-

ბა ჩატარდა და მომზადდა სათა-
ნადო მოხსენება-საუბრები. თბი-
ლისიდან დიდი დელეგაცია გვე-
მზადება, მის შემადგენლობაში
ას მეცნიერზე მეტი შედიოდა.
თბილისის დელეგაციის შემადგე-
ნლობაზე მეტი აჭარის დელეგა-
ცია (150-მდე) იყო, რომლის შე-
მადგენლობაში ბევრი მოწინავე
გლეხიც შედიოდა. თვალში ეცე-
მოდა კაცს, რომ აფხაზეთის დე-
ლეგაციის 25 წევრს შორის ად-
გილობრივი მხოლოდ ერთი იყო.
იყვნენ დელეგატები კრასნოდა-
რიდან, ნოვოროსიისკიდან, იალ-
ტიდან, მაკობიდან, არმავირი-
დან, კრინიციდან, ყაზანიდან, ხა-
რკოვიდან, ერევნიდან, ნახიქევა-
ნიდან, ქუთაისიდან, ლენინგრა-
დიდან, გაგრიდან და მოსკოვი-
დან.

იშვიათი სიყვარულითა და სი-
თბოთი შეხვდა ბათუმი დელეგა-
ციებს და განსაკუთრებით ჩვენს
მხცოვან მეცნიერებს. საკმარისი
იყო პლენარულ სხდომის თავმჯ-
დომარეს განეცხადებინა, რომ
სხდომას ესწრება მხცოვანი მეც-
ნიერი პ. მელიქიშვილი, რომ მი-
სალმება გადაქცეულიყო გულ-
თბილ და დიდ ოვაციად. ეს ოვა-
ცია ეკუთვნოდა საბჭოთა საქარ-
თველოს.

25 სექტემბერს დღის პირველ
საათზე ბათუმის პარტიული
კლუბის დარბაზში სხვა ქალაქე-
ბიდან ჩამოსულ ყრილობის დე-
ლეგატებისათვის მოეწყო ბანკე-
ტი, რომელსაც 300 კაცი დაესწ-
რო. ბანკეტს ხელმძღვანელობდა

ი. სულაბერიძე, რომელიც სტუმ-
რებს მიესალმა საორგანიზაციო
კომიტეტის სახელით. აჭარის მი-
ნისტრობა საბჭოს სახელით გა-
მოვიდა მინისტრობა საბჭოს თავ-
მჯდომარის მოადგილე ი. ბრეგა-
ძე.

სიტყვით გამოვიდნენ აგრეთვე
პროფ. ა. პინკევიჩი, რუსეთის
ფედერაციული ორგანიზაციის გა-
ნათლების კომისარიატის სახე-
ლით, ლ. შტენბერგი, რუსეთის
აკადემიის სახელით, ქართველი
მეცნიერები ქ. კეკელიძე, ა. რაზ-
მაძე, დ. უზნაძე და სხვანი. ბანკე-
ტის შემდეგ სტუმრებმა დაათვა-
ლიერეს მხარეთმცოდნეობის გა-
მოფენა.

იმავე დღეს საღამოს შვიდ სა-
ათზე თეატრის დარბაზში გაიხს-
ნა ყრილობა. ყრილობას ესწრე-
ბოდნენ რაიონიდან ჩამოსული
გლეხობა, ბათუმის მუშები და
საზოგადოებრიობის წარმომად-
გენლები. ყრილობა გახსნა განმ-
კარგულებელი საორგანიზაციო
კომიტეტის თავმჯდომარემ ო. სუ-
ლაბერიძემ და სიტყვა მისცა აჭა-
რის ასსრ ცენტრალური აღმას-
რულებელი კომიტეტის თავმჯ-
დომარეს ო. მოწყობილს.

ო. მოწყობილმა თავის სიტყვა-
ში აღნიშნა უდიდესი აღფრთო-
ვანება იმით, რომ აჭარა მასპინ-
ძლობს მრავალ მეცნიერს, რო-
მელთაც აჭარას უნდა მისცენ
მრავალი რჩევა იმის შესახებ თუ
როგორ გამოვიყენოთ ბუნებრი-
ვი საწარმოო ძალები, როგორ
განვივითაროთ მშრომელი ხალ-

ବେଳେ କୁଳିରା ଓ କୃତ୍ତବ୍ୟନମିଶ୍ରଙ୍କ
ଦାଲା.

საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოსა და განტლების სახალხო კომისარიატის სახელით ყრილობას მიესალმა დ. კანდელაკი, რომელმაც ყრილობას შემდეგი ძირითადი ამოცანები დაუსახა: ყრილობამ უნდა იმსჯელოს არა აბსტრაქტულ საკითხებზე, არამედ დაამუშაოს მთელა რიგი პრაქტიკული საკითხები. ეს აღვილად შესრულდება, რადგან რუსი მეცნიერები აქ შეხვდნენ ქართველ მეცნიერებს. ამ ყრილობას დიდ მნიშვნელობას ვაძლევთ, რადგან მან დიდი როლი უნდა შეასრულოს საბჭოთა აჭარის კულტურის, სოფლის მეურნეობის და საერთოდ ეკონომიკის განვითარებაშიო. როგორც ომოწყობილის ისე დ. კანდელაკის, სიტყვებში მოცემული იყო ყრილობის ძირითადი ამოცანები და ამით მის პირველ ორგანიზატორთა ზრახვანი მთლიანად ჩაიშალა.

რამდენიმე მისალმების შემდეგ
არჩეულ იქნა ყრილობის პრეზი-
დიუტი 25 კაცის შემადგენლობ-
ით. პრეზიდიუმში არჩეული იქ-
ნენ რუსეთისა და საქართველოს
მოწინავე მეცნიერნი: ლ. შტრენ-
ბერგი, — ვ. სემიონოვ-ტიანშანსკი,
ს. დოლგოვი, მ. მირონოვი, ვ. ვი-
ლიაშისი, ა. პინკევიჩი, ა. ლაზა-
რისი, კ. კეკელიძე, დ. უზნაძე, გ-
ლამბარაშვილი, ა. რაზმაძე, გ. ახ-
ვლელიანი, ს. ამირეჯიბი, ი. ჯან-
დიერი, ა. რუხაძე, დ. კანდელაკი;
ვ. ანჩაბაძე, ს. ვარშანიძე, ჰ. ლო-

როქიფანიძე, დ. ჭიქავა, გ. ცქი-
ტიშვილი, პ. ინგოროვა, მ. ფენ-
სტერი, ი. სულაბერიძე.

თვით პრეზიდიუმის არჩევის
დროსაც კი იჩინა თავი იმან, რომ
პრეზიდიუმში სურდათ ზოგიერ-
თებს გაეყვანათ ხალხი, რომელ-
თაც ცოტა საერთო ჰქონდათ საპ-
ჭოთა აჭარასთან. პროფ. ა. ბობო-
ვა ისიც კი განაცხადა, რომ ოქ-
მში შეიტანეთ, პოლიტექნიკური
ინსტიტუტიდან პრეზიდიუმ მ ში
არავინააო. თავმჯდომარემ განაც-
ხადა, რომ ა. ბობოვის სურვილი
დაქმაყოფილდებათ და მის განც-
ხადებას ოქმში შევიტანთო.

ყრილობამ დიდი აღფრთოვანე-
ბით მიიღო წინადადება საპატიო
თავმჯდომარეებად არჩეული ყო-
ფილიყვნენ აკადემიის პრეზიდენ-
ტი ა. კარპინსკი, თბილისის უნი-
ვერსიტეტის რექტორი ივ. ჯავა-
ხიშვილი, პროფ. პ. მელიქიშვილი,
აჭარის აღმასრულებელი კომიტე-
ტის თავმჯდომარე ო. მოწყობი-
ლი, აჭარის სახკომსაბჭოს თავმ-
ჯდომარე პ. ლორთქიფანიძე.

ამ პირველმა პლენარულმა
სხდომამ მისცა გეზი როგორ უნ-
და წარმართულიყო ყრილობის
მუშაობა, დაესახა ლონისძიებანი
აჭარისა, აფხაზეთისა და საერ-
თოდ ჩვენი სუბტროპიკული ზო-
ნის გასავითარებლად, რათა ბუ-
რე ხანში ჩამდგარიყო ხალხის სა-
მსახურში, გამტკიცებ უ ლ ი ყ თ
კომუნისტური იდეოლოგია და
საბჭოთა წყობილება. და მართ-
ლაც მთელი ყრილობის მუშაობა
⁴ ურნალი „კორხოხი“, № 1

ამ მხრივ წარიმართა. ამის ნათე-
ლსაყოფად საკმარისია მოვიტანო
რამდენიმე რეზოლუცია.

რეზოლუცია აჭარის და შავი
ზღვის სანაპიროს სოფლის მეურ-
ნეობის მდგომარეობისა და ორ-
განიზაციის თაობაზე, სუბტროპი-
კული კულტურების და მათი ეკო-
ნომიური მნიშვნელობის შესახებ.

„შავი ზღვის სანაპიროსა და
დასავლეთ კავკასიის მხარეთმცო-
დნეობის მე-2 ყრილობა ადგენს:

1. იმ გარემოების გამო, რომ
სანაპირო ზოლის პირობები ხელ-
საყრელი არ არის ხვნა-თესვისა-
თვის, ამ მხარის სასოფლო-სამე-
ურნეო სისტემაში განსაკუთრე-
ბული აღგილი უნდა დაიჭიროს
ლონისძიებებმა შრომატევადი კუ-
ლტურების დანერგვის დარგში.

ამ მიმართულებით განსაკუთ-
რებული მნიშვნელობა აქვს სუბ-
ტროპიკულ კულტურებს, რომ-
ლებმაც აქ უნდა დაიკავონ უპირ-
ველესი მდგომარეობა და, რომ-
ლებიც საფუძვლად უნდა დაე-
დონ გლეხურ მეურნეობას.

2. მიუხედავად იმისა, რომ სო-
ფლის მეურნეობა მასების უმე-
ტესობის ძირითადი საქმიანობაა,
ტექნიკური მხრივ იგი ძალიან და-
ბალ დონეზე დგას. ამიტომ ტექ-
ნიკის გაუმჯობესებას განსაკუთ-
რებული ყურადღება უნდა მიექ-
ცეს. ამასთან დაკავშირებით ყრი-
ლობა საჭიროდ მიიჩნევს შემდე-
გი ლონისძიებების გატარებას:

ა) აღგილებზე არსებული აკ-
რონომიული პერსონალის გადა-
სინჯვა და კვალიფიციური მუშა-

კების შერჩევა. მათი უზრუნველყოფა მუშაობის როგორც მატერიალური, ისე მორალური პირობებით.

ბ) შესაძლებლობის ფარგლებში სახსრების გამოყოფა ამ მხარის სოფლის მეურნეობის აღმავლობისა და განვითარებისათვის.

გ) განხორციელება ყველა აგრონომიული ღონისძიებისა, რომლებიც გათვალისწინებულია 5-წლიანი პერსპექტიული გეგმით, როგორც აგროდახმარების დარგში, ისე სასოფლო-სამეურნეო განათლების, ვეტერინარული და საცდელი საქმის დარგებში“.

იმისათვის, რომ გავიგოთ ყრილობის საერთო განწყობილება, მოვიტან ერთ-ერთი სხდომის ამონაწერს. აი ესეც:

ამონაწერი ყრილობის მეორე პლენარული სხდომის ოქმიდან.

1925 წლის 30 სექტემბერი.

სხდომა გაიხსნა დღის 1 საათზე აკადემიური თეატრის შენობაში. თავმჯდომარეობდა ყრილობის პრეზიდიუმის წევრი პროფ. ა. პინკევიჩი. თავმჯდომარე სთავაზობს ყრილობას მიესალმონ ყრილობის საპატიო თავმჯდომარეს; დამსახურებულ პროფესორს პ. მელიქიშვილს, რომელიც ის-ის იყო მოვიდა.

ყრილობის წევრები ამ წინადადებას ერთსულოვანი ტაშით ხვდებიან.

შემდეგ თავმჯდომარე ყრილობას იწვევს ჩატარებული მუშაობის შესახებ სექციების თავმჯდომარეთა მოხსენებების მოსას-

მენად და ყრილობის პლენუმისადმი შემოთავაზებული დადგენალების პროექტთა განსახილველად.

სიტყვა მოხსენებისათვის ეძლევა ისტორიის, გეოგრაფიის, ეთნოგრაფიის და არქეოლოგიის სექციის თავმჯდომარეს პროფესორ კ. კეკელიძეს.

კ. კეკელიძე მოახსენებს, რომ სექცია მუშაობდა 26-დან 29 სექტემბრამდე (ჩათვლით). სულ ჩატარდა 8 სხდომა, მათ შორის 1 ორგანიზაციული. სექციამ მოისმინა 31 მოხსენება: ეს მოხსენებები შინაარსის მიხედვით იყოფა 5 ჯგუფად: 1) ისტორიის შესახებ (7 მომხს.), 2) ხელოვნების და არქეოლოგიის ისტორიის შესახებ (12 მომხს.), 3) ეთნოგრაფიის შესახებ (8 მომხს.), 4) ლინგვისტიკის შესახებ (3 მომხს.) და 5) გეოგრაფიის შესახებ (11 მომხს.). ამას გარდა, შემოვიდა ცალკე წინადადება აჭარის სულიერი და მატერიალური კულტურის ძეგლების გამოკვლევის თაობაზე. მომხსენებელი დაწვრილებით აცნობს ყრილობას ყველა მოხსენებისა და სექციების მიერ მიღებული დადგენილებების არსს. დასასრულ, მომხსენებელს სექციებისა და ყრილობის პრეზიდიუმის სახელით წინადადება შემოაქვს დამტკიცდეს ორი რეზოლუცია, რომლებიც ეხება ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორიას და აჭარის სულიერი და მატერიალური კულტურის ძეგლე-

ზის გამოკვლევის, შემდეგი რედა-
ქციით:

1. შავი ზღვის სანაპიროსა და
დასავლეთ კავკასიის მხარეთმცო-
დნეობის მე-2 ყრილობა მხარს
უჭერს საქართველოს სსრ განათ-
უჭერს სახალხო კომისარიატის
ლების სახალხო კომისარიატის
წინაშე აღძრულ შუამდგომლობას
1929 წელს ქართული ბეჭდვითი
სიტყვის 300 წლის იუბილის ღი-
ასეულად აღნიშვნის შესახებ და
სთხოვს მას დროულად შეუდგენ
ამ იუბილესათვის მზადებას.

2. ა) შავი ზღვის სანაპიროსა
და დასავლეთ კავკასიის მხარეთ-
მცოდნეობის მე-2 ყრილობა უა-
ღრესად სასურველად მიიჩნევს
უახლოეს ხანებში აჭარაში ჩატა-
რდეს დაწვრილებითი სამუშაოე-
ბი სიცველისა და ხელოვნების ძე-
გლების სარეგისტრაციოდ და აჭ-
არის არქეოლოგიური რუკის შე-
სადგენად, აგრეთვე ამ ძეგლების
ფიქსაციისათვის (გაზომვა, ფო-
ტოგრაფირება, ჩახატვა, პირველ
რიგში კელლის წარწერებისა).

ბ) ყრილობა სასურველად
სთვლის უახლოეს დროში აჭარა-
ში აღმოჩენილი წარწერების რე-
გისტრაციის, შეგროვებას და მა-
თი, რაც შეიძლება სრული, კორ-
პუსის გამოსაცემად მომზადებას.

გ) ყრილობა უაღრესად სასუ-
რველად სთვლის მუშაობის დაწ-
ყებას აჭარის ზეპირსიტყვაობის
ძეგლების შესაგროვებლად და
გამოსაცემად.

გველა სექციაში იყო ერთსუ-
ლოვნება და სურვილი, რაც შეი-
ძლება მეტი გაკეთებულიყო აჭა-

რის მშრომელებისათვის. რასაგ-
ვირველია, ჩამოსულ სტუმართა
უმრავლესობა ამ განწყობილებას
მხარს უბამდა, თუმცა ზოგიერთ
გამოხდომებს მაინც ჰქონდა ად-
გილი.

პროფ. ი. პალიბინმა გააკეთა
ინფორმაცია იმის შესახებ, რომ
საქართველოს სასოფლო-სამე-
ურნეო ინსტიტუტები და საცდე-
ლი სადგურები უნდა დაექვემდე-
ბარნენ საკავშირო ბემცენარეო-
ბის ინსტიტუტებსაო.

ამ ინფორმაციამ საქმაოდ მკაც-
რი და ცხარე კამათი გამოიწვია.

პროფ. ი. პალიბინის მოხსენე-
ბის ირგვლივ კამათში მონაწილე-
ობა მიიღეს ამხანაგებმა იოსელი-
ანმა, გამხარაშვილმა, ვასილევს-
კიმ, ჯანდიერმა და სხვ. კამათის
შემდეგ სექცია ერთხმად ადგენს
(დადგენილებას ხმა მისცა მომხ-
სენებელმაც):

1) საქართველოს ექსპერიმენ-
ტული აგრონომიის ინსტიტუტში
გაერთიანებული საცდელი დაწე-
სებულებების მეცნიერული თანა-
მშრომლობა უნდა წარიმართოს
იმ ფორმებისაგან განსხვავებით,
რომლებიც გათვალისწინებულია
გამოყენებითი ბოტანიკის საკავ-
შირო ინსტიტუტის მიერ. კერ-
ძოდ, უკანასკნელის მიერ საქარ-
თველოს სსრ ტერიტორიაზე სპე-
ციალური ფილიალების ან საკუ-
თარი ბაზების გახსნა მიზანშეუ-
წონელი, ძვირადღირებული და
მეცნიერული თვალსაზრისით გა-
უმართლებელია, რადგანაც თვით
საქართველოში არსებობს საცდე-

ლი დაწესებულებები და, რაღა-
ნაც დასახულია ამ დაწესებულე-
ბების გაფართოების გეგმა.

2) მეცნიერული თანამშრომ-
ლობის ფორმა შეიძლება მხო-
ლოდ ერთი იყოს: საქართველოს
სსრ-ში არსებული საცდელი და-
წესებულებების გამოყენება შემ-
დეგ პირობებში: ა) შეთანხმება
იმ თემების შერჩევაში, რომელ-
თა გადაწყვეტაში მონაწილეობას
მიიღებენ გამოყენებითი ბოტანი-
კის საკავშირო ინსტიტუტი, ერ-
თის მხრივ, და საქართველოს ექ-
სპერიმენტული აგრონომიის ინ-
სტიტუტი, მეორეს მხრივ, და ბ)
გამოყოფა შესაბამისი სახსრებისა
ამ თემების შესასრულებლად სა-
ქართველოს ექსპერიმენტული
აგრონომიის ინსტიტუტის ამა თუ
იმ საცდელი დაწესებულების პე-
რსონალით და ძალებით.

ეს რეზოლუცია ზოგიერთს არ
მოეწონა და საერთო კრებას აპე-
ლაციით მიმართა.

30 სექტემბერს საერთო კრებამ
შოისმინა პროფ. არციბაშვის გა-
ნცხადება გამოყენებითი ბოტანი-
კის საკავშირო ინსტიტუტისა და
ახალი კულტურების შესახებ
პროფ. პალიბინის მიერ გაკეთე-
ბული მოხსენების თაობაზე, რო-
მელიც პროფ. პალიბინის მოხსე-
ნებასთან დაკავშირებით მიიღო
ყრილობის სასოფლო-სამეურნეო
და სტატისტიკურ - ეკონომიურმა
სექციამ. პროფ. არციბაშვიმა შე-
იტანა თხოვნა აღნიშნული რეზო-
ლუციის მოხსნის შესახებ, რად-
გან იგი მიღებულია არასწორად

(მოხსენება მხოლოდ ინფორმაცი-
ული იყო) და ეწინააღმდეგება
საკავშირო მთავრობის მიერ გა-
მოქვეყნებულ დადგენილებას და
სახელებული ინსტიტუტის შესა-
ხებო.

დაადგინეს პროფ. პინკევიჩის
და დ. კანდელაკის განმარტებე-
ბის შემდეგ რეზოლუცია არ იქ-
ნას წარდგენილი ყრილობის
პლენუმის წინაშე დასამტკიცებ-
ლად, მაგრამ არც მოიხსნას. იგი
დარჩეს, როგორც სექციური რე-
ზოლუცია, ყრილობის პრეზიდი-
უმის ოქმებში. რეზოლუცია მი-
ღებულ უნდა ერთხმად.

განსაკუთრებით უნდა აღინიშ-
ნოს სოფლის მეურნეობის სექცი-
ის ნაყოფიერი მუშაობა. სექციის
მუშაობაში მხურვალე მონაწი-
ლეობას იღებდნენ პ. მელიქიშვი-
ლი, ი. ჭანდიერი, ი. ლომოური,
დ. გელევანიშვილი, ზ. ყანჩაველი,
გრ. ცქიტიშვილი, ერ. რაფაელ,
ალ. თვალჭრელიძე, ტ. კვარაცხე-
ლია, ე. ნაკაშიძე, ქ. ქომეთიანი,
პ. ვინოგრაძოვ-ნიკიტინი, ვ. სპე-
რანცევი, ნ. იაშვილი და სხვ.

ამ სექციის მუშაობაში ყველა-
ზე ღირსშესანიშნავი ის იყო, რომ
მხურვალე მონაწილეობას იღებდა
აჭარის გლეხობა. იძლეოდნენ შე-
კითხვებს, შემოჰქმნდათ წინადა-
დებანი, გამოდიოდნენ სიტყვე-
ბით.

ეს ყრილობა, რომელიც მოწ-
ვეული იყო სულ სხვა მიზნებით,
გადაიქცა საბჭოთა აჭარაში კო-
მუნისტური იდეოლოგიის ბრწყი-
ნვალე ზეიმად.

ამის დადასტურებაა რუსეთის განათლების სახალხო კომისარიატის მეცნიერების მთავარი სამმართველოს და უკრაინის წარმომადგენლების ა. პინკევიჩის და ა. ლაზარის სიტყვები, მათ რომ წარმოთქვეს ყრილობის დახურვის დღეს.

აი ა. პინკევიჩის სიტყვაც:

„ძვირფასო ამხანაგებო!

სანამ ჩვენი უკანასკნელი საერთო სხდომა დაიხურებოდეს, ნება მომეცით, განათლების სახალხო კომისარიატის კოლეგიის და რსფსრ მეცნიერების მთავარი სამმართველოს სახელით ვთქვა რამდენიმე სიტყვა. რსფსრ განსახყომა, მომავლინა რა თქვენს ყრილობაზე მასში მონაწილეობისა და თქვენთვის მისალმების გადმოსაცემად, გამოხატა თავისი დაინტერესება მხარეთმცოდნების მოძრაობით ჩვენს ქვეყანაში. ჩვენთვის მხარეთმცოდნე თბა არის მეცნიერების ფართო დემოკრატიზაციის ერთი საშუალება, დემოკრატიზაციისა, რომელიც შესაძლებელი შეიქმნა მხოლოდ ორმობრის შემდეგ; ეს არის საშუალება შრომელთა მასის ჩაბმისა კვლევით მუშაობაში. დაბოლოს, ეს არის საშუალება მეცნიერების მონაცემების გამოყენებისა ამა თუ იმ მხარის კულტურული და სამეურნეო აღმავლობისათვის. ამიტომ რსფსრ განსკომი აუზრადლებით ადევნებს სანკითარებას, ხელს უწყობს მხარეთმცოდნეობის დაზოგადოების

და ინსტიტუტების გახსნას, მონაწილეობს რა სხვადასხვა ცენტრალური და ადგილობრივი თაობირების, ყრილობების მუშაობაში. ამიტომ, როდესაც მივიღეთ თქვენი მოწვევა არა მარტო განსახყომისადმი, არამედ სახალხო კომისარის ამხ. ა. ლუნაჩარსკისადმიც, კოლეგიამ დაადგინა ყრილობაზე თავისი წარმომადგენლის მოვლინება; კოლეგია გულწრფელად სწუხს, რომ დაკავებულობის გამო თვით ამხ. ა. ლუნაჩარსკიმ ვერ შესძლო ყრილობაზე ჩამოსვლა.

მხარეთმცოდნეობის საქმეში, არანაკლებ, ვიდრე ნებისმიერ სხვა მეცნიერულ მუშაობაში, საჭიროა ურთიერთკავშირი, აზრების ურთიერთგაზიარება. და შედარწმუნებული ვარ, რომ თქვენი წარმომადგენლები ისეთივე სალისით მიიღებენ მონაწილეობას ჩვენს ყრილობებში რსფსრში, როგორც ჩვენ, — არა მარტო განსახყომის მუშაკები, არამედ მეცნიერი მუშაკებიც, გამოვეხმაურეთ თქვენს მოწვევას.

მივღივართ რა აქედან, ჩვენთან მიგვაქვს საუკეთესო მოგონებები ერთობლივი მუშაობის შესახებ, რომელმაც გვიჩვენა, რომ საბჭოთა პირობებში აყვავდა ეროვნული კულტურა და ეროვნული მეცნიერება, მოგონება ძმურ და თბილ მიღებაზე.

გუმარჯოს აქარისა და მთელი შავიზღვისპირეთის მხარეთმცოდნეებს.

გაუმარჯოს ქართულ მეცნიერებას და მის მოღვაწეებს.

გაუმარჯოს მეცნიერულ საქმიანობას მთელ საბჭოთა კავშირში“.

ა. ლაზარისის სიტყვა:

„ძვირფასო ამხანაგებო!

ნება მომეცით მხურვალედ მივესალმო თქვენს ყრილობას უკრაინის მხარეთმცოდნეობის ცენტრალური კომიტეტის სახელით და ხაზი გავუსვა ამ ყრილობის კოლოსალურ მნიშვნელობას და მის მიერ ჩატარებულ მუშაობას იდეალისტური მსოფლმხედველობისაგან, ძველი ბურჟუაზიული იდეოლოგიისა და ბურჟუაზიული პოლიტიკისაგან მეცნიერების განთავისუფლების საქმეში. საბჭოთა კავშირი შენდება მშრომელი მასების ფართო თვითშემოქმედების საფუძველზე და მე ღრმად მწამს, რომ ამ ყრილობამ საძირკველი ჩაუყარა აჭარაში მხარეთმცოდნეობის განვითარებას პროლეტარული მეცნიერებისა და საზოგადოებრიობის პრინციპების საფუძველზე. მე მწამს, რომ ქართული მეცნიერებისა და ადგილობრივი ორგანოების უნარიანი ხელმძღვანელობით მხარეთმცოდნეობის საქმე აჭარაში წარიმართება სწორი გზით და მოახდენს მძლავრ გავლენას სსრკ-ის ამ მშვენიერი მხარის კულტურულ-ეკონომიურ აღორძინებაზე.

გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს და აჭარას.

გაუმარჯოს პროლეტარულ მეცნიერებას და საზოგადოებას“.

მრავალი მოსალოცი დგვეშების წაკითხვის შემდეგ საქართველოს ცაკის თავმჯდომარე ფ. მახარაძის, მიწათმოქმედების სახალხო კომისრის ა. გეგეჭკორის, ამიერკავკასიის ცაკის, სამეცნიერო ასოციაციის, საქართველოს ალპინისტების და სხვათა, სულ 57), ყრილობა დახურა ჰასან ლორქიფანიძემ.

„ძვირფასო ამხანაგებო, კოლეგებო, მოქალაქენო! — თქვა მან, — ვამთავრებთ ჩვენს ყრილობას, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს საერთოდ მხარეთმცოდნეობის და კერძოდ აჭარის ცხოვრებისათვის. ჩვენი ყრილობის მუშაობა პირველ დღიდანვე მიმდინარეობდა ფრიად საქმიან გარემოცვაში, გარდა საერთო საკითხებისა ყრილობამ გამოიმუშავა და მიიღო ძირითადი პრინციპები იმისა, თუ როგორ უნდა განვითარდეს და შევისწავლოთ მხარეთმცოდნეობა. ეს პრინციპებია ჩამოთვლილი იმ მხარეთმცოდნეობის სექციის რეზოლუციაში, რომელიც ეხლა მიიღეს. ყველასათვისაა ცნობილი, მას არ გავიმეორებ, მაგრამ აღვნიშნავ, რომ მასში მითითებულია ის გზები, რომლითაც უნდა მიმდინარეობდეს ამა თუ იმ მხარის შესწავლა. ამგვარად ჩვენ ჩავყარეთ მტკიცე მეცნიერული საძირკველი ჩვენს საქმეში. ეს

ჩვენი ყრილობის ერთ-ერთი და-
მსახურებაა, რომელიც მინდა აღ-
ვნიშნო. მეორე მიღწევა, რომე-
ლსაც დიდი მნიშვნელობა აქვს,
ეს ისაა, რომ ყრილობის სექციები
თავისი მუშაობით დაუახლოვდა
აჭარის შშრომელ გლეხობას და
აქ ვხედავთ მეცნიერთა იღეალს,
როდესაც მათი მოხსენებანი ეს-
მოდათ გლეხებს, რომლებიც მო-
ნაწილეობას იღებდნენ კამათში.
თავისი შრომით გაუხეშებული
ხელებით ქალალდის ნაგლეჭებზე
წერდნენ შეკითხვებს და იღებდ-
ნენ დამაკმაყოფილებელ პასუ-
ხებს. აქ აღინიშნა, რომ ოდესლაც
აჭარა იყო აკვანი ქართული კუ-
ლტურისა. ეს მართალია, მაგრამ
ისიც მართალია, რომ ისტორიის
ავბედობის შედეგად უკანასკნე-
ლი 400 წლის მანძილზე, აჭარა
თავისი კულტურის განვითარე-
ბით წარმოადგენდა ბავშვს აკვა-
ნში, მაგრამ როგორც ყრილობამ
აღნიშნა, ეს ბავშვი გადმოვიდა
აკვნიდან და ცდილობს დადგეს
საკუთარ ფეხზე. მას პირველ ნა-
ბიჯებში ეხმარება გამოცდილი
ხელები და თუ ყრილობამ აღნიშ-

ნა აჭარის მშრომელი ხალხის გა-
ნვითარება სწორ გზაზე დაგასო, ა-
ნება მიბოძეთ აღვნიშნო, რომ
ჩვენი ყრილობის დადგენილებე-
ბმა და თვით ყრილობამ დიდი
ბიძგი მისცა ხალხის განვითარე-
ბისათვის ბრძოლას. მას შემდეგ,
რაც საკუთარი თვალით ვნახეთ
ჩვენი გლეხობა, რომელიც ნაყო-
ფიერ მონაწილეობას იღებდა
ჩვენს მუშაობაში, ამაში ეჭვი არ-
ავის არ უნდა შეეპაროს.

ნება მომეცით ამ რამდენიმე
სიტყვით დავამთავრო და მოგი-
ლოცოთ მიღწევანი და მხურვა-
ლე მაღლობა გადაგიხადოთ გა-
წეული შრომისათვის“.

ყრილობა დაიხურა, მაგრამ დე-
ლეგატებს უძნელდებოდათ წას-
ვლა, მათ ნახეს სარტი, გონიო,
ქობულეთი, მწვანე კონცხი, სა-
მეცნიერო დაწესებულებანი, სა-
უბრობდნენ გლეხობასთან, მუშე-
ბთან. ვბრუნდებოდით შინ სავსე
გულით, რაღგან ვგრძნობდით,
რომ ურყევი ძმობის ტაძრის შე-
ნობაზე საკმაოდ მივიტანეთ აგუ-
რი.

მაგრავილის პიზიტით იშავდეთ ქადაე ბანიში

৩০২৮০৩০১১

გოთა ლეროვისიძე,

საქართველოს კომისართან ბათუმის საქალაქო
კომიტეტის ხელი მყიდვაც, აჭარის ასარ უმაღ-
ლენი საგზოს დეპუტატი

სხვადასხვა სოციალური წყობის სა-
ხელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსე-
ბობის პრინციპის თანმიმდევრული გან-
ხორციელება, ხალხთა უშიშროების გა-
ნმტკიცებისათვის ზრუნვა, მშვიდობიანი
თანამშრომლობა, აგრესიული ომების
თავიდან აცილება — ასეთია ლენინური
საგარეო პოლიტიკის კეთილშობილური
მიზნები, რამაც კანონმდებლური დადა-
სტურება ჰქონა საბჭოთა სახელმწიფოს
ახალ კონსტიტუციაში.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური
რევოლუციის მესამოცე წლისთავისადმი
მიძღვნილი საიუბილეო საზემო სხდო-
მის მიმართვაში „მსოფლიოს ყველა
კვეყნის ხალხებს, პარლამენტებსა და
მთავრობებს“ მკაცრად არის დაგმობი-
ლი ზოგიერთი იმპერიალისტური წრეე-
ბის ცდა — განაახლონ საერთაშორი-

სო დააბულობისა და „ცივი ომის“ კურსის; ხაზგასმულია, რომ „ჩვენს საუკუნეში არ არის და არც შეიძლება იყოს მშევიდობიანი თანაარსებობის აღტერნატივა“. მთელი მსოფლიოს პროგრესულმა ადამიანებმა მხურვალედ მოიწონეს საბჭოთა კავშირის ახალი რადიკალური წინადაღებები, რომელთა მიზანია ახალი მსოფლიო ომის საფრთხისა და თერმობირთვული კატასტროფის თვირთვა აცილება.

შვილობიანი საერთაშორისო თანამშრომლობის პრინციპების განმტკიცების მნიშვნელოვან ინსტრუმენტს წარმოადგენს დამოყვრებულ ქალაქთა მსოფლიო მოძრაობა. იგი ჩვენს ქვეყანაში დამსახურებული ავტორიტეტითა და აქტიური მხარდაჭერით სარგებლობს. ამაზე მეტყველებს საბჭოთა ქალაქების ფართო საერთაშორისო კონტაქტები.

სკპ ცენტრალური კომიტეტის გენე-
რალურმა მდივანმა, სსრკ უმაღლესი სა-
ჭის პრეზიდიუმის თავმჯდომარებ ლ. ი.
ბრეუნევმა თავის მისამებაში დამოყვ-
რდებული ქალაქების IX მსოფლიო კონ-
გრესისადმი, რომელიც გამართა გვა-
და-
დებულის ქალაქ პუნქტა-პიტრში 1977
წლის ოქტომბერში, აღნიშნა, რომ თა-
ვისი არსებობის ორ ათწლეულში დამო-
ყვრდებული ქალაქების მსოფლიო ფედე-
რაციამ „ბევრი რამ გააკეთა იმისათვის,
რომ განემტკიცებინა სხვადასხვა ქვეყ-
ნის მოსახლეობის ურთიერთგაგება, ხე-
ლი შეწყო საერთაშორისო კულტურუ-
ლი ურთიერთობის გაფართოებისათვის,
ქალაქთშენებლობისა და სახალხო მე-
ურნეობის პრობლემების გადაჭრის გა-
მოცდილების გაზიარებისათვის“.

ლ. ი. ბრეუნევმა ხაზგასმით აღნიშნა
ამ მოძრაობის პირდაპირი კავშირი თა-
ნაშეტროვეობის ისეთ აქტუალურ საკი-
თხებთან, როგორიცაა საერთაშორისო
დაძაბულობის შენელების გაღრმვება,
გამალებული შეიარაღების შეწყვეტა და
განიარება, მშევიდობისა და საერთა-
შორისო უშიშროების შემდგომი განმ-
ტკიცება.

ბათუმი ამჟამად ებმება დამოყვრე-
ბული ქალაქების მსოფლიო მოძრაობა-
ში. საფუძველი ეყრება მეგობრობა
და თანამშრომლობას იტალიის ქალაქ
ბარისთან.

საზოგადგრძელოს ქვეყნებთან შეგობ-
რობისა და კულტურული კავშირის
საბჭოთა საზოგადოებების საბჭოს საერ-
თაშორისო კავშირების 1977 წლის გე-
გმის შესაბამისად და აგრეთვე ქ. ბარის
მუნიციპალიტეტის მიწვევით გასული
წლის 27 ნოემბრიდან 4 დეკემბრამდე
იტალიაში იმყოფებოდა ბათუმის სახა-
ლხო დეპუტატების საქალაქო საბჭოს
დელეგაცია სამი კაცის შემაღლენლო-
ბით: გურამ ემირიძე — ქალაქის საბჭოს

აღმასკომის თავმჯდომარე, აჭარის ას!-რ
უმაღლესი საბჭოს დეპუტატი (დელეგა-
ციის მეთაური), ვლადიმერ ლოლიძე
ბათუმის მანქანათაშენი ქარხნის ხარ-
ტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბ-
ჭოს დეპუტატი, და ამ სტრიქონების ავ-
ტორი.

ვიზიტის მიზანი იყო მეგობრული კუ-
ლტურის დამყარება, მუნიციპალიტეტის
საქმიანობის გაცნობა, ბათუმისა და ბა-
რის დამოყვრების ხელშეკრულებასთან
დაკავშირებული მოლაპარაკების განვი-
ძობა.

საქე იმაშია, რომ მანამდე, გასული
წლის 7 ივლისს ბათუმი მასპინძლობდა
ბარის ოთხკაციან დელეგაციას. დელე-
გაციაში იყვნენ ბარის მერი ინუინერი
ნიკოლა ლამადალენა და იტალია-საბჭო-
თა კავშირის მეგობრობის საზოგადოე-
ბის ბარის განყოფილების პასუხისმგა-
ბელი მდივანი, იტალიის კომპარტიის ვე-
ტერანი ჯაკომო ლუკარელი. ბარის დე-
ლეგაცია ჩვენთან ბაქოდან ჩამოვიდა,
სადაც მონაწილეობდა საბჭოთა კავში-
რისა და იტალიის დამოყვრებული ქა-
ლაქების მეორე შეხვედრაში.

უნდა აღინიშნოს, რომ ორ ქალაქს
განამდევ ჰქონდა დამოყვრების მიზნებ-
თან დაკავშირებული კონტაქტები. 1969
წლის ივლისში ბარის ეწვია ბათუმის
საქალაქო საბჭოს დელეგაცია ხუთი კა-
ციის შემაღლენლობით, მაგრამ ამ ნაბიჯს
არ მოჰყოლია ურთიერთობის განვითა-
რება.

ახლანდელი ვიზიტი მოწმობს, რომ
აპულიის ოლქში, რომლის ცენტრსაც
წარმოადგენს ქალაქი ბარი, მუნიციპა-
ლური, პროვინციის და საოლქო ხელშ-
ძლვანელების დონეზე შესამჩნევი სასი-
კეთო ცვლილებებია საბჭოთა ქალაქ ბა-
თუმთან მეგობრული კავშირულთოერთო-
ბისადმი დამოკიდებულებაში. ოფიცია-
ლური შეხვედრებისას ისინი არ ჩქმა-
ლენდნენ ორი სახელმწიფოს იდეოლო-
გიათა განსხვავებულობას და ამავე

დროს ხაზს უსვამდნენ ინტერესთა ერთიანობას ისეთ საკითხებში, როგორიცაა ზრუნვა მშვიდობისა და ურთიერთგაებისათვის, ეკონომიკური და კულტურული კავშირურთოერთობათა განვთარებისათვის.

ეს ხელმძღვანელები — მმართველი ქრისტიანულ - დემოკრატიული პარტიის მემარცხენე ფრთის წარმომადგენლები თანამშრომლობენ სოციალისტებთან და კომუნისტებთან და, სავარაუდებელია, რომ სამხრეთ იტალიის განვთარებადი რეგიონის მესვეურები ითვალისწინებენ არა მარტო სავაჭრო-ეკონომიკურ ინტერესებს. ადრიატიკას ზღვის სანაპირო ქალაქი ბარი არის აღილსამყოფელი „ფიერა დელ ლევანტისი“ — მუდმივმოქმედი სავაჭრო-სამრეწველო გამოფენა-ბაზრობისა, რომელიც ტრადიციულად ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებთან იტალიის ვაჭრობას ემსახურება. საბჭოთა კავშირი ამ ბაზრობის აქტიური მონაწილეა.

ბარის მუნიციპალტეტის კეთილმოსურნეობას — განავითაროს საბჭოთა ქალაქთან კავშირურთოერთობა — ხელს უწყობს ისიც, რომ დღითი-დღე იზრდება ავტორიტეტი იტალიის კომუნისტური პარტიისა, რომელიც მტკიცედ იძრდვის იტალია-საბჭოთა კავშირის მეგობრობისა და მშვიდობიანი თანამშრომლობის გაორმავებისათვის.

დელეგაციის წევრები დარწმუნდნენ, რომ იტალიელი მასპინძლები დაინტერესებული არიან ფართოდ გამოიყენონ თანამშრომლობის ის უსაძლებლობები, რომელსაც ჩვენი ქალაქების დამოყვრება ქმნის. მუნიციპალური და საოლქო ხელმძღვანელები მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობენ იტალია-სსრ კავშირის მეგობრობის საზოგადოების განყოფილების მუშაობას. ჯაკომო ლუკარელი დიდი ავტორიტეტით სარგებლობს თანამემამულეთა შორის. ბარის მერმა ნ. ლამადალენამ არაერთგზის ხაზგასმით

აღნიშნა მისი დამსახურება საზოგადოების საქმიანობის გაპრიტურებაში.

საზოგადოება იზრდება. ათ წლის წელით ქ. ბარიში იგი სულ ასამაც აცდა-ათამდე კაცს ითვლიდა, ამჟამად კი ათას-სამასზე მეტს აერთიანებს. რამდენიმე სამრეწველო საწარმო და სკოლა კოლე-ქტიური წევრია საზოგადოებისა. ბარის უენტრიში მდებარეობს კარგად მოწყობილი რეზიდენცია, სადაც მოთავსებულია საბჭოთა ლიტერატურის ბიბლიოთეკა იტალიურ და რუსულ ენებზე, დარბაზები პრესკონფერენციებისა და საბჭოთა ფილმების დემონსტრაციისათვის, სასწავლო კაბინეტი რუსული ენის შემსწავლელთათვის. აქვე მოწყობილია საბჭოური სუვენირების გამოფენა-გაყიდვა.

ბარის მერმა გაგვაცნო მუნიციპალური საბჭოს გადაწყვეტილება, რომ ერთ-ერთ პროსპექტს შეეცალოს სახელი, დაერქვას „ლენინის პროსპექტი“, ერთ-ახალ ქუჩას კი ეწოდოს დამოყვრებული ქალაქის სახელი. იტალიელი მასინდლები, თავის მხრივ, კმაყოფილებით შევდნენ ბათუმის ქალაქის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის გურამ ემირიძის ცნობას, რომ გადაწყვეტილია ბათუმში შეიქმნას საზოგადოება „საკავშირ-იტალიის“ საქალაქო განყოფილება.

1977 წლის 1 დეკემბერს მუნიციპალური საბჭოს შენობაში, იქ რომ თანამშრომლობენ იმ პარტიების, მათ შორის კომუნისტური პარტიის, საქალაქო ორგანიზაციების ხელმძღვანელთა თანდასწრებით, ბათუმის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარებ გ. ემირიძემ და ბარის მერმა ნ. ლამადალენამ ხელი მოაწერეს ბარისა და ბათუმის დამოყვრებულ ქალაქებად გამოცხადების დოკუმენტის იტალიურ ეგზიმბლარს. დათვევს, რომ ხელშეკრულების საბჭოთა ეგზიმბლარს ხელს მოაწერენ ბათუმში, 1978 წლის მაისში, როდესაც ბარის დელეგაცია ჩამოვა საბჭოთა კავშირში.

„ამ საზეიმო დღეს ვკისრულობთ, — ნათქვამია ლოკუმენტში, — გულწრფელი ქმობის სულისკეთებით განვაკითა- როთ თანამშრომლობა ჩვენს ორ ქა- ლაქს შორის ყველა სფეროში, გავარ- თიანოთ ჩვენი მეცადინეობა სულ უფ- რო მჭიდრო დახმარებისა და ურთი- ერთგაგებისათვის, მშვიდობის, კეთილ- დღეობისა და პროგრესისათვის.

ეს აქტი, როგორც ახალი ეტაპი ჩვე- ნი ქალაქების ისტორიაში, განამტკა- ცებს კეთილნაყოფიერ მეგობრობას ჩვენს ხალხებს შორის და ასახვს ერ- თობლივ ნებასურევილს — გადავაქციოთ ბარი და ბათუმი დამოყვრებულ ქალ- ქებად“.

* * *

ბათუმის საქალაქო საბჭოს დელეგა- ცია იტალიაში იმყოფებოდა შვიდ დღეს. ბარიში მას ჰქონდა ოფიციალუ- რი შეხვედრა აპულის ოლქის თავმჯ- დომარე ადვოკატ ნიკოლო როტოლოს- თან, პროვინციის (ბარი და მიმდებარე რიონი) ადმინისტრაციის ხელმძღვან- ლებთან, პროვინციის თავმჯდომარის ადვოკატ მასტროლეოს მეთაურობით, მუნიციპალური საბჭოს წევრებთან და საზოგადოება „იტალია-სარ კავშირის“ განყოფილების ხელმძღვანელობასთან.

აპულის ოლქის თავმჯდომარე ნიკო- ლო როტოლომ დელეგაციის ოფიცია- ლური მიღებისას გამოიქვა სურვილი, რომ ბარისა და ბათუმის მეგობრული კავშირურთიერთობა განვიტოლი იქ- ნას საოლქო მასშტაბებამდე — აპულა- სა და აჭარის ასარ შორის.

დელეგაციის წევრებმა ბარიში დაათ- ვალიერეს საოლქო საავადმყოფა, „ფა- ერა დელ ლევანტეს“ ადმინისტრაცია, მუნიციპალური სკოლა მუშათა გარეუ- ბან სან-პაულოში, ჩელინგიისა და სახ- ვითი ხელოვნების მუზეუმები, მუნიცი- პალური ბავშვთა ბაგა, ახლახან აშენე- ბული ხორცომბინატი, ქალაქის სპორ- ტული კომპლექსები. საზოგადოება

„იტალია-სარ კავშირის“ განყოფილების რეზიდენციაში, ჭ. ლუკარელის წინადა- დებით, მონაწილეობა მივიღეთ რუსუ- ლი ენის გაკვეთილის ჩატარებულში. 1363 ლეი

ჩვენ საშუალება მოგვეცა გვეხა- აპულის ქალაქები — კატელანა და გროტე (კარსტული მღვიმეები), ალბე- რობელო (უნიკალურ არქიტექტურულ ნაგებობათა და ძეველი ხელოსნური წარ- მოებების ქალაქი), ტრანი (ღვინის ქარ- ხანა).

მასპინძლებს გადავეცით სამახსოვრო საჩუქრები: წიგნები საქართველოსა და აჭარის შესახებ, ქართული ხალხური სიმღერების გრამფირფიტები, ბათუმე- ლი მხატვრების ვ. ბუალავას და ჭ. ცი- ნცაძის ჭედური ნამუშევრები, მხატვრუ- ლი ღია ბარათები, სამკერდე ნიშნები და სხვა.

მეგობრული კონტაქტების ხელსაყ- რელ ატმოსფეროში მასპინძლებს გავა- ცანით ის წარმატებები, რაც საბჭოთა ხალხმა მოიპოვა სკპ XIX ყრილობისა- გადაწყვეტილებების შესრულებისათვის- ბრძოლაში. ვუამბეთ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მესამო- ცე წლისთავის ზეიმის, სარ კავშირის ახალი კონსტიტუციის საყოველთაო-სა- ხალხო განხილვისა და მიღების შესახებ. ჩვენს მსმენელებს აინტერესებდათ აჭა- რის ასარ-სა და ბათუმის ისტორია, სა- მურნეო-კულტურული მდგომარეობა, სახალხო განათლების საბჭოური სისტე- მა, ქალებისა და ახალგაზრდობის უფ- ლებები, სარ კავშირის ეროვნულ-სახე- ლმწიფოებრივი სტრუქტურა და სხვა.

განსაკუთრებულ ყურადღებას ვუთ- მობდით სკპ ცენტრალური კომიტეტის სამშვიდობო საგარეო - პოლიტიკური პროგრამის პროპაგანდას, იტალიელ ხა- ლხთან მშვიდობიანი თანამშრომლობის განვითარებით საბჭოთა ხალხის დაინტე- რესებას.

იტალიაში ყოფნამ ბევრი მკაფიო, და- სამახსოვრებელი და ამასთან წინააღმდე- გობრივი შთაბეჭდილებები დაგვიტოვა.

მომხიბვლელია ნიჭიერი და შრომისმო-
კუარ იტალიელი ხალხის ათასწლოვანი
აღმშენებლიდითი ნამოლგაწარი; თვალს
ახარებს კარგად მოვლილი ვენახები,
ზეთისხილის ფსასრულო ბაღები, საშე-
მოდგომო ხორბლის მწვანე ყანები, ბო-
სტები.

კლასიკური არქიტექტურისა და ხე-
ლოვნების მიღწევებმა, რაც აღორძინე-
ბის ეპოქის უდიდესმა ოსტატებმა განა-
ვითარეს და გააღრმავეს, იტალიელი ხა-
ლხის შემოქმედებით გენიას მსოფლიო
აღიარება მოუტანა, თანამედროვე იტა-
ლიელი ქალაქთშენებლები ცდილობენ,
ამრავლონ და განავითარონ წინამორბე-
დთა ტრადიციები სადღესიო მოთხოვ-
ნების შესაბამისად.

ამას მოწმობს რომისა და ბარის ახალ
მიკრორაიონთა განაშენიანება, რომის
ახალი საერთაშორისო აეროდრომის
კომპლექსი ფუნქციინოში, რომელიც ლე-
ონარდო და ვინჩის სახელს ატარებს და
რომელსაც აღორძინების ეპოქის გენია-
ლური მეცნიერ-ფილოსოფოსის, მხატვ-
რისა და არქიტექტორის შთამბეჭდავი
მონუმენტური სკულპტურა ამშენებს.
ეკლესიების ახალ ნაგებობებსაც კი თა-
ნამედროვე იერსახეს აძლევს როგორც
არქიტექტურული ძიება, ისე შესაბამი-
სი სამშენებლო მასალების გამოყენება.

იტალიის „ქალაქების მამები“ დად
ურადღებას უთმობენ ისტორიული ლი-
ტებულების მქონე არქიტექტურული
ანსამბლების ხელშეუხებლობას. ხელ-
შენებლობები ძირითადად ძველი ქა-
ლაქის ფარგლებს გარეთ მიმდინარეობს.

უურადღებას იქცევს „მარადიულა“
სამშენებლო მასალის — ბუნებრივი
ქვის მრავალი სახეობის ფართოდ გა-
მოყენება მშენებლობაში. ბუნებრივი
ქვის მოპოვება-დამუშავება ქვეყნის სა-
მშენებლო ინდუსტრიის ერთ-ერთი უმ-
ნიშვნელოვანესი დარგია.

იტალიელები სამართლიანად ამაყო-
ბენ შესანიშნავი ავტოსტრადებით. მა-
თი ნაწილი ვნახეთ, როდესაც ბარის

მუნიციპალიტეტის ავტომანქანით უმო-
კლეს დროში დავფარეთ მანძილი რო-
მიდან ბარიმდე და შემდეგ გაღავსე-
რეთ აპენინის ნახევარუნდული აღია-
ტიკის ზღვიდან ტირენის ზღვიდება, ბა-
რინებითლი-რომის მარშრუტით. უნდა
ითქვას ისიც, რომ ავტოსტრადების
მფლობელ კერძო კომპანიებს საიმედო
„გადაურაზავთ“ ისინი და სარგებლობი-
სათვის ქირას ახდევინებენ პრინციპით:
„არ გადაიხდი — ვერ გაივლი“.

იტალია მაღალი პოლიგრაფიული კუ-
ლტურის ქვეყანაა. ამაზე შეიძლება წა-
რმოდგენა იქონიოს კაცმა საგამომცემ-
ლო საქმიანობის იმ ღონის მიხედვი-
თავ, რაც საოლქო ცენტრის — ბარის
მასშტაბით არის მიღწეული. იქ დაბე-
ჭდილი წიგნები და სასუვენირო-ტურის-
ტული გამოცემები უზაღოდ არის შეს-
რულებული.

იტალიის მრეწველობა ცლილობს, არ
ჩამორჩეს მკაცრ მოთხოვნებს, რასაც
თანამედროვე სამეცნიერო-ტექნიკური
რევოლუცია და კაპიტალისტური ბაზ-
რის, როგორც დასავლეთევრობული „სა-
ერთო“, ისე მსოფლიო ბაზრის ჩარჩო-
ებში მიმდინარე გააფთრებული საკო-
ნკურენციო ბრძოლა აყენებს. მუშებისა
და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების უნ-
არიანი ხელით იქმნება მრავალნარი სა-
ქონელი, რომელთა რაოდნობამ და ხა-
რისხმა ნაციონალური მრეწველობისათ-
ვის უნდა უზრუნველყოს „ადგილი ცის
ქვეშ“.

ამავე დროს, ჩვენი იქ ყოფნის ხან-
მოკლეობის მიუხედავად, არ შეიძლე-
ბოდა შეუმჩნეველი დაგვრჩნოდა თა-
ნამედროვე ბურუუაზიული საზოგადოე-
ბის კრიზისის სიმპტომები, კაპიტალიზ-
მის ჩარჩოებში გადაუჭრელ ანტაგონის-
ტურ სოციალურ-ეკონომიკურ, კლასო-
ბრივ და სულიერ წინააღმდეგობათა მო-
ქმედება.

იტალიაში უცვლელად რჩება მისა
ძველი უბედურება — „ზეღმეტი“ მუ-
შახელის ემიგრაცია. მართალია, ტრა-

დიციულად ჩამორჩენილ აგრარულ სამხრეთში მიმდინარეობს ინდუსტრიალიზაცია, მაგრამ მისი ტემპი არც ისე სწრაფია; რომ შეისრუტოს უმუშევართა სამილიონიანი არმია. ელემენტარულ ადამიანურ უფლებას — შრომის უფლებას მოკლებული ასეულათასობით იტალიელი ტრვებს საშობლოს, რათა ბედი უცხოეთში ეძიოს.

სერიოზული პრობლემაა სიძვირე და ინფლაცია. მაღაზიებში საქონლის ფართო ასორტიმენტია, მაგრამ დახლოთან მთვლემარე გამყიდველები და მყიდველთა სიმცირე გვაფიქრებინებს, რომ მოსახლეობის მყიდველობითი უნარი დაბალია. წინასაშობაო ვაჭრობასაც კი რომის ერთ-ერთ სავაჭრო უბანში არ ერყობოდა გამოყოცებულება. ხალხი ფეშენებელური მაღაზიების ვიტრინების მშევრეტელს უფრო ჰგავდა, ვიდრე მყაველს. აქვე დაწანწალებდნენ მათხოვები.

დიდი მიხვედრა არ არის საჭირო, რომ წარმოვიდგინოთ სიმძიმე არამწარმოებლური ხარჯებისა, რასაც ბადებს საკონკურენციო ბრძოლა, სარეკლამო ომი. შურადღებას იქცევს, მაგალითად, სხვადასხვა ფირმების მიერ გამოშვებული ერთგაროვანი ტიპის ავტომობილთა მოდელების სიმრავლე. ავტოსტრადები მოვნილია მსოფლიოს თითქმის ყველა მსხვილი ნავთობის მონოპოლიის ავტოგასაწყობი საღურებით, რომლებიც იყოფენ შემოსავალს იტალიურ კომპანია „აფეთბან“ გაჩაღებულ საკონკურენციო ბრძოლაში.

ზრალის საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკურ წინააღმდეგობებს, ბრძოლას დემოკრატიისა და რეაქციის ძალებს შორის თან სდევს პოლიტიკური ბანდიტიზმი ბულიგნურ-ტერორისტული ნეოფაშისტური ჰგულებისა, რომლებიც მონოპოლისტური კაპიტალის რეაქციურ წრეების გმაყოფაზე არიან.

დანტი კომუნისტის მკვლელობამ ბარიში,

რაც ჩვენი დელეგაციის იქ ყოფნისას, 28 ნოემბერს მოხდა, დემოკრატიულორგანიზაციების მათგრი პროტესტი გამოიწვია. ტრაგიული შემთხვევა, თავის მხრივ, დაუყოვნებლივ გამოიყენეს სხვადასხვა ჯგუფის მომემარცხენე ჯგუფებმა — ანარქისტებიდან მაოისტებიმდე — ქუჩებში ხმაურიანი ექსცესების მოსაწყობად.

ბარის ერთ-ერთი პროსპექტის „ლენინის პროსპექტად“ გადარქმევისადმი მიძღვნილი ოფიციალური ცერემონიალი, რომელიც 1 დეკემბრისათვის იყო დანიშნული, სწორედ ამ გართულებების გამო გადაიდო.

ბარისა და სხვა ქალაქების შენობათა კედლები, როგორც სარკე, ასახავს იტალიის საზოგადოების შინაგან განხევებილებასა და გათიშულობას. იგი აჭრელებულია დაპირისპირებული პოლიტიკური პატივებისა და ჯგუფების ლრწუნებით, ემბლემებითა და მოწოდებით. ხშირად ეს მინაწერები პირდაპირ მოწინააღმდეგის ტექსტზეა დამუღა, რომ დაჯაბნონ და „ჩახუმონ“ იგი.

ეს განხევებილება, რა ოქმა უნდა, საგარეო-პოლიტიკურ სფეროშიც პოულობს ასახვას. აქ მოქმედებს პოლიტიკური სპექტრის ყველა მხარე, დაწებელი საბჭოთა კავშირის მტკიცე წევობრებიდან და დამთავრებული ჩრდილოეთ ატლანტიკის სამხედრო-პოლიტიკური ბლოკის აგრძელიული წრეების მობრებით. ეს უკანასკნელი პოლიტიკური კაპიტალის ანტიკომუნიზმისა და საბჭოთა კავშირისათვის ყალბად მიწერილი აგრძელობით მოსახლეობის ჩამორჩენილი ფენების დაშინებაში ეძებენ. ენახეთ ბარის ერთ-ერთ შენობაზე დაგლაბნილი ნეოფაშისტების მოწოდება: „ვასაკ არ სურს, აქ რუსები მოვიდნენ, ჩვენ შემოგვიერთდით“. მასობრივი ინფორმაციის ააშუალებები უარობდ აშუქებენ ე. წ. „დისიდენტებისა“ და მათი იტალიელი რეაქციონერი თანამეინახეების: კოველგვარ თავშეყრილობას.

უბადრუკობისა და სულიერი მარაზმის სუნი ასდის პორნოგრაფიულ უურნალებს, გარყვნილებასა და სექსუალურ ანომალიებს ომ ქადაგებენ. ეს უურნალები თავისუფლად იყიდება კიოსტებში იგვივე ბურჟუაზიული გამომცემლობების „რესპექტუაბელური“ პროდუქციის გვერდით. გასაგებია, რომ ასეთი „სულიერი საზორდოს“ დანიშნულებაა ჩამოაყილოს მასობრივი მექინებელის და, პირველ რიგში, ახალგაზრდობის ყურადღება საარსებო სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებს.

პორნოგრაფიის პროპაგანდა გადახლართულია პროსტიტუციასთან, ბურჟუაზიული საზოგადოების ამ ერთ-ერთ ტრადიციულ ატრიბუტთან. საღამოს ნებაპოლში ვიზილეთ განკიცხულთა, ამ პროფესიის ქალთა თავისებური „გამოფენა-დემონსტრაცია“, თვითრეკლამირებაში მათი გამომგონებლობის „სასწაულებიც“: ისინი, ვისაც „მორიგეობა“ უხდებოდა სუსტად განათებულ ქუჩებში (ასეთი ცენტრიდან დაშორებული ქუჩების უმრავლესობა), საკუთარი პერსონის ილუმინირებას იქვე, ტრატუარებთან მაკულატურის მოგიზგიზე კოცონებით ახდენდნენ. ბენგალის ცეცლივით აბრიალებული ალი გამოიტაცებდა ხოლმე სიბნელიდან კოცონის პატრონს. უნებურად გვაგონდება პოეტის მწუხარე სიტყვები: «Все это было бы смешно, когда бы не было так грустно»...

უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარ ჩეკლამას თვით გარემო პირობები ქარნახობს: იტალიის ქალაქების, მათ შორის დედაქალაქის ქუჩებში მაკულატურა წარმოუდგენელი ჩაოდენობითაა. ქალაქების დასუფთავება, როგორც გარემოს დაცვის უფრო ფართო საკითხის ნაწილი, გადაუჭრელ პრობლემად ჩჩება თანამედროვე იტალიაში.

სიძნელეები აქვს სტუდენტ ახალგაზრდობასაც: სწავლის ქირის სიდიდე, სტიპენდიების არარსებობა (იღებს სტუ-

დენტთა მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი), საერთო საცხოვრებლების, სტუდენტთა სასალილოების უკმარისობა, წიგნების, კერძოდ, სახელმძღვანელოების სიძვირე და ა. შ.

და მაინც ჩვენს მრავალფეროვან შთაბეჭდილებში ყველაზე ღირსშესანიშნავი იყო მეგობრობის, კეთილმოსურნეობისა და სიმათიის გრძნობა საბჭოახალხის მიმართ, რასაც ავლენდა ყველა იტალიელი, ვისთანაც კი შეხვედრა მოგვიძლა. ეს დავვირვება მოიცავს იტალიის სოციალური მოზაიკის თითქმის ყველა ფენას — დაწყებული მუშებისა და სტუდენტების წარმომადგენლებიდან და დამთავრებული საშუალო და უმაღლესი სასწავლებლების მუშაკებით, საქმოსნებითა და თანამდებობის პირებით.

ეს სასიამოვნო მოულოდნელობა იყო ჩვენთვის, რამდენადაც კაპიტალისტური ქვეყნების მოსახლეობა მუდმივად განიცდის ანტისაბჭოთა და ანტიკომუნისტური სულისკვეთებით დამუშავებას იმპერიალისტური იდეოლოგიური ცენტრების მხრით.

გაკომო ლუკარელის რომაელშა მეგობარმა, პერუჯის უნივერსიტეტის პროფესორმა აღრიანო ბიანკიმ ორგერ იტვირთა მშობლიურ ქალაქში ექსკურსიამდოლობა. მას უნდოდა მაქსიმალურად შესაძლო ოპერატიულობით გაეკნო ჩვენთვის იტალიის დედაქალაქის ძირითადი ღირსშესანიშნაობები: ანტიკური ეპოქის ძეგლები (კოლიზეუმის, კარაკალის თერმების, ფორუმის, ძველი რომის ფორტიფიკაციული ნაგებობების ნაშთები), ვატიკანის უნიკალური არქიტექტურული ანსამბლები, ახალშენებლობები, რომაელთა და სტუმართა საღამოს სასეირნო აღგილები.

ა. ბიანკის ოჯახში დილიდან პატარამდე, ყველა — მეუღლე, რომის უნივერსიტეტის მათემატიკის მასწავლებელი, ორი ქალიშვილი — სამედიცინო ინს-

ტარტურის სტუდენტი და საშუალო სკოლის მოსწავლე — დიდ ინტერესს იჩენი ჩვენი ქვეყნისადმი, მისი პოლიტიკური წყობის, მოქავშირე რესპუბლიკების, ეროვნულ - სახელმწიფო გერიცანისა და სხვა საკითხებისადმი.

დაუვიწყარი იყო შეხვედრა კასტელანა დი გროტეში, ბარიდან 40 კილომეტრზე მდებარე ქალაქში, სადაც დალებული კარსტული მღვიმეებია.

მღვიმეები აღმოაჩენიათ 1938 წელს. ჟენების ეს მიწისქვეშა საოცრება იწყება 70 მეტრის სიღრმის უფსკრულით. მისი ძირიდან ჩაქცეული ქანების ციკლობური ლოდებით გარშემორტყმული მნიშვნელის თვალშინ იშლება უზარმაზარი დარბაზის ფანტასტიკური სანახაობა შევული კლდებითა და ვიწრო ყელით, საიდანაც მიწისქვეშეთში უონავს დღის სინათლე. მღვიმის გალერეები სამონხ კილომეტრზე გრძელდება.

გულთბილად შეგვხდა კარსტული კომპლექსის აღმინისტრაციის დირექტორი ნიკოლა მონჯელი — მმართველი ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიის საქალაქო ორგანიზაციის ხელმძღვანელი, საზოგადოება „იტალია-სსრ კავშირის“ აქტიური წევრი. მან ჩაგვაცილა უფსკრულის ძირშეცველი, სადაც კლდეში წავეთი დაქანებული გვიჩაბი ჩადის. მღვიმის დათვალიერების შემდეგ, მისი ზოგნით, საპატიო დამთვალიერებელთა წიგნში ჩავწერეთ ჩვენი შთაბეჭდილება.

სადილი კასტელანა დი გროტეში გადაიწა გულთბილ მეგობრულ შეხვედრად. სუფრასთან შემოგვიერთდნენ საზოგადოება „იტალია-სსრ კავშირის“ აქტივისტი, ადგილობრივი სპელეოლოგი შლომო ტეზიო, მისი გოგონა ტერზა, დაწებითი სკოლის მეხუთე კლასის მოსწავლე და იტალიის კომპარტიის ვეტერანი, საზოგადოების ქველი აქტივისტი პენიონერი ანტონიო ტური. ჭაკომოს სიტყვით, როგორც კი საბჭოთა გემი ბარის ან ბრინდიზის ნაესადგურში, ელიო მყისვე მიიჩქარის იქ, რათა

საბჭოთა ეკიბაჟის წევრები მიიწვიოს კატელანა დი გროტეში მღვიმეთა აასათვალიერებლად. ელიო სიამონვებით ვგზიარებს ნორჩი ტერზას ყდტაცების, რაც მან განიცადა საბჭოთა გერმანიულ გარეუსაზე“ მოლფეტადან ბრინდიზიმდე მოგზაურობის დროს.

ჩვენი დელეგაციის წევრებისათვის ძალზე სასიამონვო იყო იმის ხილვა, თუ როგორ უფრთხილდებიან და ამრავლებენ იტალიელები საბჭოთა ხალხთან მეგობრობის ტრადიციებს. ამან გვიყარნას საბჭოთა ხალხის მეგობართა საჭი თაობის წარმომადგენლების სადღეგრძელო შევეთავგზებინა და მაღლობა გვეთვა იმისათვის, რომ ზრუნვავნ იტალია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის განმტკიცებისათვის და მემკვიდრეობით გადასცემნ მას თაობიდან თაობას. ანტონიო ტურიმ ძველი სლავური წესის მიხედვით სამჯერ გადაკოცნა სადღეგრძელოს ავტორი.

როცა ჩვენი ქვეყნის ერთგული მეგობრის ჭაკომო ლუქარელის სადღეგრძელო ითქვა, საბასუხოდ მან მკაფიო, ამაღლვებელი სიტყვა წარმოსთქვა: „გრძელი და ძნელი იყო გზა იქვენს ქვეყანასთან მეგობრობისა ჩვენთან იტალიაში, საერთოდ, და აბულიაში, განსაკუთრებით. მცირერიცხვანი იყვნენ ამ მეგობრობისათვის მებრძოლნი, მაგრამ უშაშარნი, გაბედულნი და მტკიცენი, რწმენის ერთგულნი. დღეს უკვე შეგვიძლია ვილაპარაკოთ დიდ წარმატებებზე საზოგადოების თითქმის ყველა ფენაში— მუშებიდან საქმოსნებამდე. დიდ დახმარებას გვიწევდნენ მეგობრობის განმტკიცებაში ჩვენთან ჩამოსული საბჭოთა ადამიანები. ეს მეგობრობა არასოდეს არ შესუსტდება. დღევანდელი მაგალითიც, როცა მაგიდას ვუსხედვართ სხვადასხვა ენისა და მსოფლმხედველობის ადამიანები, გვეხმარება უფრო ღრმად შევიგნოთ მეგობრობის თანამედროვე დიდი მნიშვნელობა“. გამეორა რა სიტყვები საბჭოთა კავშირის მეგობართა

სამი თაობის შესახებ და მიუთითა ახლანგაზრდობის წარმომაღვენლებზე, რომლებიც თან გვახლდნენ, ჯაკომო ლუკარელიმ თქვა: „ჩვენი ახალგაზრდობა აგრძელებს და კვლავაც გააგრძელებს ჩვენ მიერ დაწყებული მეგობრობის საქმეს“. სუფრის შემდეგ შეხვედრის მონაწილეებმა გადავიწყოთ ფოტოსურათები.

კასტელანა დი გროტედან დელეგაცია
გამეგზავრა ალბერთობელოში, რომელ-
საც „ტრულების ქალაქს“ უწოდებდნ.
ტრული ორიგინალური კონსტრუქციის
ნაგებობაა, აპულიაში უძველეს ღროს
წარმოშობილი და მხოლოდ მისთვის და-
მახასიათებელი. ესაა თაღოვნად ნაგე-
ბი შენობა წვეტიანი დაბოლოებით,
ჭვით ნაწყობი, ჩაიმე შემაკავშირებელი
მასალის გამოუყენებლად. თაღის აუკა-
ნის პრინციპით ტრული შეიძლება შე-
ვადაროთ აღმოსავლეთ საქართველოს
დარბაზის ტიპის გადახურვიან ძველ ქა-
რთულ სახლს, იმ განსხვავებით, რომ
ქართული დარბაზის ტიპის თაღის ასა-
წყობად ხის მასალაა გამოუყენებული.
ტრულის წარმოშობა აპულიაში კირქვას
სიუხვით უნდა იყოს განპირობებული.
ათასწლოვანი სასოფლო-სამეურნეო სა-
ქმიანობის პროცესში სავარგულების გა-
წმენისას ნაგროვები უამრავი ქვა ათე-
ულ კილომეტრებზე გადაჭიმული სამი-
ჯე და სატერასე ყორების ასაგებადაც
გამოუყენებიათ. მასპინძლებმა გვისახსო-
ვრეს ამ საინტერესო და ლამაზი ნაგე-
ბობის თაბაშირის მოდელები.

ალბერთბელოს ძველი, მთლიანად
ტრულებისაგან შემდგარი ნაწილი გაც-
ხველებული ტურისტული ექსკურსიე-
ბის ადგილია და თავისი საქმიანობითაც
გარდასულ საუკუნეთა ქალაქს გვაგო-
ნებს. აქ იღვწიან ხელოსნობის ძველ
დარგთა ოსტატები, ამზადებენ მრავალ-
გვარ კერამიკასა და რკინა-კავეულს
ტურისტებისა და აგრეთვე რეგიონალუ-
რი ბაზრობებისათვის, ძველებური ხის
დგამებზე მოქსოვილ, ლამაზად და ორი-

გინალურად მოხატულ შალეულსა და
მატყლის სხვა ნაწარმს.

ბარიში დაბრუნებისას ქალაქის გა-
ნაპირას დავათვალიერეთ ახალი ხორც
კომბინატო — სამხრეთ იტალიის ინდუ-
სტრიალიზაციის ახლანდელი პროცესის
პირმშო. იგი სამი თვეება, მწყობრში ჩა-
დგა. კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს უა-
ხლესი დანადგარები და შრომის ჰიგი-
ენური პირობები. სამუშაო ღლის დაჭ-
თავრებისას სააქტივოში მძლავრი ბრანდ-
სპონტებით ყველაფერი ჩამოიჩეცება
და ახალ სამუშაო ღლეს გაქრიალებული
და ყოველგვარი სუნისაგან გაწმენდილი
ხვდება. საქონლით კომბინატო მარაგდე-
ბა თითქმის მთელი ევროპის და ხმელ-
თაშუაზღვისპირა აფრიკული ქვეყნები-
დან: ბოსლებში მარაგად ყავთ ხუთი
ათას სულამდე მსხვილფეხა და წვრილ-
ფეხა საქონელი, ირლანდიური უზარგა-
ზარი ხარ-ძროხით დაწყებული და
„პროლინტორების“ მეშვეობით საპჭოთა
კაშირში შესყიდული გამოწუნებული
ცხენების რემათი დამთავრებული.

გულთბილად შეხვდნენ ბათუმის დე-
ლეგაციას საგვერო-სამრეწველო გამო-
ფენა-ბაზრობის „ფიერა დელ ლევან-
ტეს“ ხელმძღვანელები. საუბრისას მას-
პინძლები დაინტერესდნენ ბათუმისა და
აჭარის ასსრ სამეცნიერო-კონონმიკური
თავისებურებებით, ეროვნულ-სახელმწი-
ფონებრივი მშენებლობის საბჭოთა სის-
ტემით. ბაზრობის აღმინისტრაციის თა-
ვმჯდომარევ სტეფანი რომანაციმ აღ-
ნიშანა ურთიერთ სასაჩვებლო ეკონო-
მიკური კავშირურთიერთობის მნიშვნე-
ლობა საქართველორისო უშიშროებისა და
ხალხთა მეეგობრობის განმტკიცებისა-
ვის, ორი ქალაქის დამოუკრებას მშვი-
ლობის ინსტრუმენტი უწოდა და ბათუ-
მის წარმომადგენლები ზითქალისა პრე-
ლში ბაზრობის გახსნაზე.

ბარის დი ვენერეს სახელობის საო-
ლქო მასტერაბის საავალმყოფოში ჩვენი
ყურადღება მიიპყრო ელექტრონულ-გა-
მომზადებელ სისტემებსა და ლაზრები.

ტექნიკურ შექმნილმა სისხლის მიკრობი-
ლოგიური ანალიზის უახლესმა ავტო-
მატურმა პარატურამ და ხელოვნური
თიტერელის ავტომატურმა დანადგარმა.
ინტერიერი მოპირკეთებულია თბილ
ტონებში, რაც სასიამოვნო შთაბეჭდი-
ლების ტოვებს. საავადმყოფოში მეურნა-
ლობა ფასიანია და მაინც ძალზე გადა-
ტერიტულია. გვითხრეს, რომ დასახუ-
ლია მისი გაფართოება და საწოლთა გა-
ზრდა დოკუმენტები 850-დან 1.200-მდე.

საავადმყოფოს სათავეში უდგას ად-
მინისტრაციული საბჭო. მასში შედიან
იმ პარტეიბის წარმომადგენლები, რომ-
ლებიც აპულის საოლქო აღმინისტრა-
ციაში თანამშრომლობენ. საბჭოს თავე-
ლომარეს ჰყავს ორი მოადგილე — სა-
მეურნეო და სამედიცინო ნაწილში.
ჩვენ გვმასპინძლობდა მოადგილე სამე-
დიცინო ნაწილში დოქტორი მელი ჭო-
ვანი.

სამედიცინო პერსონალთან შეხვედრი-
სას ჩვენმა დელეგაციამ კმაყოფილებით
აღნიშნა საავადმყოფოს ლაბორატორი-
ების აღჭურვილობის მაღალი დონე და
გამოთქვა სურვილი, რომ ჩვენი ორი
ხალხის ეროვნული სიმღიდრე ხმარდე-
ბოდეს ასეთი შესანიშნავი ჰუმანური
დაწესებულებების შექმნას და არა
ნერევისა და ომის საშუალებების წარ-
მოებას.

120-ადგილიან მუნიციპალურ ბავშვთა
ბაგას, რომელიც ჩვენ ვნახეთ, უკირავს
სამსართულიანი სახლი. იგი ოცი წლის
წინ აუგიათ, მაგრამ ისე უხვად გამოუ-
ყენებიათ ძვირფასი სამშენებლო და
მოსაპირკეთებელი მასალები, მარმარი-
ლოს ჩათვლით, რომ ნაგებობა სრული-
ად ახლის შთაბეჭდილებას ტოვებს. ბაგა
ჩარგად არის აღჭურვილი ყველაფრით,
რაც საჭიროა ნორმალური მუშაობისა-
თვის. ოთახებში ბავშვთა გონების გან-
მავითარებელი ბევრი ნახატი და ფერა-
დი ფოტოსურათია, ბავშვთა სიმაღლეზე
ჩვდლებში ჩატანებულია დიდი სარკეები.
ჯვეფი დაკომპლექტებულია 5-7 ბავშვით.

არის გონებრივად სუსტად განვითარებ-
ულ ბავშვთა განყოფილებაც. აღჭურვა-
ლობის დონე, აღმზრდელთა და ბავშვთა
რიცხობრივი თანაფარდობა გვაცილებუ-
ბინებს, რომ ბავით სარგებლობა საკმა-
ოდ ძვირი უნდა უჯდებოდეთ მშობ-
ლებს. გვექმნება აგრეთვე იმის შთაბეჭ-
დილებაც, რომ ეს საუცხოო დაწესებუ-
ლება ქალაქის მასშტაბით მართლაც
„საუცხოოს“ — სანიმუშო-საჩვენებელი
დაწესებულების როლს უფრო ასრუ-
ლებს, რამდენადაც ასეთი ბაგა მხოლოდ
სამი ყოფილა ბარიში, რაც ძალზე ცო-
ტაა მისი ოთხასათასიანი მოსახლეობისა-
თვის. დავიმოწმეთ ჩვენი ასოციაციანი
ქალაქის მაგალითი, სადაც 33 ბავშვთა
ბაგა და ბალია და მაინც ვერ აქმაყოფი-
ლებს მოთხოვნილებას.

ვეწვით მუნიციპალურ სკოლას ბა-
რის მუშათა გარეუბან სან-პაულოში,
რაც დაემთხვა პედაგოგიური კოლექტი-
ვის სპაროტესტო კრებას. ეს კრება 28.
ნოემბერს მომხდარი ნეოფაშისტური
ტერორისტული აქტის წინააღმდეგ იყო
მიმართული. მუნიციპალურ საბჭოს გა-
ეგზავნა სათანადო წერილი. მღელავარე-
ბებთან დაკავშირებით სწავლა შეწყვე-
ტილი იყო. ასეთ დროს ბავშვებს ქუჩას
არიდებენ ხიფათის თვიდან ასაცილებ-
ლად, ეს წესად ჰქონიათ.

საინტერესოა, რომ ოთხმოციდან
თხუთმეტი პედაგოგი იტალიის კომუნი-
სტური პარტიის წევრია, მათ შორის სკო-
ლის დირექტორი ესაუბრა პედაგოგებ-
ტიებს იმ ზრუნვაზე, როთაც სახალხო გა-
ნათლება გარემოცულია ჩვენს ქვეყანა-
ში. გამართა ხანგრძლივი მეგობრული
საუბარი. იტალიელ პედაგოგებს აინტე-
რესებდათ საყოველთაო სავალდებულო
საშუალო განათლების სისტემა ჩვენს
ქვეყანაში, გონებრივად სუსტად გა-

ხვერდებოდათ საყოველთაო სავალდებულო
საშუალო განათლების სისტემა ჩვენს
ქვეყანაში, გონებრივად სუსტად გა-

ნვითარებული და პირიქით, განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული ბავშვების სწავლება, სასწავლო პროგრამებისა და სწავლების მეთოდიების შემუშავების სისტემა. ერთ-ერთი პედაგოგი დაინტერესდა ე. შ. „დახურული“ უმაღლესი სასწავლებლებით, საღაც თითქოს შეზღუდულია შერჩევა და ა. შ.

დელეგაციის წევრები შეეცადნენ სათანადო განემარტათ მსმენელთაოთვის საინტერესო საკითხები და ამავე დროს ეჩვენებინათ უსაფუძვლობა ზოგიერთი ყალბი წარმოდგენისა, რასაც ბურჟუაზიული პროპაგანდა ავრცელებს.

ჩვენი მხრით, დავინტერესდით, თუ რათ არის განპირობებული პედაგოლექტივში ქალთა აბსოლუტური სიჭარბე, როგორია მათი შრომის ანაზღაურება, ხელმძღვანელ პოსტებზე დაწინაურების წესი და სხვა. პასუხმა დაადასტურა ამ საკითხებში ქალთა უთანასწორობის ფაქტი.

ბარის მუნიციპალიტეტი ზრუნავს სპორტული ბაზების განვითარებისათვის. ვნახეთ ცენტრალური სტადიონი „სტადიონ დელა ვიტორია“ („გამარჯვების სტადიონი“). ბარის ფეხბურთის გუნდი ერთვნული პირველობის გათამაშების შეორე ლიგის მონაწილეა. ახალი საცურაო კომპლექსი სტადიონის გვერდით მზად არის და მაღლე გაიხსნება. მშენებლობა ხუთი წელი გაგრძელდა და მუნიციპალიტეტს 5 მილიარდ 300 მილიონი ლირა დაუდა (4,5 მილიონ მანეთმდე). ქალაქში სულ 6 საცურაო აუზია.

ქ. ტრანიში ფირმა „ბოტას“ ღვინის ქარხანა „ტრანი მოსკატი“, რომელიც მუსკატის და შამპანური ღვინოების მასალას აზრადებს, კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს ყურძნის გადამუშავების ავტომატიზებული სისტემით, სისუფთავითა და აკურატულობით. ქარხნის ტექნიკური დირექტორი ფრანჩესკო პასტორე კარგად იცნობს ქარხნის შეფასებას აძლევს მათ ხარისხს და,

როგორც გაგვიცხადა, აპირებს ინახულოს ჩვენი ქვეყნა, უფრო ახლოს გაეცნოს ჩვენი ღვინის წარმოებას.

ქ. ტრანიში გვქონდა შეხედრა, რომ მელმაც რუსთაველის სიტყვები მოგვაგონა: „ვახ, სოფელო, რა შიგან ხარ, რად გვაძრუნებ, რა ზე გჭირსა, სადაურსა საღ წაყვან...“ საბჭოთა დელეგაციისთან შესახვედრად ღვინის ქარხანში მოვიდნენ ტრანის მცხოვრები ცოლ-ქმარი ნინა და ლუკა ანგარანოები. ირკვევა, რომ ნინა (ისე მოუნათლავთ იტალიელ თანამოქალაქეებს საბჭოთა ქალიშვილი ევლყაია ნიკიფორეს ასული კულბატინქ ქალაქ ენაკიევოლან) ომის ფროს 15 წლისა წაუყვანიათ ფაშისტურ გერმანიაში. იგი შემდეგ აღმოჩნდა იტალიში, რომელიც მისთვის მეორე სამშობლო იქცა. აქ შემნა ფახი, რომლის ყველა წევრი, მათ შორის ქალიშვილი ნიკოლეტა, ბარის უნივერსიტეტის ენის ფაკულტეტის სტუდენტი, საზოგადოება „იტალია-სსრ კავშირის“ აქტივისტია. ნიკოლეტა ანგარანო, რომელიც მეორე დღეს წარმოგვიდგინა ჭაკომოლუკარელიმ, საქამაოდ კარგად ფლობს ჩუსულ ენას და დამაკმაყოფილებლად ართმევს თავს თარჯიშობას. ევლყაია ნიკიფორეს ასულმა გაგვიცხადა, რომ ოცნებობს საბჭოთა კავშირში დაბრუნებაზე, სადაც ხნეგრძლივი მეცადინეობის შემდეგ მიაგნო ენაკიევოდან გადახვეწილ დებს.

ჭაკომოლუკარელის მეგობარმა, ორმოცდაერთი წლის მშენებელმა ინუინერმა ჭურებე ვილასმუნტამ, რომელიც 18 წელია იტალის კომპარტიის წევრია, სტუმრად მიგვიძებულია თავის სახლში პატარა ზღვისპირა ქალაქ პალეზეში. ჭურებე ბიბლიოფილია. მის საოგანო ბიბლიოთეკაში სკომაოდ მდიდრულადაა წარმოდგენილი ლიტერატურა ისტორიისა და ხელოვნების დარგებიდან. ცოლქმარი ნამყოფია საბჭოთა კავშირში და აღტაცებულნი არიან მოსკოვის, ლენინ-

გრადისა და კიევის სილამაზითა და გრანდიოზულობით. ჭუზეპეს აინტერესებს, როგორია საბჭოთა აღამიანების დამოკიდებულება იტალიისა და იტალიელი ხალხისადმი, აგრძეთვე დასავლეთის მოღური „ევროკომუნიზმისადმი“.

ჩვენ შევეცადეთ გამოგვეხატა პატივისცემის ის გრძნობა, რომელსაც ბავშვებიდან უნერგავს ალზრდის ჩვენი სისტემა საბჭოთა აღამიანებს ნიჭიერი და შრომისმოყვარე იტალიელი ხალხის მიმართ, მისი რევოლუციური, დემოკრატიული, ანტიფაშისტური და ინტერნაციონალისტური ტრადიციებისადმი, იმ დროი წვლილისადმი, რომელიც შეიტანა იტალიელმა ხალხმა საკაცობრიო კულტურაში. ვუთხარით, რომ საბჭოთა აღამიანები ინტერესით აღვენებენ ოვალურს და მშერ სოლიდარობას იჩენენ იმ ბრძოლისადმი, რომელსაც იტალიელი ხალხი, იტალიის კომუნისტური პარტია ეწევიან დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის, ევროპაში ომის საფრთხის წინააღმდეგ, მშვიდობის განსამტკიცებლად.

რაც შევება „ევროკომუნიზმს“, შევახსნეთ ჩვენს მასპინძელს, რომ არავის ისე ნათლად არ ჩამოყალიბებია მარქსისტულ-ლენინური პარტიების მიერ რევოლუციურ ბრძოლაში საკუთარი ქვეყნის განვითარების კონკრეტულ-ისტორიული თავისებურებების გათვალისწინების აუცილებლობის იდეა, როგორც ეს გააკეთა ვ. ი. ლენინმა—უდიდესმა მოაზროვნებ და რევოლუციური ბრძოლის გენიალურა სტრატეგმა. სწორედ ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა: „ყველა ერთ განხორციელებს სოციალიზმს, ეს აუცილებელია, მაგრამ განხორციელებს არა საკუთარი ერთნაირი ერთნაირად... თოვრიულად იმაზე უფრო უბადრუკი და პრაქტიკულად იმაზე უფრო სასაცილო არა არის რა, როგორც ის, რომ „ისტორიული მატერიალიზმის გულისათვის“ მომავალი ამ მხრივ ერთფეროვანი რუსი ფერით წარმოვადგინოთ...“

რაც შევება. იმის ცდას, რომ ეს, ახალი ტერმინი დაუპირისიპირონ სოციალისტური ქვეყნების ისტორიულ გამოცდილებას, რევოლუციური ბრძოლის საერთო კანონზომიერებას, ამაზე საბჭოთა კომუნისტებს გვაქვს ნათლად გომოვეთილი შეხედულება. საქმე იმაშია, რომ ისტორიული გამოცდილებით შემოწმებული რევოლუციური ბრძოლის საერთო კანონზომიერების უგულვებელყოფას განმათავისუფლებელი ბრძოლის დამარტება და ტრაგედია მოსდევეს. ძნელებდობა ჩილეს ხალხისა, რომელიც სამხედრო-ფაშისტური ტერორის მსჯერპლი გახდა, ერთხელ კიდევ შეგვახსენებს ვ. ი. ლენინის ცნობილ დებულებას, რომ რევოლუციები მხოლოდ მაშინ ღირან ამედ, როცა თავის დაცვის უნარი აქვთ. რევოლუციური ბრძოლის საერთო კანონზომიერება სწორედ იმას გვასწავლის, თუ როგორ უნდა დაიცვან თავი რევოლუციებმა და მოაბოვონ გამარჯვებები.

ოფიციალური საღილი, რომელიც გამართა მუნიციპალიტეტმა ახალი სასტუმრო „გრანდ ოტელ ამბაშატორის“ რესტორანში, ორი ქალაქის დამოყრების შესახებ დოკუმენტის ხელმოწერის დღეს, გადაიქცა იტალია-საბჭოთა კაშშირის მეგობრობის იმპროვიზებულ საზომო მიტინგად. შეხვედრის საზეიმო განწყობილება კიდევ უფრო აამაღლა საქორწინო ზეიმმა მეზობელ დაბაზში. ჩვენი ქალაქის საბჭოს იღმასკომის თავმჯდომარის გურამ ემირიძის წინადებით, რასაც სიამოვნებით შეუერთდნენ მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელება, ბათუმის დელეგაციის მიულოცა ნეფედოფალს გაბედნიერება და უქლვნა სამახსოვრო საჩუქრები. ინეინერი პიერო კარო და მასწავლებელი სტელა ნოტარნიკოლა ბარის პირველი ნეფე-დედოფალი იყვნენ, რომლებმაც მილოცვა და კეთილი სურვილები მიიღეს ერთბაზად ორი დამმობილებული ქალაქის მერებისაგან. ორივე სუფრის მონაწილენი

ტაშით შეხვდნენ ამ სასიხარულო ამბავს. ნეფე-დედოფალმა საბასუხოდ ტრადიციული საჩუქრები მიართვეს დელეგაციის წევრებსა და მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებს.

ჩვენთვის არც თუ ადვილი აღმოჩნდა ბარის „რელიგიის მუზეუმის“ ბოლომ-დე დათვალიერება.

ერთია, როდესაც ათვალიერებ ისტორიულ ქეგლს, თუნდაც რელიგიის საფუძველზე აღმოცენებულს, რომელშიც ხალხის კულტურა ეპოქის შესაბამისი პროფესიონალიზმის უმაღლესი დონით არის წარმოდგენილი ყველა დარგში — არქიტექტურაში, სკულპტურასა და ფერწერაში. ასეთია თუნდაც XI საუკუნეში შექმნილი ბარის წმ. ნიკოლოზის ბაზილიკა, ან უფრო აღრინდელი საკათედრალო ბაზილიკა. ასეთია კათოლიკური სამყაროს მთავარი ტაძარი — ვატიკანის წმ. პეტრეს ტაძარი რომში: გრანდიოზული ნაგებობა 130 მეტრის სიმაღლის გუმბათით, რომლის ინტერიერი წარმოადგენს ხელოვნების სხვადასხვა დარგების უმაღლეს მიღწვევათა სინთეზს, მარმარილოს მოზაიკათა და აღორძინების ეპოქის დიდოსტატთა, მათ შორის მიქელანჯელო ბუნეროტის, ფერწერისა და სკულპტურის შედევრების სიმფონიას.

ბარის „რელიგიის“ მუზეუმში“ თავ-მოყრილია სამხრეთ იტალიის მოსახლეობის რელიგიურ რწმენებთან დაკავშირებული სახვითი თვითშემოქმედების ნიმუშები, რომლებშიც ასახულია, თუ როგორ უკავშირებენ ადამიანები ხიფათისაგან თავიანთ გადარჩნას ღვთისმშობელს. ტილოებზე ხიფათის კულმინაციური მომენტებია ნაჩვენები (გემის ჩაძირვა, სატრანსპორტო შემთხვევა, წყალდიდობა, რქიანი საქონლის შემოტევა, ხანძარი, ხარაჩის ჩამონვრევა, დაბომბვა, სულთმობრძაობა და ა. შ.), ზემო კუთხში კი ღვთაებრივი შარავანდედით მოსილი ღვთისმშობელი მარიმი ყრმით. ნახატის მიზანია სასწაულებრივი გადა-

რჩენა ღვთისმშობლის შეწევნას მაწეროს.

როდესაც მუზეუმის დირექტორმა თი-თონეული სურათის იდეის ვანმარტოვას გადაჭარბებული გულმოყვითებით მოჰკიდა ხელი, ვიკითხეთ, თუ რა მიზანა აქვს მუზეუმს — ხალხური რელიგიური რწმენების ნიმუშების ჩვენება, თუ ამ რწმენების პრობაგანდა? პასუხმა — „პროპაგანდაო“, გავგაოცა, რაც დარწმუნებული ვიყავით, რომ ჩვენი „მოქცევისათვის“ მუზეუმი, მესვეურებს არ უნდა დაეკარგათ ფუჭად დრო. შევთავაზეთ ჩვენებული ინტერპრეტაცია: „მუზეუმი ასახავს ხალხურ რელიგიურ რწმენებს თვითშემოქმედებითი მხატვრობით, რომელიც თავის მხრივ, პროფესიონალურ ხელოვნებას ასაზრდოვებს ნაწილობრივ, ისევე როგორც ხალხური მუსიკა კომპოზიტორთა შემოქმედებას“. ამაში არ დაგვეთანხმდენ. ამ ჩვენი მოსაზრებით, როგორც ჩანს, ვერც ისე ვასიამოვნეთ მუზეუმის დირექტორს. ეს შევატყვეთ, როცა შთაბეჭდილებების წიგნში, მისი თხოვნით გაეთობულ ჩანწერში, ჩვენებური ინტერპრეტაციის თარგმანი მოვამენინეთ.

უნდა ითქვას, რომ იტალიაში, როგორც რომის პაპის „შილდგომილ“ ქვეყანაში, კათოლიკური ეკლესიის ძლიერი პოზიციები რელიგიური პროპაგანდის ინტენსიურ ხასიათშიც პოულობს ასახვას. შეიმჩნევა, რომ ხალხის რელიგიურ რწმენებში განსაკუთრებული აღვილი უშიორეს მაღონას კულტს. ღვთისმშობელი მარიმის გამოსახულება უფრო ხშირად გვხვდება, ვიღრე ქრისტეს ტრადიციული ჭვარცმისა, თანაც ყოველ ფეხის ნაბიჯზე — ძველი ქალაქის კედლებში ჩატანებულ სპეციალურ ნიშებში, საკლასო თახებში. დი ცენტრეს საოლქო სავალმყოფოს დერეფანში ღვაც ელექტრონათურებისგან შეღვენილ ნიმბით მაღონას ფერადოვანი სკულპტურა. შთაბეჭდილება იქმნება, რომ უახლესი სამედიცინო აპარატურისა და მკურნალობის თანამედროვე მეთოდების

გამოყენება შეხამებულია ხალხის შეგ-
ხებაში არსებული რელიგიური რწმენე-
ბის გამოყენება-განმტკიცების ცდას-
თან. რომის სასტუმროშიც სასთუმლის
თავზე გვადგა ჭვარცმა.

დღდად კმაყოფილი დავრჩით ბარის
საოლქო სახეითი ხელოვნების გალერეის
დათვალიერებით. იგი 1800 წლიდან არ-
სებობს. ექსპონატთა შორის არის აღო-
რძინების ეპოქის ოსტატთა შესანიშნავი
ნამუშევრები, რომლითაც შეუძლია ია-
მყოს მსოფლიოს ყველა სახელგანთქ-
მულ სამხატვრო გალერეას. საინტე-
რესოა, რომ გალერეაში დაცული ბევ-
რი ფერწერული ტილო წარმოადგენა
აპულის ოლქის მონასტრების საკუთ-
რებას.

სამხატვრო გალერეაში დიდი ყურად-
ღებით მიგვიღეს. მეგზურობას გვიჩვებ
დირექტორი, ხელოვნებათმცოდნების
ორქორი მანდილოსანი პინა ბელი დე-
ლია. იგი ფრიად განათლებული და ერ-
უდირებული სპეციალისტია, კარგად
ფლობს ფრანგულ ენას, თავდადებით ემ-
სახურება სამხატვრო გალერეას. ჯაკომი
ლუკარელის სიტყვით, იგი აქტიურად
ეხმარება საზოგადოება „იტალია-სსრ
კავშირის“ განყოფილებას საბჭოთა კა-
ვშირისადმი მიძღვნილი გამოფენების
მოწყობაში. გალერეის ღირექტორის
ოხვინით საბატიო დამთვალიერებელთა
წიგნში ჩავწერეთ ჩვენი შთაბეჭდილება-
ნი. ღოქტორმა პინა ბელიმ დელეგაცი-
ოს წევრებს უსახსოვრა თავისი წიგნი გა-
ლერეის შესახებ.

* * *

ჟელა ქვეყანას თავისი საკუთარი
წელილი შეაქვს საკაცობრიო კულტურის
ამა თუ იმ დარგში. ამიტომ მოგზაურო-
ბას ყველთვის აქვს დიდი შემეცნებითი
შეიშვნელობა. დამოყერებული ქალაქე-
ბის მსოფლიო მოძრაობა ერთი იმ არხ-
თაგნია, რომლითაც ქალაქები ერთმა-
ნეთს უზიარებენ თავიანთ გამოცდილე-
ბასა და მიღწევებს. ქალაქები კი თანამე-

დროვე ცხოვრების მაჯისცემის მთავარი
ცენტრებია. ამ თვალსაზრისით, ცტალია-
ში ბათუმის დელეგაციის ყოფნაც საია-
რებლოდ უნდა ჩაითვალოს.

უდაოდ ყურადსალებია, მაგალითად,
ის, რასაც შეიძლება მშენებლობის კულ-
ტო ვუწიოდოთ. დიდი დაკვირვება არ
იყო საჭირო, რომ შეგვენიშნა პროექტი-
რებისა და მშენებლობის მაღალი დონე,
ხარისხი, აურატულობა, მკვიდრად, სა-
შვილიშვილოდ შენება, საშენი და განსა-
კუთრებით მოსაპირეთებელი მასალე-
ბის, კერძოდ, ბუნებრივი ქვის ფართო
ასორტიმენტის გამოყენება. მოუმთავრე-
ბელი და უხარისხოდ ნაგები წარმოუდ-
გენელია იტალიელი დამკეთისათვის. იქ
მშენებლობაში სუფევს მეაცრი დისციპ-
ლინა და ბასუხისმგებლობა.

ამ მხრივ ბარის ახალი თერთმეტსარ-
თულინი მუნიციპალური სასტუმრო
„გრანდ ოტელ აბაშატორი“ შეიძლება
ჩაითვალოს უზადო მშენებლობის ნიმუ-
შად. ეზოს დაგეგმარება-გამწვანება, ფა-
სადისა და ინტერიერის მოპირკეობა,
სასტუმრო თახების მოწყობილობა და
სანიტარულ-ტექნიკური კვანძების აღ-
ჭურვილობა უმაღლეს შეფასებას იმსა-
ხურებს. განსაკუთრებით სანტერესოა
რესტორანის და მასთან დაკავშირებული
ბრტყლად გადახურული საბანაო აუ-
ზიანი მოედანი, საიდანაც შეიძლება
მთელი ქალაქის დათვალიერება.

ირკვევა, რომ სასტუმრო მმართველი
ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიის
მასშტაბის საპრესტიულ ნაგებობაა და
მის შექმნას ცენტრიდან დაშვებული სა-
ხსრები მოხმარდა. ასეთ თუ ისე, იგრ-
ძობა, რომ აღგილობრივი ხელისუფლე-
ბა მას დიდი ყურადღებით ეკიდება. სა-
სტუმროს ჭიშკართან დამონიცაუებულ
ან-
ძებზე ხუთი ალმაზია აღმართული, დაწყე-
ბული ბარის აღმით და დამთავრებული
იტალიის ეროვნული და გაერთიანებული
ერების ორგანიზაციის აღმებით. თვით
სასტუმროს სახელწოდებაც — „დესპან-
თა (ელჩთა, წარგზავნილთა) დიდი სას-

ტუმრო” — “ამ შალალი პრესტიჟის გა-
მოხატულებაა.” ალბათ, შემთხვევითი არ
იყო ისიც, რომ ქალაქის შერი ნიკოლა
ლამადალენა დაინტერესდა, რა მოსაზ-
რებისა ვიყავით. სასტუმროს კომპლექ-
სის ლინსებებზე.

რა თქმა უნდა, ჩვენმა მასპინძელმა
თვითონაც შესანიშნავად იყოდა ამ ნა-
გებობისა და მისი აღტერვილობის ფასა,
და ისიც, რომ იტალიაში, კველა სასტუ-
მრო როდია ასეთი. ამიტომ, როგორც კი
დავუდასტურეთ „ამბაშატორის“ ლირსე-
ბანი და ვუთხარით, რომ იგი ჩვენი
თვირთმეტსართულიანი მშენებარე კომუ-
ნალური სასტუმროს შინაგანი აღტერვი-
ლობის სასურველ ნიმუშადაც კი მიგვა-
ჩნია; — ვკითხეთ თვითონ როგორ აფა-
სებდა ამ ნაგებობას. ნიკოლა ლამადა-
ლენამ ალირა, რომ „ამბაშატორი“ უმა-
ღლესი დონის სასტუმროდ არის მიჩნე-
ული მთელს იტალიაში.

ჩვენ არ შეგვიძლია დავივიწყოთ, რომ
კაბიტალისტური ქვეყნის დამოყრებუ-
ლი ქალაქის (თვით იტალიელები ხან
„დაძმობილებულ ქალაქს“ — „ჩიტა ჭე-
მელას“ ეტყვინ, ხან „დაძმობილებულს“
„ჩიტა სორელა“) მუნიციპალიტეტის მე-
სვეურები ჩვენთან ურთიერთობის ყო-
ველ ასპექტს ორი განსხვავებული სო-
ციალურ-პოლიტიკური სისტემის შეიძ-
რების ასპექტშიც მიუდგებიან. ამიტომ
ჩვენი მშენებლობების ხარისხის შემდ-
გომი ამაღლება და ვადების შემცირო-
ება საერთაშორისო პრესტიჟის პრობლე-
მასთან დაკავშირებული პოლიტიკური
ასპექტის მოთხოვნად იქცევა. სხვათა
შორის, ნიკოლა ლამადალენას დიდი გა-
მოცოცხლება დაეტყო, როდესაც ჩვენი
მშენებარე სასტუმრო ვახსენეთ და და-
ინტერესდა მასი მშენებლობის მომთა-
ვრების ვადებით.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ იტალიელები
ბუნებრივ ქვეს მასობრივად იყენებენ
სამშენებლო საქმეში. მარმარილო, გრა-
ნიტი, ბაზალტი, ტუფი, ქვიშაქვა ყოვე-
ლი ფეხის ნაბიჯზე გვხვდება ფასადების,
ინტერიერების, ტროტუარების, ბორდი-

ურების მოპირკეთებაში. აქ ქვეს მოპი-
რკება-დამუშავება ინდუსტრიულ რელეა-
ბზეა დაყენებული. ზოგისირა ქალაქ
ტრანის მარტო ერთ ქუჩაზე უდაცვე-
ლეთ რამდენიმე, ალბათ, მეტექურ ფირ-
მების კუონილი, ქვის დამტუშავებელი
ქარხანა, რომელთა დიდი ეზოები გამო-
შედილი იყო უზარმაზარი ლოდებითა
და მხა პროდუქციის შტაბელებით.

თვითურიტიკულად რომ შევხელოთ,
ბუნების მიერ ნაბოძები სიმღიღრის —
სამშენებლო ქვის გამოყენებისადმი
ჩვენს დამოკიდებულებას, გადამეტებუ-
ლი არ იქნება თუ ვატყვით, რომ
უზრუნველობის დაღი აზის. აჭარის ტე-
რიტორიაზე დადგენილი სამშენებლო
ქვის მარაგი არ არის ჩაყენებული სახა-
ლხო მეურნეობის სამსახურში. ამ საქ-
მეს ჯერჯერობით აკლია ნამდვილად კა-
რგი მეურნე-პატრონის ხელი.

სამშენებლო ქვის მოპოვება-დამუშა-
ვების მაღალი დონე აპულიაში შეიძ-
ლება გახდეს გამოცდილების გაზიარების
ერთ-ერთი სასურველი ასპექტი, დამოყ-
ვრებულ ქალაქთან ჩვენს ურთიერთო-
ბაში.

ჩვენი დაკვირვებით, რამდენადაც ჩა-
მორჩება იტალიის ქალაქების გამწვანე-
ბა, იმდენად განვითარებული ჩანს ეზო-
აივნებისა და ინტერიერების გამწვანე-
ბასთან დაკავშირებული დეკორატიული
მექცენარეობა. ასე იყო ყველა ოჯახში,
სადაც კი სტუმრად ვიყავით, ასე იყო
დი ვენერეს სავადმყოფოს მთავარა
ექიმის მელი ჭოვანის კაბინეტში (ხვია-
რა დეკორატიული მცენარე მთელს კე-
დელზე), რომის საერთაშორისო აერო-
პორტის ინტერიერში (უზარმაზარი კაკ-
ტუსები). დიდ მოწონებას იმსახურებს
ოვით „გრანდ ოტელ ამბაშატორის“
ცესტიბიულისა და განსაკუთრებით, ეზოს
გამწვანება. იგრძნობა დიდი ვემოუნები-
სა და ცოდნის მქონე დეკორატორის ხე-
ლი. შედარებით მცირე ნაკვეთზე, თუ
შეიძლება ითქვას, მთელი დენდროლო-
გიური მიკრობაღია განლაგებული. ძალ-
ზე საინტერესოა დეკორატიულ გაფორ-

შებაში ბოსტნეულის გამოყენება. „ამ-
ბაშატორის“ ბაღში თექვსმეტამდე სა-
ხის ბოსტნეულია გამოყენებული მწვანე
ხალიჩის შესაქმნელად (ოხრახუში, ქინ-
ძი, ფხალი, ჭარხალი, სტაფილო, კამა,
ამიდორი, ქონდარი, ბოლოვი, წიწმატი,
ოჯპახი, ხახვი, სალათი, დეკორატიული
პიმპილი, ფინკიო და ერთიც ჩვეხთ-
ვის უცნობი ბაბუაწვერას შაგვარი ბო-
სტნეული).

დეკორატიული შემცენარეობის პოპუ-
ლარობა, როგორც ჩანს, ბოტანიკური ც-
ლინის გავრცელებასაც უწყობს ხელს.
როცა მუხიციბალიტეტის ავტომანქანის
მძღოლმა ვიტო დებენდიქტისმა „ამბა-
შატორის“ ბაღიდან უჩვეულო სიმძაფ-
რის სასიმოვნო სურების შენე მცე-
ნარის ტოტი მოგვართვა, დაგვაინტერე-
სა მისმა ბოტანიკურმა სახელწოდებამ,
რომ შემდგომ გვეპოვნა იგი ჩვენს ბო-
ტანიკურ ბაღებში. გაგვაოცა და ოანაც
სიამოვნება მოგვგვარა მძღოლის ინფო-
რმირებულობამ: მცირე დაფიქრების შე-
მდეგ მან გვითხრა მცენარის ლათინური
სახელწოდება — „ჩიტრონელა ლილე-
უმ“. აღმოჩნდა, რომ ვიტო დებენდიქ-
ტისს ეზოში „პარარა ბოტანიკური ბა-
ღი“ პქონია და თავისუფალ დროს დე-
კორატიული შემცენარეობით ყოფილა
გატაცებული.

„ამბაშატორის“ ეზოში ყურადღებას
იძყრობს ნახევარი მეტრის სიგრძისა და
მისი. ნახევარი სიგანის სწორკუთხოვანი
წითელი თიხის საყვავილე „ქოთნები“.
ის ძალზე მოხერხებული და რაციონა-
ლური კონსტრუქციისაა ეზო-აივნების
ყვავილნარებისათვის. სასურველი იქნე-
ბოდა, აჭარის ასარ ადგილობრივი მრე-
წველობის სამინისტროს ერთ-ერთ სა-
წარმოს მოეგვარებინა ანალოგიური სა-
შვავილების წარმოება ცეცხლაურის
თხების ბაზაზე.

ტუალია ტურიზმის პირველ ქვეყნად
ჩება. ყოველწლიურად 30 მილიონი
უცხოელი ტურისტი ჩადის იქ. ტურიზ-
მის, როგორც ნაციონალური შემოსავ-
ლის უმნიშვნელოვანესი წყაროს გონი-

ვრულად გამოყენების თვალსაზრისით,
იტალიაში, უდაოდ, ბევრი რამ. არის
ყურადღალები, კერძოდ, სუვენირებით
ვაკრობის დონე. ყველაფერია გამოყენების
ბული იმისათვის, რომ უცხოელი ტუ-
რისტის გიბეს სამახსოვრო ნაერთობათა
ამოუწურავი არსენალი დაუდარაჯონ,
პოლიგრაფიული პროდუქციიდან დაწ-
ყებული (წიგნები, ალბომები, ბუკლეტები
და ტურისტული მეგზურები, ფოტობა-
რათები) და დამთავრებული მრავალდა-
რგოვანი ხელოსნური წარმოების უფარ-
თოესი ასორტიმენტის პროდუქციით.
კარსტული მღვიმიდან ამოტანილი კალ-
ციტის ნატეხიც კი ამ საქმეს ემსახურე-
ბა.

სასურველი ჩანს თანამშრომლობა
პოლიგრაფიული წარმოების სფეროში,
რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, მაღა-
ლი ტექნიკური დონით გამოიჩინება. ამ
დარგში თანამშრომლობის სათავეს პირ-
ველი ქართული წიგნის დასტაბების ის-
ტორიასთან მიყვავართ. როგორც ცნო-
ბილია, 1629 წელს რომში გამოიცა „ქა-
რთულ-იტალიური ლექსიკონი“, რომ-
ლის დაბადება იტალიელი სტეფანე პა-
ოლინისა და ქართველი საეკლესიო მო-
ღვაწისა და დესპანის ნიკიფორე ირბა-
ნის თანამშრომლობაში გახადა შესაძლე-
ბელი.

იგივე შეიძლება ითქვას სამეცინო
მომსახურების სფეროში გამოცდილე-
ბის ურთიერთგაზიარების შესახებ. თა-
ნამედროვე მეცნიერის ევექტურობა
დიაგნოსტიკის, ლაბორატორიული ან-
ალიზისა და მკურნალობის უახლესი ტე-
ქნიკური აღჭურვილობის დანერგვა-გა-
მოყენების პირდაპირ პროპორციულია.
ბარის საოლქო საავადმყოფოს დონე
შესაძლებლობას ქმნის დაისვას საკითხი
დამოყვრებულ ქალაქში ჩვენი ექიმე-
ბის სტაჟირების და უახლესი პპარატუ-
რის შეძენის შესახებ.

სასიამოვნო წეს-ჩვეულება აქვთ იტა-
ლიელებს საზოგადოებრივი კვების სის-
ტემაში. რესტორნებში სუფრაზე არ ახ-
ვევებენ ხორავს. ცივი საუზმის შემდეგ

ქარძებს დაწესებული თანმიმდევრობით
აწოდებენ თითოეულ თანამესუფრეს.
იგრძნობა ნამდვილი მომსახურება, ყო-
ველგვარი შეფერხება-გაჭიანურების გა-
რეშე. ტრალიელები ღვინოს დიდი პა-
ტივისცემით ეყყრობიან, როგორც ძვი-
რფას საკვებ პროდუქტს. მათი სუფრა
წარმოუდგენელია უღვინოდ, მაგრამ
სვამენ ზომიერად, ინდივიდუალური გე-
მოვნების შესაბამისად. მეღვინეობის ამ
უძველეს ქვეყანაში უცხოა ზოგიერთი
ისეთი დრომოქმული ჩვეულება, როგო-
რიცაა ღვინის დაძალება, „ბოლომდე
დაცლის“ მოთხოვნა, „ჯარიმები“ და
სხვა. ძალზე სასიამოვნო წესი ვინილეთ
ქორწილის მუსიკალურ მომსახურებაში:
სუფელდა ზომიერება და პარმონია.

* * *

დელეგაციის წევრები დარწმუნდნენ,
რომ ბარიში გამგზავრება იყო სასარგებ-
ლო და ნაყოფიერი. ჩვენმა კონტაქტებ-
მა ხელი შეუწყო ურთიერთგაგებისა და
შეგობრობის გალრმავებას, იმის შეგნე-
ბას, რომ აუცილებელია თანამშრომლო-
ბა ყველა სფეროში და პირველ რიგში
კი იმ ღონისძიებებში, რომლებიც მიმა-
რთულია საერთაშორისო პოლიტიკური
კლიმატის შემდგომი გაჭანსაღებისაკენ.
ქალაქი ბათუმი უკვე ჩაება პროტეს-

ტის იმ საყოველთაო მოძრაობაში, რო-
მელიც წარმოშვა ამერიკის შეერთებუ-
ლი შტატების იმპერიალისტური წრეების
განვითავამ, შეუდგნენ მასობრივი
მოსპობის ახალი იარაღის — ნეიტრო-
ნის ბომბის წარმოებას და განალაგონ ის
დასავლეთ ევროპის ტერიტორიაზე.

შარშან, დეკემბრის მეორე ნახევარ-
ში ბათუმის სახალხო დებუტატების სა-
ქალაქო საბჭოს აღმასკომშა წერილით
მიმართა ბარის მუნიციპალურ საბ-
ჭოს, რომელიც დამოყვრებული ქალა-
ქების IX მსოფლიო კონგრესის მანიფეს-
ტისა და სხვა გადაწყვეტილებების
სრული შესატყვისობით შეიცავს მოწო-
დებას, ბარის მუნიციპალიტეტმა გამო-
იყენოს მის განკაგულებაში არსებული
ყველა საშუალება ამ ბარბაროსული ია-
რაღის კანონგარეშე გამოცხადებისათვის
მასობრივი მოძრაობის გასაშლელად.

ბათუმისა და ბარის დამოყვრება ახა-
ლი მნიშვნელოვანი ფურცელია ჩვენი
ქალაქის ისტორიაში. ბათუმის შშრომე-
ლთა რევოლუციური, შრომითი და ინ-
ტერნაციონალისტური ტრადიციები
ხელს შეუწყობს იმას, რომ დამოყვრე-
ბული ქალაქების მსოფლიო მოძრაობა-
ში ჩვენმა ქალაქმა ახალ საპასუხისმგე-
ბლო და კეთილშობილურ ამოცანებს
პირნათლად გაართვას, თავი.

ესთაზ სურანიძე

დიდი რესი მწერალის მისამართი

დიდი რუსი მწერალი, ექიმი და სახოგადო მოღვაწე ანტონ პავლეს ძე ჩეხოვი (1860-1904) დიდ ანტერესს იქნა საქართველოს მშობლით. ამ საკითხს არაერთი ავტორის (ვ. შადური, გ. ბებუთოვი¹, გ. ტალიაშვილი², გ. პირადოვი³, ი. ბექირიშვილი⁴ და სხვ.) შრომა მიეძღვნა, რომლებშიც საფუძვლიანად არის გაშუქებული მწერლის საქართველოში ყოფნის თარიღები, მიზეზები, გარემოე-

ბები, მოხსენებული არიან თანმხლები პირები, ცნობილი მწერლები, მხატვრები და ა. შ.

დღემდე შედარებით ძუნწია ცნობებია შემონახული იმ პირებზე, რომლებიც ა. ჩეხოვს ხვდებოდნენ საქართველოში და რომლებთანაც სისტემატური მიწერმოწერა ჰქონდა მას. საკითხის მეტ-ნაკლებად გარკვევა ხერხდება ა. ჩეხოვის ეპისტოლარული მემკვიდრეობით, რომლის დიდი ნაწილი გამოქვეყნებულია, ნაწილი კი ხელნაწერების სახით არის დაცული მწერლის არქივში. ამ მხრივ დიდი ინტერესი გამოიწვია მოსკოვში, ვ. ი. ლენინის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკაში დაცულმა საბუთებმა, რომლებიც რამდენადმე წარმოგვიჩენ ა.

1 В. Шадури, Г. Бебутов. Летопись дружбы. ч. 1, 1967. Тбилиси с. 515-524

2 გ. ტალიაშვილი, ა. ჩეხოვი, თბ., 1960

3 Газ. «Заря Востока» 20 января 1960

4 ი. ბექირიშვილი. რუსი და სხვა მოძმე ხალხების მწერლები აჭარის შესახებ. ბათუმი, 1973, გვ. 38-43

ჩეხოვის ბათუმელ მეგობრებსა და ახლობლებს.

1888 წლის ივლისში ა. პ. ჩეხოვი ფეოდოსიაში 11 ღლე იმყოფებოდა სტუმრად გაზეთ „ნოვო ვრემიას“ რედაქტორ-გამოცემელ ა. ს. სუვორინთან (1834-1912). როგორც ჩანს, მას აქ აღეძრა სურვილი, ენახა ბათუმი.⁵ (ამას ერთგვარად ბიძგი მისცეს მისმა ბათუმელმა მეგობრებმა და ამხანაგებმა, რომელთა შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი).

იმავე წლის 23 ივლისს ა. პ. ჩეხოვი ა. ს. სუვორინის ვაჟთან ერთად გემით ბათუმისაკენ გაემართა. 24 ივლისს იგი გემ „იუნონა“-დან თავის უფროს ძმას ალ. პ. ჩეხოვს (1855-1913) სწერს: „ვუახლოვდებით ახალ ათონს, სადაც ალბათ დავრჩები ერთ დღელამექს, ხვალ ან ზეგ ვიქნები ბათუმში... მარშრუტი ასეთია: ბათუმი, ტფილისი, ბაქო, კასპია, იმიერკასპიის გზა“. მწერალს განზრახული ჰქონდა სამარყანდამდე მიეღწია.⁶ 25 ივლისს მოგზაური ა. ს. სუვორინის სწერს, რომ იგი უკვე სოხუმშია, ხოლო 27 ივლისს უმცროს ძმას ი. პ. ჩეხოვს (1861-1922) აცნობებს, რომ იგი სეირნობს ფოთში, ნასაღილევს კი საფოსტო გემით წავა ბათუმში, ყოველ ქალაქში ჩერდება ერთი დღით; მწერალი ძმას

5 А. П. Чехов. Полное собрание сочинений и писем, т. XIV. М. 1949 с. 132-139.

6 ევე, გვ. 139.

ატყობინებს აგრეთვე, რომ დაწვრილებით მისწერს ბათუმიდან და ა. შ. ეს პირობა ნაწილობრივ შესრულებულია.

28 ივლისს მწერალს შედგენილი აქვს დღიური, პირადი წერილი მეორე, უმცროსი ძმის მ. პ. ჩეხოვისადმი (1865-1936), რომელშიც დაწვრილებით არის აღწერილი მოგზაურობის დეტალები, გზაზე მომხდარი ხიფათი და სხვ. დღიურის ბოლოს მწერალი პირდება, რომ „გაგრძელება იქნება“, რომელშიც მოსალოდნელი იყო ბათუმური შთაბეჭდილებების აღწერა, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს „გაგრძელება“ ჯერჯერობით მიკვლეული არ არის.

ა. პ. ჩეხოვის თხზულებათა კრებულის მე-11 ტომის (მოსკოვი, 1956, გვ. 652) შენიშვნებში ნ. ი. გიტოვიჩი წერს: დღიურის „გაგრძელება არ ყოფილა, რაღანაც ჩეხოვის მოგზაურობა შეწყდა და იგი შინ დაბრუნდა“. ვფრქრობთ ავტორს არ სურს თავის შეწუხება და იოლ გზას ეძებს. მართალია, მოგზაურობა შეწყდა. მაგრამ საკითხავია, სად? — ბაქოში. „ვიყავი ყირიმში, ახალ თონში, სოხუმში, ბათუმში, თბილისში, ბაქოში. მსურდა ბუხარაში და სპარსეთში ჩასვლა, მაგრამ ბედმა ჩემი საჭე უკან მომაბრუნებინა“ (იქვე, გვ. 254), სწერს მწერალი. ამის მიზეზი იყო თანმხელების, ა. ა. სუვორინის ძმის გარდაცვალება. დღიური კი შეწყვეტილია ფოთში. საკითხავია, სადღაა ასეთი რეალისტი მწერლის.

უთა ბეჭედილებები, რომლებიც მან გილო ფოთიდან ბათუმამდე? ჩვენ გვჯერა, რომ „გაგრილება“ იყო, მაგრამ დღემდე ვერავინ შეძლო მისი მიგნება. ამიტომ, ჩვენის აზრით, სცდებიან ა. ჩეხოვის პირადი წერილების გამომცემლები, როცა ამ წერილს გემზე დაწერილად თვლიან. მართალია, დასაწყისში წერილს მიწერილი აქვს „თბომავალი „დირ“-ი, მაგრამ ეს უბრალოდ ამ გემით მოგზაურობის აღმნიშვნელია და არა იმისი, თითქოს დღიური უშუალოდ მოგზაურობის დროს გემზე იყოს დაწერილი, თვით დღიურის შინაარსიც ჩვენს სასარგებლოდ მეტყველებს.

სცდებიან აგრეთვე ა. პ. ჩეხოვის პირადი წერილების გამომცემლები, როცა მომდევნო წერილს ფ. ი. დოლეუენკოსადმი, გაგზანილს თბილისიდან, 28 ივლისით ათარიღებენ. ყოვლად შეუძლებელია 27-ში ფოთიდან წამოსული მწერალი 28-ში თბომავალ „დირზეც“ იყოს და თბილისშიც. ჩვენის აზრით, აქ თვით მწერალმა დაუშვა უზუსტობა, ან მკვლევარებმა არასწორად დასვეს თარიღი?

ბათუმის შესახებ პირდაპირ თუ არაპირდაპირ მწერალი ლაპარაკობს ვრცელ მოთხობაში „დუელი“, რომელიც 1891 წელს გამოქვეყნდა და ჩვენის აზრით, სწორედ 27 ივლისის დღიურის

გაგრძელებაა, მხოლოდ მხატვრულ ფორმაში. ამაზე მიგვანიშნებს მოთხობაში მოხსენიებული ნავსადგურის აღწერა, აქ მდგომი ევროპის სახელმწიფოთა გემები, ფრანგული ლაპარაკი, რომელიც ხშირად ისმოდა საზღვაო სადგურში და ა. შ. ამ დროისათვის მნიშვნელოვან საერთაშორისო ნავსადგურს საქართველოს საზღვაო სანაპიროზე სწორედ ბათუმი წარმოადგენდა, ამიტომ თვლიან, რომ „დუელში“ სწორედ ბათუმზეა ლაპარაკი.⁸

ისმება კითხვა: ა. ჩეხოვი ბათუმში პირველად მართლა 1883 წელს ჩამოვიდა? არსებული მასალები საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ეს გაცილებით აღრე მოხდა. 1882 წელს ა. ჩეხოვმა გამოაქვეყნა მოთხობა „მწვანე კონცხი“ («зеленъая коса»), რომელშიც არის ასეთი ფრაზა: „შავი ზღვის ნაპირზე, იმ აღგიღას, რომელიც ჩემსა და ჩემი მეგობრების დღიურებში აღინიშნება „მწვანე კონცხად“, მშვენიერი აგარაკია“. ⁹

მოთხობაში ნათქვამია, რომ ამ აგარაკის მფლობელია მარიაგრიგოლის ასული მიქაელი — „დასახლისი, ქართველისა თუ ჩერქეზის მეუღლე, თავადის ქა-

8 ი. ბექირიშვილი, დასახ. ნაშრომია.

9 გამოქვეყნდა პირველად ურნალ „მოსკვას“ 1882 წ. (№ 15, გვ. 108 და № 16, გვ. 109-102) ლიტერატურულ დანართში ფსევდონიმით „ანტოშა ჩეხონტე“.

ლი, 50 წლის“. აქ მოხსენებულია აგრძელებული ჩაიხიდე — ეკატერინო-სლაველი მემამულე მიკშაძის მე-გობარი და მოყვარე; ჩაიხიდის ვა-ჟი — გიმნაზიელი, სტუდენტი — მიკშაძის ქალიშვილის ოლგას სა-ქმრო.

მოთხრობაში ზოგიერთი პერ-სონაჟი ატარებს ჩეხოვის ნაცნო-ბებისა და ნათესავების სახელს: კორობოვი — ჩეხოვის სტუდენ-ტობის ამხანაგი, შემდგომში ექი-მი; ეკატერინე ივანეს ასული — კორობოვის მეულლე; მხატვარი ჩეხოვი — მწერლის ძმა. თვით ან-ტონ ჩეხოვი მოთხრობაში წარ-მოდგენილია ოლგას ყოფილ რე-პეტიტორად.

მოთხრობის სათაური („მწვანე კონცხი“) და შინაარსი, მისი პერ-სონაჟები (ქართული გვარებით) ნებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ანტონ ჩეხოვი სტუდენტობის წლებშიც იყო აჭარაში (მწვანე კონცხე). ჩვენი ინფორმატორები (ა. ჩახუა-სტრაუენცკაია, ო. ჩა-ჩუა-სელეზნიოვა, ფ. ვასილიევა და სხვ.) დაბეჭითებით გვარწმუ-ნებენ, რომ ამ მოთხრობის მოქ-შედება გაშლილია სწორედ მწვა-ნე კონცხე; ისინი ზუსტად მიუ-თითებენ ადგილსაც — ეს არის ქნეინა ბარათოვას აგარაკიო. თუ ჩვენი ინფორმატორები მართალ-წი არიან, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ა. პ. ჩეხოვი ბათუმში პირვე-

ლად ჩამოვიდა არა 1888 წელს, როგორც აქამდე თვლიდნენ, არა-მედ 1881 თუ 1882 წელს ათვის სტუდენტობის ამხანაგებთან ერ-თად.*

დავუბრუნდეთ კვლავ საარქი-ვო მასალებს. ჩვენ საშუალება მოვეცა გავცნობოდით ორ ლო-კუმენტს ა. ჩეხოვის პირადი არ-ქივიდან. ორივე ბათუმიდან გაგ-ზავნილი დეპეშაა. ერთი მათგანი გაგზავნილია საფრანგეთში (ნიკა-ში) 1898 წლის 16 იანვარს, რო-მელიც ადგილზე მივიდა 18 იან-ვარს; იგი ასეთი შინაარსისაა: „ბათუმიდან. 1898 წ. 16 იანვარი, 4 საათი და 30 წუთი. დაფიგვია-ნეთ რუსეთში შეჩერების გამო, მოხიბლული ვართ შთაგონებით, რომ თქვენს ხსოვნაში ჩვენც გვი-კვია პატარა ადგილი, გიძღვნით ყველაზე საუკეთესო სურვილებს. ნატალია შიშკოვა“.

დეპეშის შინაარსით ირკვევა, რომ მისი ავტორიც ჩეხოვთან ერთად ყოფილა (შესაძლოა ნი-

* ჩვენთვის ხელმისაწვდომ ლიტერა-ტურაში ტოპონიმი „Зеленый мыс“ ბირველად გვხვდება ს. ვასიუქოვის ნაშ-რომში „Край гордой красоты“. СНБ. 1896 წ. ვვ. 197-220. ქართულ წყაროებში შესატყვისი თარგმანი „მწვანე კონცხი“ გამოჩნდა მოგვიანე-ბით, ჩვენი საუკუნის ათიანი წლები-დან. მანამდე ქართულადაც „ზელიონი მესტას“ ხმარობდნენ.

ძალაუნებურად იძალება აზრი ტოპო-ნიმი „Зеленый мыс“ ხომ არ მომდი-ნარებს ა. ჩეხოვის ველნა კოსა“ — „მწვანე კონცხი“-დან? ამას შემდგომი კვლევა სჭირდება.

(ვაში). აქედან იგი პირდაპირ ბა-
თუმში წამოსულა, მაგრამ გზად
შეჩერების გამო დეპეშის გაგზა-
ვნი ღაუგვიანებია.

მეორე დეპეშაც ბათუმიდანაა
გაგზავნილი, ამჯერად იალტაში,
სადაც ისვენებდა მწერალი 1900
წელს. აი, მისი შინაარსიც: „იალ-
ტა, ანტონ პავლეს ძე ჩეხოვს. ძა-
ლზე გვიამოვნებს, რომ გაგვიხ-
სენეთ, ქრ. აღსდგა. შიშკოვები“.
ამ დეპეშის შინაარსით ირკვევა,
რომ ჯერ თვით მწერალს მოუკი-
თხავს წერილით ან დეპეშით ში-
შკოვები, შემდეგ კი ისინი მად-
ლობას უძრვნიან.¹⁰

ბუნებრივია, მკითხველს დაი-
ნტერესებს ვინ იყვნენ შიშკოვე-
ბი.

1888 წლიდან ბათუმში ცხოვ-
რობდა და მოღვაწეობდა ექიმი
ალექსანდრე სიმონის ძე შიშკო-
ვი (გარდაიცვალა 1909 წელს ვა-
რშავაში).¹¹ იგი დასაწყისში ბა-
თუმის ოლქის უფროსი ექიმის
თანამდებობაზე იყო, 1890-1895
წლებში მიხეილის საარტილერიო
ციხე-სიმაგრის სამართველოში,
შემდეგ კი სამხედრო ჰოსპიტა-
ლის ჯერ ორდინატორი, ხოლო

10 Отдел рукописей Центр.
биб-ки им. В. И. Ленина. Архив
А. П. Чехова ф.331. 63. 31 л
1,2, I об.

ამ დოკუმენტების არსებობაზე მიგვა-
თთა უურნალისტმა ი. ა. ბერიიშვილ-
მა, რისთვისაც მადლობას მოვახსენებთ.

11 Протоколы и труды Обще-
ства врачей в г. Батуме. Батум.
1913. с. 7.

1896-1903 წლებში მთავარი ექი-
მი; ერთდროულად ასრულებოდა
ბათუმის ექიმთა საზოგადოების
თავმჯდომარის მოვალეობასაც.
საზოგადოება 1896 წლის 20 ნო-
ემბერს ჩამოყალიბდა და ა. ს.
შიშკოვი, გრ. ელიავათან, გრ.
ვოლკისთან და სხვა ქართველ
ექიმებთან ერთად მის ერთ-ერთ
წევრ-დამფუძნებლად ითვლება:¹²
ორივე დეპეშის ავტორი, ჩენი
აზრით, უნდა იყოს ნატალია შიშ-
კოვა, ბათუმის ექიმთა საზოგადო-
ების თავმჯდომარის ა. ს. შიშ-
კოვის მეუღლე, ან ქალიშვილი.

„რუსსკაია მისლ“-ის რედაქ-
ტორ-გამომცემლის ვ. მ. ლავრო-
ვისადმი (1852-1912) 1898 წლის
19 ივლისის წერილში, რომელიც
გაგზავნილია მელიხოვოდან, ა. პ.
ჩეხოვი ეხება ბათუმელ მანდილ-
ოსანს: კისლოვოდსკში ვერ ჩა-
ვალ, აგვისტოში ალბათ ყირიმში
ვიქნები და აქედან ჩავირბენ სო-
ჭში, რათა გავიგო, ხომ არ შეიძ-
ლება ზამთარში ერთი თვით იქ
მოვეწყო და არის თუ არა იქ ცი-
ებაო. თუმცა, სწერს ა. პ. ჩეხო-
ვი: „დღეს ერთი ქალბატონი, ბა-
თუმის მკვიდრი მცხოვრები მარ-
წმუნებდა, რომ სოჭში ციება ისე-
ვეა, როგორც შავი ზღვის სანა-
პიროს სხვა ქალაქებში“. მართა-
ლია, აქ პირდაპირ არ არის დასა-
ხელებული, მაგრამ აშკარად იგ-
რძნობა მწერლის ბათუმში მიწვე-

12 აჭარის ექიმთა საზოგადოებას
შრომები. ტ. VIII-IX. ბათუმი 1973.
გვ. 24

ვა. ჩვენს ხელთ არსებულ მწირ მასალებშიც „ბათუმის მკვიდრ მანდილოსანში“ ნატალია შიშკოვას ვხედავთ.¹³

ბათუმელ შიშკოვებთან ა. ჩეხოვს აკავშირებდა ოლღა პეტრეს ასული კუნდასოვა (დაახლ. 1865-1943), მათემატიკოსი. იგი ერთხანს მუშაობდა მოსკოვის ობსერვატორიაში პროფ. ფ. ა. ბრედიხინთან (1831-1904), რის გამო ზოგიერთ წერილში მწერალი ო. კუნდასოვას „ასტრონომკას“ უწოდებს. იგი ა. ჩეხოვს უტარებდა ფრანგული ენის გაკვეთილებს, რის გამო ხშირად უხდებოდა მასთან ყოფნა და ძალზე გულთბილი დამოკიდებულება აკავშირებდათ. ა. სუვორინთან მიწერილ წერილში „ასტრონომკა“ დახასიათებულია როგორც ჭიკვანი, ტალანტის მქონე ქალი, რომელსაც „კარგი ლოლიკა და საღი აზროვნება აქვს“. ¹⁴ ზოოლოგ ვ. ა. ვაგნერთან (1849-1934) სამეცნიერო კამათის ღროს „მეცნიერების მაგისტრი მასთან შედარებით ბიჭუნად მომეჩვნაონ“ — სწერს ა. ჩეხოვი. და შემდეგ: „თუ შევადარებთ მას (შჩეგლოვს, რ. ს.) აი, თუ გნებავთ, კუნდასოვას, იგი (შჩეგლოვი) პატარა მონაზვნად მოგეჩვენება“. ¹⁵

13 А. П. Чехов. Полн. собр. сочинений и писем. т. XVII. 1949. с. 285.

14 А. П. Чехов. Собр. соч. и писем. т. XI. М. 1963. с. 488

15 იქვე, გვ. 551

სხვა წერილებში „ასტრონომკა“ დახასიათებულია როგორც „კურიოზული პიროვნება“, რომელიც „ხარხარებს, ბოლომდე არ ამბობს სათქმელს, ზედმეტს ლაპარაკობს“ და ა. შ.¹⁶ მიუხედავად ამისა მწერალი მას დიდი სიმპათით ეპყრობა და ყოველთვის ცდილობს შეუმსუბუქოს ცხოვრების მძიმე პირობები.

ო. პ. კუნდასოვა ხშირად დაღის ბათუმში თავის დასთან, რაზეც არაერთჯერ წერს ა. ჩეხოვი. ერთ-ერთ წერილში ნათქვამია: „ასტრონომკა ახლა ბათუმშია. მე მას შევპირდი ბათუმში ჩასვლას, ამიტომ ფეოდოსიაში გამომიგზავნის თავის მისამართს“. ¹⁷

საინტერესოა ა. პ. ჩეხოვის წერილი ა. ს. სუვორინისადმი, რომელიც 1895 წლის 26 ოქტომბრით არის დათარილებული. აქ კვლავ არის ნახსენები „ასტრონომკა“. აი ნაწევეტი წერილიდან: „თქვენ მწერთ: „ჩემი პარათით იმ ქალისათვის აიღეთ 100 მანეთი წიგნების მაღაზიიდანო“, მაგრამ ეს ბარათი წერილთან ერთად არ აღმოჩნდა. თუმცა თვით ასტრონომკასაც ვერ ვხვდები: ამბობენ თავის დასთან გაემგზავრა ბათუმშიო“ ¹⁸ როგორც ამ წერი-

16 იქვე, გვ. 566, ტ. XII, გ. 1964, გვ. 26, 699

17 А. П. Чехов. Полн. собр. соч. и писем. т. XV. М. 1949. с. 235

18 А. П. Чехов. Полн. собр. соч. т. 16. м. 1949. с. 273

ლიდან ჩანს, „ასტრონომეკა“ ცხოვრობს მოსკოვში, ხოლო ში-
ძრ და — ბათუმში. ეგ ხომ არ
არის ის მანდილოსანი, რომელიც
სოჭის მაგივრად ბათუმში პატი-
შებდა მწერალს? წერილით ირკ-
ვა აგრეთვე, რომ მწერალს
სურს ო. კუნდასოვის გაუწიოს
მატერიალური დახმარება, მაგ-
არ ვერ ახერხებს, რადგანაც ა.
შუვორინის წერილთან ერთად
არ აღმოჩნდა საჭირო ბარათი.
ბოლოს ა. ჩეხოვმა მიიღო ეს ბა-
რათი, მაგრამ „ასტრონომეკა“
ქვლავ ბათუმშია, რის გამო ა. სუ-
ვორინის „ბარათი განისვენებს
მის წითელ პორტფელში“.¹⁹

ა. პ. ჩეხოვის ნაწარმოებების
თითქმის ყველა გამოცემას თან
ახლავს საკუთარ სახელთა საძიე-
ბელი. ჩვენთვის გაუგებარია, რა-
ტომ არც ერთ მათგანში არ მოხ-
ვდა სახელი ასტრონომეკა?

ამის მიზეზი, ჩვენი აზრით, ის
უნდა იყოს, რომ თითქმის ყველა
წერილში სიტყვა „ასტრონომეკა“
პატარა ასოთი იწყება და არ
არის ჩასმული ბრჭყალებში. (ას-
ეთ წერილთა რიცხვი 37-ს აღ-
ნეს). ალბათ მკვლევარებმა, გა-
რდა ნ. ი. გიტოვიჩისა, ეს ანტო-
შა ჩეხონტეს ჩვეულებრივ იუმო-
რად მიიჩნიეს და არ ჩათვალეს
რეალურ პიროვნებად. როგორც
შეითხველი წერილების შინაარ-
სით დარწმუნდა, ასტრონომეკა
რეალური პიროვნებაა.

დეპეშების შინაარსმა, აგრეთ-

ვე მწერლის მიერ ასტრონომეკაზე
მიცემულმა პირობამ, რომ გისა-
მართის შეტყობინების შემდეგ
ბათუმში ეწვევა, გვაიტულა მოგ-
ვენახა ბინა, საღაც 1888-1903
წლებში ცხოვრობდა ა. ს. შიშ-
კოვი. არსებობს ერთადერთი წყა-
რო, საიდანაც ვგებულობთ, რომ
„ბათუმის სამხედრო პოსპიტლის
მთავარი ექიმი შიშკოვი ალექსა-
ნდრე სიმონის ძე ცხოვრობს კო-
მარცვის ქუჩაზე, ანდრეევის ბი-
ნაში“.²⁰

კომაროვის ქუჩა ახლანდელი
შაუმიანის ქუჩაა. ხანდაზმულებს
ახლაც ახსოვთ ანდრეევა, რომე-
ლიც 20-იან წლებში ჯერ კიდევ
ბათუმში იყო და თავისი რეკვი-
ზირებული ბინის გაფორმება-გა-
ყიდვის საქმეებს აგვარებდა. ეს
კი გახლავთ რუსთაველის და შა-
უმიანის ქუჩების შესაყართან
ერთსართულიანი აგურის შენო-
ბა, რომელშიც ამჟამად № 1 ბავ-
შვთა ბაღია მოთავსებული.

ჩვენი ლრმა რწმენით, შიშკო-
ვებთან სწორედ ამ სახლში ჩა-
მოდიოდა სტუმრად ანტონ ჩეხო-
ვი, რომელსაც 1900 წლის მაის-
ში იალტიდან ჩამოსულს თან ახ-
ლდა მეორე დიდი რუსი მწერალი
მაქსიმ გორკი (1868-1936), აგ-
რეთვე ახალგაზრდა მხატვარი ვ.
ვასნეცოვი (1848-1926).²¹ შიშ-

20 ნ. ს. დერჯავინ. ვსეიბური
адрес-ეჯეგონიკი ბათუმი. ბათუმ.
1902. ს. 82

21 გაზ. «Заря Востока». 20
января 1960 г.

ქოვების 1900 წლის სააღდგომო
დეპეშაც, გაგზავნილი იალტაში,
მწერლის შიპატიუებაზე მიგვანი-
შნებს.

ბათუმთან აკავშირებდა ა. ჩე-
ხოვს აგრეთვე ცნობილი ქართ-
ველი ექიმი, ბათუმის ექიმთა სა-
ზოგადოების დამფუძნებელი და
საზოგადო მოღვაწე, მწერლის
უნივერსიტეტისდროინდელი ამ-
ხანაგი გრიგოლ ლავრენტის ძე
ელიავა (1857-1925), რომელიც
1892-1924 წლებში განუწყვეტ-
ლივ ბათუმში ცხოვრობდა და მუ-
შაობდა.

შეუძლებელია ა. ჩეხოვის ბა-
თუმში ყოფნით არ დაინტერესე-
ბულიყო და მას არ გასცნობოდა
მეორე ქართველი მოღვაწე, ექი-
მი და პოეტი გრიგოლ იოსების
ძე ვოლსკი (უმწიფარიძე, 1859-
1909), რომელმაც ერთ-ერთმა პი-
რველმა ქართულად თარგმნა და
გამოაქვეყნა ა. ჩეხოვის რამდენი-
მე ნაწარმოები.

სამწუხაროდ, ბათუმში მოღვა-
წე ქართველ ექიმებთან ა. ჩეხო-
ვის მჭიდრო ურთიერთობის და-

მაღასტურებელ საბუთებს ჯერ-
ჯერობით ვერ მივაკვლიეთ.

წლეულს სრულდება 100 წე-
ლი მას შემდეგ, რაც რუსთა ლა-
შეარმა და ქართველმა მხედრო-
ბამ ადგილობრივ პატრიოტთა და-
ხმარებით გაათავისუფლა აჭარა-
ოსმალო დამპყრობთა ბატონობი-
საგან და იგი დედა-სამშობლო
საქართველოს დაუბრუნა, მოსახ-
ლეობა გადარჩა ფიზიკურ განა-
დგურებას და ეზიარა ახალ ყო-
ფასა და კულტურას. ამ საქმეში
დიდი როლი შეასრულა პროგ-
რესულმა რუსმა ინტელიგენციამ,
რომელთა შორის საპატიო ადგი-
ლი უკავიათ რუსული მწერლო-
ბის კლასიკოსებს ა. ჩეხოვსა და
მ. გორკის.

ისლა დაგვრჩენია, რომ გამოვ-
თქვათ სურვილი: გაუკეთდეს მე-
მორიალური დათა ქალაქ ბათუმ-
ში სახლს, სადაც 1888 და 1900
წლებში ჩამოდიოდა და ჩერდე-
ბოდა დიდი რუსი მწერალი ან-
ტონ პავლეს ძე ჩეხოვი. № 1 ბა-
ვშვთა ბაღში მოეწყოს ანტონ ჩე-
ხოვისა და მაქსიმ გორკის ოთახი.

ნაზი მიქელაშვილი

მწერლის ენის ზოგი ცხილური ნიშანი

მწერლის ენისა და სტილის საკითხს მრავალი მკვლევარი ეხება, მაგრამ ავტორთა შორის არ არსებობს ერთიანობა ისეთი ზოგადი პრობლემების გადაწყვეტაში, როგორიცაა, მაგალითად, სამწერლო სტილის ნიშანდობლივი თავისებურებანი, ამა თუ იმ მწერლის სტილურ ნიშანთა გამოყოფა, ცალკეულ მწერალთა თნდივიდუალური ენა და ა. შ.

მწერლის ენა და სტილი ენათმეცნიერული კვლევის ძირითადა საკითხია. როგორც ცნობილია, მწერლის ენა უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს საერთო-ეროვნული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბება - განვითარებისა და სრულყოფის საქმეში.

მწერლის ენას აქვს ინდივიდუალური ნიშნები, როთაც იგი სხვა მწერლის თხზულებათა ენისაგან განსხვავდება, რაც თავის მხრივ ქმნის სუბიექტურ სტილს. „არა თუ ორი მწერლის სტილი არ

არის ერთი და იგივე, ორი მათებატიკოსის „ენაც“ განსხვავებულია ხოლმე“¹.

აღსანიშნავია ისიც, რომ არ არსებობს ერთიანი საზომი სტილისტიკურ კატეგორიათა დაღგენის საკითხშიაც. მაგალითად, ალგვენცია სტილის დამახასიათებელ ნიშნად თვლის იმას, როცა მეტყველებაში თვალნათლივ საგრძნობია ენის განსაკუთრებულობათა გამოყენების სიშირე და ხასიათი, ასეთად იგი მიიჩნევს გადატანითი მნიშვნელობით ნახმარ სიტყვებსა და გამოთქმებს, მნიშვნელობის ან ფუნქციის გამორჩებას, სინონიმიკას, ფრაზეოლოგიას, მოდალურ საშუალებებს და სხვ.

არნ. ჩიქობავა ერთმანეთისაგან განასხვავებს ობიექტურ და სუბიექტურ სტილს და აღნიშნავს,

¹ ა. ჩიქობავა, ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1952, 317 გვ.

რომ ობიექტური სტილი მოქმედებს სტილისტიკური მინიმუმის ფარგლებში, რაც ენაში არსებული ყოველგვარი საშუალებით გადმოიცემა, სადაც არსებითი მნიშვნელობა ენიჭება საკომუნიკაციო ფუნქციას. ამის მიხედვით შეიძლება ვიგულისხმოთ, რომ ექსპრესიულობა უკანა პლანზე დგას მაშინ, როცა, როგორც ცნობილია, სუბიექტური სტილი-სათვის ენობრივი საშუალებების გამოყენების თვალსაზრისით, ამოუწურავი შესაძლებლობა მოეპოვება ენას. აქ მთქმელი თავისუფალია, მთავარია ექსპრესიული მაქსიმუმის მიღება და სწორედ იდეალური სტილიც ყველაზე მეტად აქ შეიძლება გამოვლა-დეს.

ჩვენც, როდესაც მწერლის ენის სტილურ ნიშნებს ვიხილავთ, ამოვდივართ იქიდან, თუ რამდენად მართებულად გამოიყენა მწერალმა ესა თუ ის სიტყვა-გამოთქმა გამომხატველობითი თვალსაზრისით, რადგანაც „ენის ემოციური, ექსპრესიული ფუნქციები არსად არ მქლავნდება ისეთი ძალით, როგორითაც მხატვრულნაწარმოებებში“.²

მწერლის მხატვრულ თხზულებაში ექსპრესიული მაქსიმუმის, ე. ი. იდეალური სტილის მისაღწევად ძირითადად ტროპებია მიჩნეული. აჭარაში მომუშავე ქართველ მწერალთა მხატვრულნაწარმოებებში

2 ზ. ჭუმბურიძე, სალიტერატურო ენა და მწერლობა, თბ., 1962, 19 გვ.

ქმნილებებში საქმაოდ მოიპოვება კარგი სტილის ნიმუშები. აქ ისეა შერჩეული ენობრივი საშუალება, რომ სიტყვათა მნიშვნელობა გარკვეული ემოციური იერით არის შემოსილი და მყითხველს ესთეტიკურ სიამოვნებას განაცდევა-ნებს. როგორც აღვნიშნეთ, მხატვრული ხერხების, როგორც მეტყველების განსაკუთრებულ შესაძლებლობათა, გამოყენების თავისებურება არის ავტეთვე მწერლის ენის ინდივიდუალობის ნიშანი. ამ თვალთახედვით პოეტური ენის განხილვისას განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა: სიტყვების შერჩევას — პოეტურ ლექსიკას, სიტყვათა ან გამოთქმათა მნიშვნელობის მიხედვით თავისებურ შეხამებას — პოეტურ სემანტიკას, სიტყვებისა და გამოთქმების თავისებურ დალაგებას და შეთანხმებას აზრის მხატვრულად გამოხატვის მიზნით — პოეტურ სუმანტიკას.³ ამ მხრივ განვიხილავთ მხატვრული ხერხების შემდეგ სახეებს: შედარებას, მეტაფორას, ეპითეტს, გრადაციას და სხვა, რომელთა კანონზომიერი გამოყენება სტილიზაციის ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებად მიიჩნევა.

პოეტური სემანტიკის აღნიშნული სახეები მეტ-ნაკლებად აჭარის თითქმის ყველა მწერლის თხზულებათა ენაში შეინიშნება.

შედარება. შედარებისას ძლიე-

3 ს. გაჩჩილაძე, ლიტერატურის შესავალი, თბ., 1957, 272 გვ.

ადება წარმოსახვის ემოციური ძალა; შედარების ობიექტთა შერჩევა-გამოხატვაში მულავნდება მწერლის მხატვრული ოსტატოზის უნარი, მისი სტილი და მანერა.

„საგანთა და მოვლენათა ერთ-მანეთთან შედარება საკმაოდ გავრცელებული ხერხია მხატვრულ ლიტერატურასა და ხალხურ მეტყველებაში. მისი სპეციფიკა ის არის, რომ საგანი ან მოვლენა გამოხატოს მოკლედ და სხარტად, მაგრამ ნათლად და ამომწურავად, საგნისათვის ნიშანდობლივი, ყველაზე არსებითი თავისებურებების გახატვით და გამოყოფით“.⁴

მწერალთა თხზულებებში განსაკუთრებით უხვადაა გამოყენებული ტროპის ეს სახე. ხშირია ვით თანდებულიანი შედარებების ხმარება. გვხვდება კარგად გაკეთებული მაგალითები, რაც აძლიერებს წარმოსახვის ემოციურ იერს, ცხოველმყოფელად წარმოაჩენს გამოსახატავ შინაარსს. გვაქვს იგი როგორც პოეზიაში, ასევე პროზაში. მაგალითები: ზღვის და ხმელეთის ღიმილი ვით შორის ბათუმი, სანაპიროზე ბალნარებით წარმომართული

⁴ ი. ქავთარაძე, შედარების გამომხატვითი ძირითადი გრამატიკული საშუალებები და ვითარებითი ბრუნვის ერთი მნიშვნელობისათვის ქართულში. თეშ., 1972, 5 გვ.

(ფ. ხალვაში, 36);⁵ ყაყაჩო აცრებლდა ქალივით (ქ. მუვია, 39); მთამ მოიძრო ლამე შეუყემსის ნაბადივით (ლ. გელაშვილი, 16)... მზე ოქროს ბურთივით დაგორდა ზღვის ზედაპირზე (პ. ლორია, 156); ხუჭუჭე თმაში დაკოურილი თითები ფოცხივით გადაატარა (გ. ლორთქიფანიძე, 150); მთებში სკასავით გამოჩნდა რამდენიმე სახლი (მ. გორგილაძე, 73).

იშვიათად ვით თანდებული პრეპოზიციურადაც გვხვდება: ზღვაო, მომხვიე ლურჯი ტალღები, ვით საყვარელმა მანდილოსანმა (მ. ვარშანიძე, 58); ეყარაჩრდილი ვით ფრთხები ორბის (ნ. გვარიშვილი, 130); გათენდება ღილა სავსე, წამოდგება მთის მზე ზეზე, მერე ლამე გაშავდება, ვით ადესა თხმელის ხეზე (ფ. ხალვაში, 159).

ასეთი წყობა ძველი ქართული-სთვის არის დამახასიათებელი. მოცემულ შემთხვევაში იგი ლექსის საჭიროებით უნდა იყოს გამოწვეული.

შედარებისას ზოგჯერ გამოყენებულია კავშირი „როგორც“ და მისი რთული სახე „ისე როგორც“: „როგორც ოქროს ყურსაჭილი, დაეკიდა ფოთლებს ნამი (ქ. ქათამაძე, 14); ...და გადმოხტა როგორც არჩევი გაღმოხტება მაღალ კლდიდან (ზ. გორ-

⁵ ავტორის დასახელების შემდევ ნაჩვენები ციფრი აღნიშნავს თხზულების გვერდს (ნ. გ.).

გილაძე, 45); როგორც მთვარეში დაყრილი ცვარი, მზემ ამოაშრო ყველა სტრიქონი (გ. სალუქვაძე, 69); ლურჯო ხეებო, სევდის ამშლელნო, ჩრდილები კლდეზე დაგიფენიათ, როგორც თავშლები (ფ. ხალვაში, 35)... ისე სინჯავლა მისი სახის მოხაზულობას, როგორც გამოცდილი ექიმი სნეულს (პ. ლორია, 111); კბილები ისე მიმზიდველად გამოჩნდა, როგორც გახლეჩილ ბროწეულიდან ჩარიგებული მარცვლები (ი. ფალავა, 53); ემინე ურემშე ისე ავიდა, როგორც სიკვდილმისხილი ბოროტმოქმედი შავ ეტლზე (პ. ლორია, 155).

ზოგჯერ გამოყენებულია „თითქოს“, „ისე თითქოს“ და „ისე ვით“ კავშირებიც: ისე ციმციმებდა სანაპირო, თითქოს მილიონობით ციცინათელა ჩაეყარათ ზღვაში (ა. ჩხაიძე, 52); მამამისი „ზიმში“ ისე ჩაჯდა, თითქოს საკუთარი შარვლის ტოტებში გაეყაროს ფეხები (ა. შერვაშიძე, 251); ნუმც მომწყინდეს კაკლის ჩერო, გლეხის გული პურადი, ლექსში ისე ჩავეშნო, ვით ციხეში ზურაბი (ზ. გორგილაძე, 33).

როგორც ზემოთ მოტანილი ნიმუშებიდან ჩანს, შესაღარებლად გამოყენებული კავშირის მარტივი სახეები („როგორც“; „ვით“, „თითქოს“) მეტადრე პოეზიაში გვხვდება, მათი გართულებული სახეები კი („ისე რო-

გორც“, „ისე ვით“, „ისე თითქოს“) — პროზაში.

იშვიათად მსგავსების გამოსახულების სახელის ვითარებით ბრუნვის ფორმაც დასტურდება: გაზეთებზე ზე ვინ ება და დაჰყარეს კიბორჩხლები (ა. ჩხაიძე, 24); რტოები ეჭოდ გაჰყოლიან შებინდულ ხეებს (ფ. ხალვაში, 92); იწვა დუმილი მძიმე ლითონა და გულები დუღლენენ (ჭ. ქათამაძე, 31).

ზემოთ დასახელებული კარვი შედარებების გვერდით გვხვდება ურთიერთშეუსაბამო, შეუფერებელი, მდარე ხარისხის შედარებებიც, რომლებშიც შესაღარებელი ელემენტები არ ეგუებიან ერთმანეთს არც შინაარსობრივი და არც გადატანითი მნიშვნელობის თვალსაზრისით, უმართებულობა, დარღვეულია სტილისტიკური მინიმუმის ნორმები.

ზოგიერთი შედარება ძალზე არაბუნებრივი, გაზვიადებული გვეჩვენება, რამდენადმე დამცინავი იერი გადაპკრავს და, ვფიქრობთ, გროტესკის ხელოვნური ფორმებია.

მეტაფორა. მეტაფორა მოვლენას მასზე მეორე მოვლენის თვისების გადატანის საფუძველზე გვიხატავს და იგი პოეტურად შესაძლებელს, ამოსაცნობს ემყარება. თუ მხატვრულ შედარებაში ორი საგანი ან მოვლენა გარეგნული ნიშნის ან რაიმე თვისების

მიხედვით ემსგავსება ერთმანეთს, მეტაფორაში მწერალი ოვითონ ქმნის ხელოვნურად საგნებისა და მოვლენების ნიშან-თვისებათა ნათესაობას. „სიტყვის საკუთარი მნიშვნელობის დაკარგვა და მისი გამოყენება მისთვის უცხო შინაარსის ნათელსაყოფად ყველაზე მკაფიოდ მეტაფორაში არის მოცემული“.⁶

ჩვენს მიერ განხილულ თხზულებებში განსაკუთრებით უხვადაა წარმოდგენილი მეტაფორის ისეთი სახე, როცა უსულო საგანი გვეხატება, როგორც ცოცხალი, მგრძნობიერი არსება მასზე ადამიანის რომელიმე ან რიგი თვისების გადატანის საშუალებით, ე. ი. გვაქვს გაპიროვნება; ასეთი გრძნობად-კონკრეტული, ემოციური და ხატოვანი გაპიროვნების ნიმუში მრავლად მოიპოვება პოეზიაში: ლუქს ს შენს გულამდე თუ ვერ მოვიყვან, ხომ დავაჩოქებ მაგ შენს მუხლებთან (ზ. გორგილაძე, 41); ქარი მღერის, კისკისებენ ზღვის ტალები გაგიჟებით, ორი ალვი ერთურთს ჰკოცნის, ორი ქერა ძმაბიჭები... ქარი გალობს... და ჭიდარზე უხილავი ვინმე კაცი გასულა და ლორთქოვოთლებს ღვთაებრივი სუნთქვით აცლის (ზ. გორგილაძე, 30); ...და ვარ დები ტუჩაჭა-

რა მოგაფიცებს ლოგებს მორცხვად (ჭ. ქათამაძე, 14); აწითლებით ვარდებს ლოთუები, თეთრ ყვავილებში ბანაობს ბალი (გ. სალუქვაძე, 26); ზეცას დაკვერჩხლილს ოქროს ლილებით, გაჰყვა ბარბაცით მთვარე ბატონი (ჭ. ქათამაძე, 85); მთვარემ უნდა სხივით ნისლის კაბა კეროს (გ. სალუქვაძე, 217); ქალი დაისივით იმოსება, დაინახეს და სიცილი დაყარე მომოქმედი მომოქმედა (ზ. გორგილაძე, 31); ტალღებს ტუჩები დალურჯებით (შ. ზოიძე, 59); აუკანკალდა ლოყები ფოთოლს (ჭ. ქათამაძე, 82); დაეკიდება ცრემლები ტირიფს, შეუმოკლდება სავალი იმედს, ქარი მოჰყვება წარსულზე ტირილს და ააკვნესებს ნიავი სიმებს (ჭ. ქათამაძე, 34); მზემ არტახები მოწას შემოხსნა.... (ი. მელია, 4); თვალებს ახელს დილა, მზე შლის ოქროს მანდილს, ჩემს სარქმელთან ფრთხილად, გაზაფხული დადის (ქს. მუავია, 40); მზე წამოდგა, რომ ყვავილებს ჰეპლის გუნდი დაასიოს (ნ. მალაზონია, 37); დარღდი მოდრეკდა პიტალო კლდესაც დაიღვრებოდა ლოდი ცრემლებად (ქს. მუავია, 50); ღვინის გუდები დასივლნენ ჭინჭილას თვალის პაჭუნით (ზ. გორგილაძე, 23);

⁶ დ. რამიშვილი, მეტყველების განსაკუთრებულ სახეთა ფსიქოლოგიური ბუნებისათვის, თბ., 1963, 210 გვ.

მე შევაჩერე სატრფოს წინ
ღამე (მ. ვარშანიძე, 108); მზე
ცისკარს შე მო ეკიდა ჭალარა
მთების გროვასთან (ნ. მალაზონია,
40); თავს ევლება ხევი ღელეს
და კლდე უბი ცურზე დგა-
ნან (ნ. მალაზონია, 15); გეგო-
ნებოდათ, რომ თვითონ ლაშე ს
ხელში ეჭირა ოქროს დაირა
(ი. მელია, 21); ფეხს წამო-
იკრავს ვარსკვლავზე მთვარე
(ჯ. ქათამაძე, 29); ტალღები
შენს წინ იმტკრევდნენ
თავ-პირს (მ. ვარშანიძე, 19).

გასულიერების ნიმუშები იშვი-
ათად პროზაულ ნაწარმოებებშიც
გვხვდება: მთვარე მ ერთხანს
უყურა, უყურა, მერე შე-
ნე ნაკლები ნაბალი არც მე მა-
ქვსო უთხრა ბიჭს და შავი ღრუ-
ბელი გიდაიხურა (შ. როყვა,
190); ცისკარი იჭირიტებო-
და სარქმელში (ი. ფალავა, 3).

ზემოთ წარმოდგენილი მეტა-
ფორები კარგად გამოხატავს მო-
ვლენას, მოხდენილად არის შერ-
ჩეული შესაბამისი ენობრივი სა-
მოსელი და უთუოდ ესთეტიკურ
ტებობას განაცდევინებს მყითხ-
ველს.

შედარებით ნაკლებად შეინიშ-
ნება მეტაფორის ძეგლი სახე, რო-
ცა უსულო საგნის თვისება ისევ
უსულო საგანზეა გადატანილი:
ღამე ფიქრების კოცონზე და-
ვწვი (ჯ. ქათამაძე, 29); გამოჩ-
ნდა ღრუბლების ისაგან და-
ფლეთილი ცა (ა. ჩხაძე, 65); რაც ცვარია, იმდენი მზე

კვირტს დაუსხამს ყუ-
რსაკიდად (ნ. მალაზონია,
37).

ორიოდ შემთხვევაში უსულოს:
თვისება გადატანილია სულიერ
საგანზე: ვარ გარჩეული ნედ-
ლი სიმინდი, მიფიცხე-
ბული ლექსის ნალვერდ-
ლებს (ზ. გორგილაძე, 29);
გული მდუღარე აღარ მა-
სვენებს (მ. ვარშანიძე, 107).

ეპითეტი: ჩვენი მწერლების
ენაში იშვიათად შეინიშნება მე-
ტაფორული ხასიათის ორიგინა-
ლური ეპითეტები, რომელთა სი-
მრავლე მიმზიდველს, ესთეტი-
კურს ხდის მეტყველებას. ამ
მხრივ უნდა გამოვყოთ ზურაბ
გორგილაძის ლექსი „სიტყვაც
ბატონო“. მოგვაძვს აღილები ამ
ლექსიდან. ...სიტყვაც, შენ
აზრის ფიცხო მხედა-
რო, შენ, წინაპარის სის-
ხლო ხნიერო... შენ, მწვე-
რვალების ყელის ეჟვანო...
ქვებქვეშ კალმახის ცხელო
ქვირითო, შენ, ქოხის კვა-
მლო, ჯავრის ღადა-
რო... სიტყვა დღვანელი, სიტყვა
ხულელი, სამას წელიწად
ნამარხულე ვი. სიტყვა ყა-
ჩაღი, სიტყვა ფირალი, სა-
მას წელიწადს ნაბორკი ლა-
რი. სიტყვა მერყოლავი,
სიტყვა მსუსხავი, სამას წე-
ლიწადს ღვინოუსვამი (ზ.
გორგილაძე, 52-56). აქ მოცემუ-
ლია მოულოდნელი, ორიგინალუ-
რი, სემანტიკურად მრავლისმეტყ-

ველი გადატანითი მნიშვნელობის მეტაფორული ხასიათის ეპითეტის ნიმუშები. მათში მკაფიოდ იგრძნობა სიტყვის ქსოვილის მიმზიდველობა.

გვაქვს ეპითეტის სხვა ნიმუშებიც: მზემ აიტაცა ფაფუკი ნისლი და მთებს ლეჩაქად, დაუნაწილა (ჭ. ქათამაძე, 41); იყავი გრძნობის ბუხარი და ჰანგის მოცარტი (ზ. გორგილაძე, 16); ტყეში ნისლის ყვავილები შემოჰქონდა ქარს (ზ. გორგილაძე, 74); მზეს შეუნთებდი სიტყვას ბანიანს (გ. სალუქვაძე, 23); თმაშევე-რცხლილი მთები ამწვანდნენ (ი. მელია, 108)... მაგალითები პროზიდან: მოგლლის ხავსიანი ამბებით (გ. ლორთქიფანიძე, 169); ამ ალაგას ხუჭუჭა ტყე იყო (ფ. ხალვაში, 5); ნაღვლიანი ღიმილი გაგვატანა (ფ. ხალვაში, 44); აქოჩრილი გორაკები, ამწვანებული მინდორ-ველი, მოჩხრიალე ნაკადულება: — ნაკადულება, აბიბინებული განენერირებას წარმოადგინა (პ. ლორია, 332).

აქ აღნიშნული ეპითეტები ჩვეულებრივ ნიმუშს წარმოადგენს, ისეთს, რომელიც თითქოს ყოველდღიურად გვესმის და მრავალ შემოქმედს უხმარია; მათგან გამოიჩევა რამდენიმე ეპითეტი, რომელიც პ. ლორიას თხზულებებში შეგვხვდა და მიიცყრო ჩვენი ურადვება: — წაიღე, წაიღე

უბედურო, ქონებიანო ღატაკო, ბეღელსა ვსუე მშენერო, სულით ღარიბო ღასორც მ:ყრალო (პ. ლორია, 39); აქ სიტყვის იდეური დატვირთვა და ემოციის ძალა მაქსიმუმამდეა აყვანილი. ანტონიმური შინაარსის სემანტიკური შეხამებანი: „ქონებიანი ღატაკი“ და „ბეღელსავსე მშერი“ შესანიშნავად წარმოაჩენს გამოსახატავი ობიექტის შინაარსს. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ აღნიშნულ მწერალთა საანალიზო თხზულებებში აქა-იქ გვხვდება უჩვეულო, მაგრამ შეუსაბამო, არაბუნებრივი (ხელოვნური) ეპითეტის მაგალითებიც, რაც აუფერულებს მხატვრული ნაწარმოების ღირსებას, ზოგჯერ კი გაუგებარს ხდის აზრს: გაღაული გაულები ჭურები ჭურები და გამზირებზე სიჭაბუკე და სიყვარული ქროდა (გ. ლორთქიფანიძე, 41); გამყიდველი ანონიმური გვარი თვალებით ყველა შეკითხვას წურავს (ლ. სეიდი-შვილი, 27).

გრადაცია. იგი, როგორც პოეტური ფიგურის ერთ-ერთი სახე, მხატვრულ ნაწარმოებში გამოყენებულია ამა თუ იმ მოვლენის ექსპრესიულობის ასამაღლებლად, შთაბეჭდილების, ემოციის გასაძლიერებლად. გრადაციით ნაჩვენებია მწერლის თუ გმირის განწყობილების თანდათანობითი ამაღლება-გაძლიერება ან შესუტება. ამ შეთხვევაში შემოქმედის ინდივიდუალური სტილი მუღავნ-

დება სათანადო აზრის გამომხატველი სიტყვების გარკვეულ შერჩევა-დალაგებაში. ჩვენს მასალაში უმეტესად შეინიშნება ზეაწეული შთაბეჭდილებების გამომხატველი გრადაციის ნიმუშები: კლასში შესული თამარი შეგუბებულ ცრემლებს შეუმნივლად ყლაპავდა, ნაღველს გულში იგროვებდა, თავისებური ხერხია, რომელიც ქმნის გარკვეულ მუსიკალობას და კეთილხმოვანებას, მყითხველს ესთეტიკურ ტკბობას განაცდევინებს, იწვევს სიტყვის შინაარსის თვალსაჩინოებას აკუსტიკურადაც.

როგორც ზემოთაც იყო აღნიშნული, ალიტერაცია ლექსისათვის არის დამახასიათებელი. ჩვენს მასალაში იგი პროზაულ ნაწარმოებებშიც შეიმჩნევა: წითლად ღუსის ტოტზე ბალი, მწიფობლების საგალობლად და გამირბის ბლისკენ თვალი, როგორც პირველ ახალბლობას (გ. სალუქვაძე, 191); ქართველის მარჯვე მარჯვედა ჭრიდა, ომში მარჯვენას ატრიალებდა, პურის ყანასაც მარჯვენით მკიდა, მარჯვენა გვქონდა, თუკი ქრებოდა, თუკი ღვიოდა, თუკი უგაოდა... (შ. ზოიძე, 83). ამ უკანასკნელ მაგალითში გვაქვს ჯერ ზეასწეული — ამაღლებული გრადაცია და შემდეგ კი — ქვედასვლა.⁷

გრადაციის ნიმუშები შედარებით მრავლად მოიპოვება მწერალ პარმენ ლორიას თხზულებებში, პოეზიაში იგი უფრო იშ-

ვიათად დასტურდება. გრადაციაში უმთავრესად გამოყენებულია სინონიმური მნიშვნელობის სიტყვები.

ალიტერაცია: ალიტე რაცია არის ერთი და იმავე თანხმოვანი ზერების გამეორება სალექსო სტრიქონებში.⁸ იგი პოეტური გამოსახვის თავისებური ხერხია, რომელიც ქმნის გარკვეულ მუსიკალობას და კეთილხმოვანებას, მყითხველს ესთეტიკურ ტკბობას განაცდევინებს, იწვევს სიტყვის შინაარსის თვალსაჩინოებას აკუსტიკურადაც.

როგორც ზემოთაც იყო აღნიშნული, ალიტერაცია ლექსისათვის არის დამახასიათებელი. ჩვენს მასალაში იგი პროზაულ ნაწარმოებებშიც შეიმჩნევა: წითლად ღუსის ტოტზე ბალი, მწიფობლების საგალობლად და გამირბის ბლისკენ თვალი, როგორც პირველ ახალბლობას (გ. სალუქვაძე, 191); ქართველის მარჯვე მარჯვედა ჭრიდა, ომში მარჯვენას ატრიალებდა, პურის ყანასაც მარჯვენით მკიდა, მარჯვენა გვქონდა, თავის სარჩენლად (გ. სალუქვაძე, 22); ძველ ქართული სახლ-ქარი, ძველი კერა ჩამქრალი. ცხელი გულის ფანქცალი, ცხელი ტყვიით დამცრალი, წყაროს წყალთა წანწერი, მოჩუხჩუხე ცაცხვნარი (ნ. მალაზონია 38); ოშეის თეთრო კოშკო, კოშკის თეთრო ყელო (ნ. გვარიშვილი,

⁷ ა. ჭილაძა, ლიტერატურნის ძირითადი ცნებები, თბ., 1971, 95 გვ.

ვ); ჩანგების ხმაში ერის ძალა ჩანს, ჩანს ჩვენი ხალხის ძალა და ნიჭი, ჩანს ჩვენი ხალხის ნიჭი და ძალა, ჩანს ჩვენი ერის უკვდავება ჩანს, ამიტომ მძლავრად, ამიტომ მძლავრად, ჩამოჰკარით ჩანგს, ჩამოჰკარით ჩანგს (შ. ზოიძე, 16); ტურფა ნაირა იმნაირად იმღერე კიდევ, დაჰკარ და-თრას, რომ შაირად გულები დუღლნენ (ჭ. ქათამაძე, 47); კაცი ამასოფლელი, უკუნ დროში მყოფელი, ბნელის უარმყოფელი... მწარე ფიქრის მომფენი, იფნიანი სოფელი, ყიფიანის სოფელი (ნ. მალაზონია, 38); მწუხოით მწუხ-რამდე, რიურაუიდან გარიურაუამ-დე ნდობას, მშვიდობას, ძმობას. ტრიობას მინდა ვკაუავდე (ფ. ხალვაში, 19); ვინ იწამა, ამ მიწამა, იმ მიწამა, კაც მიწამა, არც მიწა-მა. (ჭ. ქათამაძე, 38). ეს უკანას-კნელი მაგამური ლექსის სახეს იღებს. პროზაულ ნაწარმოებში ასეთ ალიტერაციას შევხვდით: შარაგზის ხრეშზე აჩქარებულ ურემს ხრიშინი გააქვს... უნდა ალინიშნოს, რომ ალიტერაციას გამოხატვით არსად არაა მიჩქა-ლული ლექსის იდეური მხარე, რაც შემოქმედის მხატვრულ ოსტატობაზე მიგვითითებს.

მწერლის სტილის ერთ-ერთ დამახასიათებელ თავისებურებას შვიჩვენებს ენის სინონიმიკა, პო-შტური გამეორება, პიპერბოლა

და სხვა მხატვრული ხერხები, რომელთა ჩვენებას ჩვენ აქ არ შევუდგებით, ოღონდ უხდა ვრიშნოთ ზოგიერთი მწერლის თხზულებებისათვის დამახასია-თებელი გამოხატვის ერთი თავი-სებური ნიუანსი, როდესაც თვით ავტორი ან ნაწარმოებში გამოყ-ვანილი მოქმედი პირი მონო-ლოგის შემთხვევაში რამე მოვ-ლენის შესახებ მსჯელობისას ერ-თგვარად აჯამებს თავის ნათქვამს და იყენებს დადასტურებითს ნა-წილას „დიახ“ („დიალ“), რითაც ამტკიცებს თავის ჩანაფიქრს ან წინ გამოთქმულ აზრს. ეს დამა-ხასიათებელია პ. ლორიას და ი.

ფალავას თხზულებებისათვის: მი-ნდა გავეჩერ ნალვლიან მოგონე-ბებს, ვცდილობ მომავალზე ვი-ოცნებო, დიახ, მომავალზე (პ. ლორია, 119); დიახ, არ უნდა დავეცე, არ დავძაბუნდე (პ. ლო-რია, 93) ანდრო იმას აკეთებდა, რასაც პარტია უკარნახებდა...

დიალ, ანდროს ვაუკაცობა აქ არაფერ შუაშია (პ. ლორია, 362), ერთი წელი წიმებაში გაატარა... თვითონაც იყო დამნაშავე, დია-ხ, იყო (ი. ფალავა, 15); ეს უკვე გამოსცადა გასულ ერთ წელიწა-დში დიახ, გამოსცადა (ი. ფა-ლავა, 21); უკეთესს რას ინატ-რებ? დიახ, კარგია სოფელი (ი. ფალავა, 94).

შემოქმედის მიერ მიგებითი ნა-წილაკის გამოყენება ამა თუ იშ მოვლენასთან დაკავშირებით აკ-

ტორის ჩანაფიქრის დამადასტუ-
რებლად, ვფიქრობთ, ერთგვარ
დამაჯერებლობას პმატებს ნაოქ-
ვამს და, რიტორიკული შეკით-
ხვის მსგავსად, სტილის დამახასი-
ათებლად უნდა იქნეს მიჩნეული.

ამრიგად, აჭარის მწერალთა
ენაში არც თუ იშვიათად შეინიშ-
ნება მხატვრული სამკაულები,
სადაც შემოქმედი ექსპრესიულ

მწვერვალსაც აღწევს, რასაც უმ-
თავრესად მეტაფორული გააზრე-
ბის სიტყვა-გამოთქმაში კონკრეტუ-
ბით, თუმცა კარგი სტილის გვე-
რდით ზოგჯერ შეიმჩნევა მდარე
ხარისხის, წაძალადევი ენობრივა
ერთეულებიც, რომელშიც, ფორ-
მის გამოდევნების გამო, უგულ-
ვებელყოფილია სიტყვის სემან-
ტიკური მხარე, იდეური დატვი-
რთულობა.

არეანდერი ჩავდემაზირი 70 წლისაა

ცნობილ ქართველ კრიტიკოსს, პროფესორ ალექსანდრე ჩავლეიშვილს დაბადების 70 წელი შეუსრულდა. ამ თარიღთან დაკავშირებით საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის განყოფილების გამგეობაში იუბილარს გაუგზავნა მისალმება.



ძვირფასო ალექსანდრე, ჩვენო საუვარელო შეგობარო და ძმაო! საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის განყოფილების გამგეობა, ოქვენი მეგობარი მწერლები, გულითადი პატივისცემითა და მხურვალე სიუვარულით მოგილოცავენ დაბადების 70 წლისთავს.

ოქვენი პირველი მეცნიერული ნარკვევი „ნელოვნების „ორიგინალური იკლექტიკური თეორია“ 1933 წელს დაიბეჭდა ეურნალ „მნათობში“. მას შემდეგ გამოაქვეყნეთ წიგნები „ილია ჭავჭავაძე — ლიტერატურის თეორეტიკოსი“, „ნარკვევები მე-19 საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიიდან“, „ლიტერატურის თეორიისა და ისტორიის საკითხები“, „ლიტერატურულ-კრიტიკული ნარკვევები“, „აკაკი წერეთლის მხატვრული ოსტატობის საკითხები“ და სხვ., რომელებიც ხასიათდებიან მაღალი მეცნიერულ-იდეური დონით, სოციალისტური რეალიზმის პრიმ-

ლუმების ღრმა ანალიზით. საქმიანი, პრინციპული და ობიექტური რეცენზიებით ხშირად ეხმაურებით ბათუმელი მწერლების ახალ წიგნებს ჩვენა, თეატრის ცალკეულ სპექტაკლებს.

აღსანიშნავია თქვენი პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობა. 1931 წლიდან მუშაობთ ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტი. წლების განმავლობაში იყავით ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანი, დირექტორის მოადგილე სასწავლო-სამეცნიერო დარგში. ორ ათეულ წელზე მეტი ხელმძღვანელობდით ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრას და დიდი გულისხმიერებითა და ენთუზიაზმით ედექით სათავეში ინსტიტუტის ახალგაზრდა მწერალთა წრეს.

პარტიამ და მთავრობამ ღირსეულად დააფასა თქვენი დამსახურება ქართული ლიტერატურის, მეცნიერებისა და კულტურის წინაშე. დაჭილ-დოებული ხართ „საპატიო ნიშნის“ ორდენით, მედლებით და საპატიო სიგელებით, მოგენიჭათ აჭარის ასსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება, ხართ „სახალხო განათლების წარჩინებული“.

ძვირფასო ალექსანდრე!

თქვენი დაბადების 70 წლისთავზე აჭარაში მომუშავე მწერლები, თქვენი მეგობრები და კოლეგები, სულით და გულით გისურვებთ ჯანმრთელობას, ხანგრძლივ სიცოცხლეს და ნაყოფიერ შემქმნედებით მოღვაწეობას მშობლიური ლიტერატურის საკეთილდღედოდ.

საჩართველოს მთავრალთა კავშირის
აჭარის განყოფილების გამგეობა

„ჭოროხის“ სარედაქციო კოლეგია და თანამშრომლები ალექსანდრე ჩავლეიშვილს, ჩენი უურნალის სარედაქციო კოლეგიის წევრს, პირუთვნელ კრიტიკოსს, ცნობილ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს — ულოცავენ დაბადების სამოცდათი წლისთავს და უსურვებენ ხანგრძლივ სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, ახალ შემოქმედებით წარმატებებს.

გეგაცია შერმაის საღილეგელი

გამომცემლობა „საბჭოთა აჭარა“ თავის გეგმებში წლითიწლობით სულ უფრო მეტ ადგილს უთმობს ზღვის თემას, მეზღვაურთა გმირული შრომისა და ცხოვრების ამსახველ ლიტერატურას, საფუძველს აცლის დღემდე გავრცელებულ აზრს, რომ ქართველებს თითქოს არ უყვართ ზღვა, ხმელეთს არასდროს არ გაშორებიან და ქვეყნებს შორის საზღვაოსნო ურთიერთობაში არავითარი მონაწილეობა არ მიუღიათ.

ცნობილია, რომ საბჭოთა ხალხის დიდ სამამულო ომში არაერთმა ქართველმა მეზღვაურმა ისახელა თავი, ხოლო ომის შედეგ ქვეყნის სანაოსნოებში ბევრმა ჩვენმა კაპიტანმა, მექანიკოსმა თუ მოტორისტმა, მატროსმა გამოიჩინა შრომითი მამაცობა. სწორედ ამ კადრების მეშვეობით გახდა შესაძლებელი ათი წლის წინათ საქართველოს საზღვაო სანაოსნოს შექმნა და მოკლე დროში მისი დავაკუცება, მსოფლიოს შეელა პარალელსა და მერიდიანზე გასვლა.

ახლა ყველასათვის ცხადია, რომ სანაოსნოს შექმნა დიდი მოვლენაა ჩვენი ერის ცხოვრებაში, იგი თვალსაჩინო გავლენას აზღენს რესპუბლიკის ეკონომიკის განვითარებაზე, ხელს უწყობს მრავალსაუკუნოვანი ქართული კულტურის, კერძოდ, ლიტერატურისა და ხელოვნების მსოფლიო ასპარეზზე გატანასა და პოპულარიზაციას. საქართველოს ჩადგომას საზღვაოსნო სახელმწიფოთა რიგებში აქვს სხვა ასპექტებიც, რომელთა მნიშვნელობის გადაფასება ძნელდა; იგი აფართოებს ჩვენი ხალხის გარსახედელსა და კონტაქტებს. ამის შესახებ სულდათქმულად, საინტერესოდ მოგვითხრობს ჯემალ ნაკაშიძის წიგნი „ვახტზეა საქართველოს სანაოსნო“, რომელიც „საბჭოთა აჭარაში“ შარშან მიაწოდა მკითხველს.

ბუნებრივია, რომ ავტორი გვერდს ვერ აუვლიდა წარსულს და მარტო უკანასკნელი ათი წლით ვერ შემოფარგლავდა ქართულ ზღვაოსნობას. ამ ნაწილში

იგი იმოწმებს ისეთ შეუვალ ავტორიტეტს, როგორიც არის ქართული საბჭოთა ენციკლოპედია: ემყარება კლასიკურ ლიტერატურულ ტეგლებს, მათ შორის აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიებას“, და ასკვნის — კოლხურ მიწაზე ოდითგანვე მობინადრე მებრძოლ ხალხს ზღვებსა და მდინარეებზე ნაოსნობის ისეთივე ხანგრძლივი ისტორია აქვს, როგორიც გონივრული არსებობისაო.

ქართველი მწერლებისა და მეზოგაურების შეხვედრაზე სანაოსნოს ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა გაიხსენა ოდესის საზღვაო ინსტიტუტში სწავლის პერიოდი და თქვა, რომ მარტო ერთ ჯგუფში ოცდაათი სტუდენტიდან ხუთი ქართველი ვიყავითო, ჩვენი ჯგუფი გამონაკლისს არ შეადგენდათ. ეს ფაქტიც გამოდგება იმის საბუთად, რომ ქართველი ახალგაზრდობა ზღვას ძალიან ეტანება და მეზღვაურის ვაჟკაცურ პროფესიას დიდად აფასებს. ამასვე მოწმობს სარეცენზიო წიგნში მოტანილი სტატისტიკური ცნობები. ამჟამად საქართველოს საზღვაო სანაოსნოში შეხმატებილებულად მუშაობენ ოცდაოთხი ეროვნების წარმომაღენლები, რომელთაგან თოთქმის ნახევარს შეადგენენ ქართველები, მათ მხარდამხარ იღვწიან რუსები, უკრაინელები, სომხები, აზერბაიჯანელები, ებრაელები, აფხაზები... .

ჩვენი სანაოსნოს მრავალრიცხვანმა კოლექტივმა არაერთხელ ისახელა თავი საკავშირო სო-

ციალისტურ შეჯიბრებაში, განსაზღუთოებით კი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შე-60 წლისთავის აღსანიშნავ შრომითს ვახტზე. 2.136 მეზღვაურს მინიჭებული აქვს კომუნისტური შრომის დამკვრელის წოდება. ამ წოდებას ამაყად ატარებს ბევრი ბრიგადა, უბანი და გემი. უკეთესთა შორის უკეთესნი — 114 კაცი დაჯილდობულია საბჭოთა კავშირის ორდენებითა და მედლებით, ხოლო თბოძავალ „ასპინძის“ ბოცმან კარონ ოსატეს მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის წოდება.

წიგნის ავტორი პატივისცემითა და სიყვარულით გვესაუბრება სანაოსნოს მოწენავე ადამიანებზე, რომელთა შრომითი მამაცობა, დისციპლინა, წესრიგი და ორგანიზებულობა, თავმდაბლობა, თავაზიანობა და სხვა ძვირფასი ოვისებები მისაბაძია ყველასათვის. სანაოსნოს პარტიული, პროფესიონული და კომკავშირული ორგანიზაციები მათ მაგალითზე ზრდიან ახალგაზრდებს, უნერგავენ სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულს, ინტერნაციონალიზმის ნათელ გრძნობას, კეთილსინდისიერებასა და პატიოსნებას, პრინციპულობას, მაღალ მოქალაქეობრივ პასუხისმგებლობას.

სარეცენზიო წიგნში მოტანილია ლ. ი. ბრეჟენევის წერილი, რომელიც მან გაუგზავნა ფოთის ნავსადგურის დოკერ-მეამწეს გივი გუგუშვილს: „გულწრფელი კმაყოფილებით შევიტყვე, რომ

თქვენ ვადაზე ადრე, სამ წელიწადსა და სამ თვეში შეასრულეთ თქვენი პირადი ხუთწლიანი დავალება, თქვენი წარმატება დამაჯერებლად მოწმობს, თუ რა მაღალი შედეგების მიღწევა შეიძლება საქმისადმი ნამდვილი შემოქმედებითი მიღობით, ტექნიკის უნარიანად გამოყენებით. გისურვებთ ჯანმრთელობას და წარმატებებს ახალ სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულებაში“.

სწორედ რომ „საქმისადმი ნამდვილი შემოქმედებითი მიღობით განაპირობებს არა მარტო გ. მუზეუმილის, ბევრი სხვა მოწინავე ადამიანისა და სანაოსნოს მთელი კოლექტივის შრომით გამარჩვებებს. ამ კოლექტივის სასახლელი მარტო ისიც კმარა, რომ შულ მოკლე ხანში უკან ჩამოიტოვა ბევრი სანაოსნო და ამჟამად საბჭოთა კავშირის საზღვაო ფლოტში ტვირთზიდვის მოცულობითა და სხვა ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლებით მეხუთე ადგილზე იმყოფება. იგი ჩვენს ქვეყანას ყოველწლიურად ძლევს 50 მილიონი მანეთის შემოსავალს.“

კიდევ ერთი მაჩვენებელი, რომელიც ჩვენი მეზღვაურების საქმიანობის რაოდენობრივ და თვისობრივ მხარეებს ავლენს მთელი სისრულით: საბჭოთა კავშირის საზღვაო ფლოტის სისტემაში საქართველოს საზღვაო სანაოსნოში რვაჯერ გაიმარჯვა საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში. ჩვენი მანაოსნოს მაგალითი ზღვრული

სიცხადით მოწმობს, რომ შეჯიბრება დიდ ზემოქმედებას ახდენს საშეურნეო პრაქტიკაზე, ქვეყნის საზოგადოებრივ - პოლიტიკურ ცხოვრებაზე, ზნეობრივ ატმოსფეროზე.

შრომითი პაექტობის ავანგარდში არიან კომუნისტები. მათი ფიქრი და გრძნობა კარგად გამოხატა სოციალისტური შრომის გმირმა, ტანკერ ასპინძის ბოცმანმა კარონ ასაძემ ლ. ი. ბრეუნევის სახელზე გაგზავნილ დეპეშაში: „როგორც კომუნისტი და ჩვენი გემის ახალგაზრდობის დამტკიცებელი, პირობას ვიძლევი, ყოველთვის ვიყო სოციალისტური შეჯიბრების ავანგარდში, აღზარდო ახალგაზრდობა საბჭოთა ხალხის მდიდარ რევოლუციურ, საბრძოლო და შრომით ტრადიციებზე, პრაქტიკულად გავატარო ცხოვრებაში საბჭოთა მთავრობისა და მშობლიური კომუნისტური პარტიის პოლიტიკა და გევებები“.

კომუნისტები თავიანთ სიტყვას საჭმედ აქცევენ, ახალგაზრდობას უნერგავენ საზოგადოებრივი შრომის სიყვარულს, მეზღვაურულ საქმიანობასა და გამძლეობას. ამ მხრივ დიდ სასარგებლობუშაობას ეწევა ბათუმის საზღვაოსნო სასწავლებელი, რომელიც დღემდე დაამთავრა ოთხი ათასზე მეტმა კურსანტმა, მათ შორის საბჭოთა კავშირის საზღვაო ფლოტის მინისტრის პირველმა მოადგილემ ვ. ტიხონოვმა.

და სხვებმა, რომლებსაც პასუბ-
საგები პოსტები უჭირავთ საზღ-
ვაო ფლოტში.

სანაოსნოს კადრებს უზრდის
აგრეთვე ბათუმის ნომერ პირ-
ველი პროფესიულ - ტექნიკური
სასწავლებელი, რომელმაც დაარ-
სებიდან, 1968 წლიდან დღემდე
გემებზე სამუშაოდ მოამზადა
ათასეუთასი პირველი კლასის მა-
ტროსი და მოტორისტი. ამავე
პერიოდში თითქმის ამდენივე
სპეციალისტი გამოიუშვა საქართ-
ველოს საზღვაო სანაოსნოს სას-
წავლო საკურსო კომბინატმა.

ჯემიალ ნაკაშიძე საქართველოს
საზღვაო სანაოსნოს პარტიული
კომიტეტის მდივანია და, ბუნებ-
რივია, თავის წიგნში სერიოზულ
ცურადღებას უთმობს პარტიული
ორგანიზაციების მუშაობას.

სანაოსნოს პარტიული კომი-
ტეტი პარტიის რაიონული კომი-
ტეტის სრული უფლებით სარგე-
ბლობს და წარმართავს სანაოს-
ნოს მრავალრიცხოვან კოლექტი-
ვში ორგანიზატორულ, მასობრივ-
პოლიტიკურ და ინტერნაციონა-
ლურ მუშაობას.

თანამედროვე ვითარება ახალ
ამოცანებს უსახავს პარტიის იდე-

ოლოგიურ საქმიანობას და პარ-
ტიული კომიტეტი, პირველად
პარტიული ორგანიზაციების
ამოცანების შესაბამისად წარმარ-
თავენ მთელს იდეურ-აღმზრდე-
ლობით მუშაობას, კერძოდ, ხო-
მალდების ეკიპაჟთა ინტერნაცი-
ონალური სულისკვეთების აღზრ-
დას. წიგნში მოტანილია არა ერ-
თი საინტერესო მაგალითი იმისა
თუ რა ღირსეულად უჭირავთ
თავი ჩვენს მეზღვაურებს უცხო-
ეთში, რა ვაჟკაცობასა და თავგა-
ნწირვას იჩენენ განსაცდელის-
ჟამს, როგორი შეუპოვრობით იძ-
რევიან უცხო სახელმწიფოთა ხო-
მალდებისა და მათი ეკიპაჟების-
გადასარჩენად უბედური შემთხ-
ვევების დროს.

სარეცენზიონ წიგნი მკითხველს
უნერგავს იმის ღრმა რწმენას,
რომ საქართველოს საზღვაო სა-
ნაოსნოს მრავალრიცხოვანი კო-
ლექტივი ახალი გამარჯვებებით
დააგვირვინებს მეათე ხუთწლედს
და მისი ყოველი წევრი მსოფ-
ლიოს მერიდიანებზე ღირსეულ-
ად ატარებს დიდი საბჭოეთის წა-
რმომადგენლის საამაყო და საპა-
ტიო სახელს.

პ. ფუტბარაშვი

68748



0060 40 003.

ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ
„ЧОРОХИ“
ОРГАН СОЮЗА СОВЕТСКИХ ПИСАТЕЛЕЙ
ГРУЗИИ И АДЖАРСКОГО ОТДЕЛЕНИЯ
ИНДЕКС 70118